619
1986

ISSN 0130—1624

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 12 1986
დეკემბერი



ახალ-ახალი გმირული საქმეებით ეგებება სრულიად საკავშირო ალკკ XX ყრილობას ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა. ქარხნებსა და ფაბრიკებში, მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერმებში, მშენებლობებზე ახალგაზრდები თავდაუზოგავად იღვწიან. მათ შორის არიან საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კომკავშირელები, სახელდობრ, ბათუმელი ახალგაზრდა დოკერები. მათ გადაწყვიტეს ღირსეული საჩუქარი მიუძღვნან ყრილობას — 1987 წლის ექვსი თვის დავალება ალკკ XX ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ.

ბათუმის ნავსადგურის ხედი.



კომკავშირელთა წინამძღოლი ჯამბულ ნინიძე აცნობს პრაქტიკანტებს მომავალ სამუშაო ობიექტებს.

აქ ტვირთავენ გემებს.



# ზღვის შვილები







ნავსადგურის კომკავშირის კომიტეტის მდივანი თამ ლომაია და ზეინკალი გამმართველი თენგიზ ვარშანიძე.

18205

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 12 (600). დეკემბერი. 1986

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერშია:

ჩინგიზ აითმატოვი. ძაღლი სასჯელისა.
ვიტალი კოროტიჩი. შესიტყვება საქართველოსთან.
ვასილ გვეტაძე. წყაროს სათავე.
ნუნუ კუპრეიშვილი. საქმემან შენმან...
დინარა ნოდია. დიეგო რივერა.
კოსტანცო კონსტანტინო. ჰემინგუეი მადრიდში.
გივი გამრეკელი. ისევ მაია.
ის ურჩევნია მამულსა...
რადიოფონდიდან.
ეთერ რაქვიაშვილი. მკითხველთა თხოვნით.
მირიან ლეჟავა. ახალი წლის ღამე.
გიორგი შეთეკაური. „ფხიზელმა მაინც იარე?“.
დიმიტრი წვერავა. ყურადღება!
სიახლენი.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1986 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქინქლაძე

●

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ეხვანჯია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.



# წყაროს სათავე

ვასილ გვეტაძე

ჩემს სოფელს ვარიანი ჰქვიან, — ამბობს ერთგან იაკობ გოგებაშვილი. — მცხოვრებნი სულ გლეხები არიან. ას კომლამდე იქნებიან. ახლო-ახლო ცხოვრობენ. ქვიტკირის შენობა მხოლოდ ზოგიერთს უდგას. სხვები ცხოვრობენ ან მიწურში, ან ქვა-ტალახა სახლებში. სახლებისვე გვერდით აქვთ ბოსლები და ბაკები. ამის გამო სოფელს სისუფთავე აკლია...

იაკობი მერე დაწვრილებით აგვიწერს ჭაობს, „რომელიც სწამლავს ჰაერსა და აჩენს ავს ციებას ზაფხულობით". გულისტკივილით გვეუბნება იმასაც, რომ „პატარა და ღარიბია ვარიანი, სახნავ-სათესი მიწაც ნაკლებად აქვთ და ისიც საღალო".

●

გამძლე, საიმედო ასფალტით მოგებულმა გზამ ვარიანისაკენ გაუხვია. იმ ლურჯმწვანედ შეღებილ რკინიგზის ჯიხურთან, როგორც კი ლიანდაგს გადაცდები, ისევ სწორი, მოპრიალებული მოსეა და ხილიან-ვენახიანი ხეივანი.

აქედან იწყება სოფელი.

გაღმა-გამოღმა, იქით თუ აქეთ, გზის ორივე მხარეზე, ბაღჩა-ბაღებია.

ზედ თავზე დაჰყურებს სოფელს კავკასიონის თეთრი, მაღალი მთები, ზამთარ-ზაფხულ თოვლით რომაა შემოსილი.

სოფლის გარშემო ადგილები ხომ სულ ცივ-ცივი წყაროებითაა სავსე. ამას აკი თავის დროზე თვითონ იაკობიც ბრძანებდა.

„წყაროების თავი" ისეა ჩამოჩრდილული, შიგ მზის სხივიც ვერ გაატანს. საამური სიგრილე ტრიალებს. მართლაც რომ სასიამოა ამ „ჩრდილებში დასვენება და ყინულის ცივი წყლით წყურვილის მოკვლა ზაფხულის პაპანაქებაში".

...ახლა ზამთრისპირია და გლეხკაცობამ, ალბათ, მამაპაპის წესჩვეულებაზე, „რადგან ვაზი ვერ იტანს ზამთრის ყინვასა და ხმებას, ვენახს სარი გაუყარა და ვაზები მიწაში დაფლა, რასაც ისინი ვაზის დამარხვას ეძახიან".

●

ხალხი ათასნაირ საქებარ სიტყვას იმეტებს ხოლმე გამრჯე, მუყაით ადამიანებზე: ხელმართალიო, ხელმადლიანიო, ხელდალოცვილიო, ისეთი რა უნდა იყოს, ამ ღვთისნიერი კაცის ხელიდან არ გამოვიდესო.

იმასაც ამბობენ: თავის საქმეში თავჩარგული კაცი ხელმრუდე ვერ იქნებაო.

ერთი სიტყვით, სულ ხელი და ხელი! ყველანაირი სიკეთე ხელის გარშემო იყრის თავს. მაგრამ სხვისი ხელის შემჩერებლებიც რომ არ ყოფილან სანთლით საძებნელი? პატიოსანი გლეხკაცი რომ ორივე ხელით ბარის ტარსაა ჩაჭიდებული, ოფლში ილვრება და სარჩოს ისე იწევს, ვიღაც მეორე, უჯაფოდ და უშრომელად რატომ იყოფს მის ულუფას?

ვახტანგ ბასილაშვილს ჯერ კიდევ თავის ბიჭობაში გაუჩნდა ეს კითხვები. მიხვდა, ისეთი წყაროს წყალი უნდა ეძებნა, მისი ხელით გამოთლილ ღარზე ჩხრიალ-ჩხრიალით რომ წამოვიდოდა და სახელიც კარგი ერქმეოდა.

ასეა თუ ისე, ამ ცხოვრებისეული ანაბანას შესწავლა საკუთარი შრომით მოუხდა ბასილაშვილს და ამაში სხვისი დაწერილი „შპარგალკა" არ გამოდგომია. არც ვინმეს წაუკრავს მისთვის ხელი ფონზე გასასვლელად.

პირველად კოლმეურნეობაში სამუშაოდ რომ მივიდა, არავის გაჰკვირვებია. სოფელში, თითქმის ყველა ახალგაზრდას ასე დაუწყია ცხოვრება. ის არც პირველი იყო და არც ბოლო იქნებოდა.

მინდობილ საქმეს რომ გულისყურით მოეკიდა, არც ესაა მაინცდამაინც გასაკვირველი. ბარი და თოხი შეიყვარა. მიწის მადლსა და სითბოს გემო გაუგო. საერთო ჭამში ჩაიხედა და შიგ ბევრი ჭირი და ვარამი დაინახა.

არც ისეა, თურმე, მოწყობილი ეს ცხოვრება, სკოლის მერხებიდან რომ ჩანს.

აი, ფრონის ხეობიდან ცისკარმა ამოიხედა. სოფლის თავზე, მალხაზისწვერის ძირში, მუხნარში ტყეები შეშრიალდნენ, გარშემო თივისა და ბალახის სუნი დგას. შემოდგომის წითელ-ყვითელ ფერებშია გახვეული ვაშლისა და ატმის ბაღები. მიწაზე აღარ იზნიქება მწიფე ნაყოფით დამძიმებული ტოტები.

მთელი წლის სარჩო დასაბინავებელია. ამდენი ნაშრომ-ნასიმწრალიც მისახედია. თავ-თავისას მოითხოვს შინაურიცა და გარეშეც, ოჯახიცა და საზოგადო ბელელმარანიც.

დილა-ბნელზე გამოვა გარეთ. ამ აღმართ-ჩაღმართიან გზას აუყვებ-დაუყვება განა იმიტომ, თვალს რომ წყალი დაალევინოს?! იქეთკენ მიაშურებს, სადაც გადაუდებელი საქმე ელოდება და მისი ხელის წაშველებას ელიან.

დღეის მოსამკალი დღეს უნდა მოიმკას, ხვალეს ხვალისაც ეყოფა!

ამნაირი ზნე და ჩვეულება, კარგია თუ ცუდი, ყველაზე უკეთესად ვარიანელებმა იციან. ამ ამბავმა კი, მე რომ ახლა მოგიყვებით, თავის დროზე მთელი ვარიანი აალაპარაკა.

...ის-ის იყო მეურნეობას სათავეში ჩაუდგა ვახტანგ ბასილაშვილი.

ახალმა დირექტორმა ხალხი შეკრიბა და ხმამაღლა განაცხადა:

— სხვისი ხელისშემყურეობა ჩვენ არ გვარგია. ჩვენი სატკივარი ჩვენ თვითონ უნდა მოვირჩინოთო.

— რა სატკივარზეა ლაპარაკი, თუ შეიძლება კარგად განგვიმარტეთო, — წამოიძახა ვიღაცამ ადგილიდან.

— ახლავე მოგახსენებთო, — მიუგო ბასილაშვილმა.

— ისიც ხომ გაგიგონიათ, ახალი ცოცხი კარგად რომ გვისო, — ისევ იმ ვიღაცამ წამოიძახა.

— როგორ არაო. მაგრამ ჯერ ჩვენს საერთო სატკივარზე ვილაპარაკოთ და რამე წამალი გამოვუნახოთო.

და იმ დღეს, ბევრ სასიკეთო საქმესთან ერთად ერთმა კარგმა ჩანაფიქრმაც შეისხა ფრთები: უფასოდ, თავიანთი ხელით უნდა გამოეყვანათ წყალსადენი, ჰაერივით რომ ჭირდებოდა სოფელს.

პირველსავე შაბათობაზე ბარ-ნიჩბით შეიარაღებული ხალხი დიდიან-პატარიანა გაიკრიფა სოფლიდან. მანქანა მანქანას მისდევს, ყველა აქაა.

ის კი, მეურნეობის დირექტორი, არ ჩანს.

ავიდნენ ზევით, მთაში, წყაროს სათავესთან. იქ ნახეს... ბეჭებში წახრილიყო, თავი ჩაეხარა და რამდენიმე კაცთან ერთად ორმოს თხრიდა.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ ახალი დირექტორი მშენებელი კაცი იყო. ისიც დაინახეს, ყველანაირი საწაღმართო საქმე გამოუდიოდა ხელიდან.

ჰოდა, მთელი სოფელი მიჰყვა.

მეურნეობას არ ჰქონდა ხეირიანი კანტორა — სხვა რომ არაფერი, სტუმრისა რცხვენოდათ, ისეთ ხუხულაში იყვნენ თავშერგული.

ახლა აქვთ. ამაყად გამოიყურება მშვენიერი ორსართულიანი შენობა სოფლის შუაგულში. მას მხარი დაუმშვენა განსაკუთრებული არქიტექტურული წყობით აგებულმა კულტურის სახლმა. ააშენეს საცხოვრებელი ბინა ათასამდე კვადრატული მეტრი საერთო ფართობით. საცაა ნარაჩოები ჩამოეხსნება სამ თორმეტ-თორმეტბინიან საცხოვრებელ სახლს.

— სამი საშუალო და ერთი დაწყებითი სკოლა, საექიმო ამბულატორია, სამი სამედიცინო პუნქტი, ხუთი მაღაზია, ოთხი კლუბი, ხუთი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი, სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები, ხუთი ბიბლიოთეკა და ერთი მუზეუმი, ხუთი მარტივი ტიპის სპორტული მოედანი, ოთხი საბავშვო ბაგა-ბაღი... კიდევ გავაგრძელო? არა კმარა ერთი მეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის?

გასაჭირს დროზე შეაშველეს წამალი, თორემ, საქმე თავდაღმართში მიდიოდა.

მარტო ნუგზარ კარელიძის მაგალითიც კმარა. ნუგზარი კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელია. ჯანღონით სავსე ახალგაზრდაა.

სამოცდაათი ჰექტარი ხეხილის ბაღი, რომელიც ამ ბრიგადაზეა გაპიროვნებული, მართლაც რომ სანიმუშოდაა მოვლილი. შარშან თუ ჰექტარიდან ას სამოცდაათიასოთხმოცი ცენტნერი ხილი მოიწიეს, წლევანდელ სეზონში ამ მაჩვენებელმა ორას ათ — ორას ოც ცენტნერამდე აიწია.

ესე იგი, სულ ცოტა ჰექტარზე — ოცდაათი-ორმოცი ცენტნერი მაინცაა განსხვავება შარშანდელ და წლევანდელ მოსავლიანობაში.

შარშან მეურნეობის მთლიანმა შემოსავალმა ექვს მილიონნახევარს მიაღწია, აქედან მილიონ სამასი ათასი მანეთი მოგება იყო. წელს კი შვიდ მილიონსაც გადააჭარბა. თანაც მილიონ ნახევარი მანეთი სუფთა მოგება დარჩა.

რას იტყვით, გასახარელი არაა? ამის

●

გულისყურით შეისწავლეს წერილი „პროდუქციის ხარისხის ძირფესვიანი გაუმჯობესების შესახებ" — ფრიად გულახდილი პარტიული დოკუმენტი, სადაც ყველა საგანს თავისი სახელი ეწოდა.

— ყველაფერი მართალია და ისეა ნათქვამი, როგორც ჩვენ ვფიქრობთ. მხოლოდ ამ გზით უნდა ვიაროთ, — თქვეს და ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ თავიანთი არჩევანის სისწორეში.

მათ ხომ აქამდეც ბევრჯერ ჰქონდათ აწონილ-დაწონილი ის, რაც უახლოეს ხანში უნდა გაეკეთებინათ. გარდაქმნა და ახალი გზის ძიება გულის მოსალბობი სიტყვა როდია, ეს უპირველეს ყოვლისა, ცხოვრების წესის შეცვლაა, იმის შეცვლაა, რამაც ვერ ივარგა და უკან დაგვწია.

და აი, უკვე ათასსამასკაციანი მრავალდარგოვანი, მსხვილი და ძლიერი მეურნეობა თავისი თექვსმეტი ბრიგადით სამეურნეო ანგარიშზე მუშაობს. ასე ისურვა ათასხუთასზე მეტი ჰექტარი ბაღჩა-ბაღის მეპატრონე ხალხმა.

სამეურნეო ანგარიშის მთავარი პრინციპი ხომ ესაა: რაც გამოიმუშავე, ის მოიხმარე და გამოიყენე, საბოლოო შედეგების მიხედვით გაანაწილე. თუ იოლად თავის გატანაზე იფიქრე, პროდუქციის ხარისხი და რაოდენობა ერთი-მეორეში აგერია, — სულ ერთია, არ გამოგივა, პრემიებს კი არა, ხელფასსაც ველარ მიიღებ. მშრალზე დარჩები და ის გექნება საფიქრალი, როგორ უნდა იცხოვრო.

სწორედ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ და პირადი შემოსავლით დაინტერესებამ გამართა წელში შალვა ბატატაშვილის ბრიგადა. აგერ ეს ოცდაათი წელია შალვა ამ ბრიგადაშია და ლხინიც ბევრი უნახავს და გასაჭირიც.

გასაჭირია, აბა, სხვა რაღა ეთქმის, როცა კაცი წელებზე ფეხს იდგამ, დილიდან შუაღამემდე შრომობ, ჯახირობ, ოფლში ილვრები და, ოჯახის რჩენა კი გიჭირს, ამ შემხედვარე პატიოსანი მუშაკაცი, ცეცხლს არ გაიჩენს ხელებში?

●

ზემოთაც ვთქვი და ახლაც ვამბობ: ამ მიწის უბეში რომელ ადგილზეც არ უნდა დაჰკრა ბარი, წყარო ამოჩუხჩუხდება. კავკასიონის მთიდან ჩამოწრეტილი თოვლის ნადნობი თავისუფლად ეშვება თავქვე აქ, ვარიანში. ამ ღია ტაფობზე, ვენახებსა და ბაღებში, ძარღვებივით იბრჯნება და იფანტება. ოდნავ თუ მაინც მოუნახე ძარღვი, მორჩა, წყაროს თვალიც ნაპოვნია.

სერგო ჯირკველიშვილმა — მეურნეობის მთავარმა აგრონომმა, სახლის შენება დააპირა. სამი შვილი გაუჩნდა. ვაჟი დავაჟკაცდა, გოგონები დაქალდნენ. ოჯახი გაიზარდა. ბინა აღარ ჰყოფნიდათ. სამოსახლო ადგილი, იქვე, ძველ ნაბინავარზე შეარჩია. საჭირო მასალა დაიმარაგა და საძირკვლის გაჭრა დაიწყო.

დაჰკრეს ბარი და, ცოტა სიღრმეში რომ ჩავიდნენ, ერთბაშად ყინულივით ცივი წყალი ამოიფრქვა. ამოდის და ამოჩუხჩუხებს. ერთ წამში ეზოში ვეება გუბე ჩადგა.

სახლს ადგილი არ შეუცვალა. წყაროს კი მილები მიუდგა და აქეთ, ეზოში, ზედ აივანთან გადმოსწია. ვენახი ხეივნებად გაუშვა. ახალი ხეხილი ჩაჰყარა და იქვე ჭურ-მარანი გაიჩინა.

დგას ახლა ლამაზი, ორსართულიანი სახლი შიგ სოფლის შუაგულში თეთრ, დათლილ ქვებში კოხტად ჩასმულ წყაროთი, და ამვლელსა და ჩამვლელს თვალს უხარებს.

რაკი სერგო ჯირკველიშვილის წყაროსთან მივედით, მოდი, მის კედელ-ყურესაც მოვავლოთ თვალი. თქვენი არ ვიცი და, მე კი ერთი სული მაქვს, ვნახოთ, როგორ ცხოვრობს, რა შემოსავალი აქვს აგრონომი კაცის ოჯახს.

მეუღლე ქეთევანი ვეტექიმია და მისი ხელფასი ას სამოცი მანეთია. ვაჟი — ასორმოცდაათ მანეთს იღებს, ხოლო თვითონ ზუსტად სამას ათ მანეთს. ყოველწლიურად რვა-ათ ტონა ხილს აბარებს სახელმწიფოს. აქედან შვიდი ათასი მანეთი მაინც ქუჩდება. ამას ზედ ერთვის პრემიები.

როცა ყველაფერი ეს მივიანგარიშ-მოვიანგარიშე, ჯირკველაშვილების ოჯახის ყოველთვიურმა შემოსავალმა ათას სამას მანეთს გადააჭარბა.

საკუთარი ბაღ-ბოსტანი აქვს. ეზოში ბლომად დაუდის ქათამი და ინდაური. სხვა წვრილფეხა პირუტყვიც არ აკლია.

აგერ კიდევ ეს წყარო, ზამთარ-ზაფხულ სასიამო და სულისმოსაბრუნებელი.

წყაროზე გამახსენდა.

უბრალო მუშაკაცმა ზაქარია კოკაურმა იმასაც ასე დაემართა: პირდაპირ ეზოში შემოუვარდა ოქროს მილით მოსადენი წყალი.

თავის დროზე მალვა კოკაურის ოჯახმაც გაიხარა — წყარომ ძარღვი მის ეზოშიც ამოიჭრა, ზაქარიას ეზოდან სულ რაღაც ორიოდე ნაბიჯზე. კოკაურები იაკობ გოგებაშვილის სახლის გვერდით ცხოვრობენ. შალვას მამა — მიხა კოკაური „დედაენის" დამწერისაგან იმითაც ყოფილა დავალებული, რომ მისით წერა-კითხვა უსწავლია.

●

კაცმა, რომელმაც „დედაენა" შექმნა, განა მარტო მიხა კოკაურს ასწავლა წერა-კითხვა. ყველა ქართველი მისი ანბანით არაა გაზრდილი? ამ სოფლიდან, ამ სახლიდან, ამ ბუდეებიდან არ ამოფრთხიალდნენ ის მგალობელი ჩიტები, ახლაც რომ მხრებზე გვასხედან? „დედაენით" და „ბუნების კარით" ხელში, ამ შუკებში, ორღობეებში, ამ ჭალა-ტყეებში არ ჩაიარა იმ პატარა ბიჭმა, მთელი საქართველოს გასაგონად რომ თქვა შემდეგ:

მხოლოდ ეს მახსოვს გამომყვა დედა
და მითხრა ტკბილად: შვილო, ნუ სტირი,
ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა,
ვინ მოიშორა თავიდან ჭირი.

პატარა ბიჭები ბიჭები აღარ არიან. დაკაცდნენ, დავარგდნენ და სოფლის ბედი დღეს იმათ ხელშია.

უცვლელია და ყველაფერი ისევ-ისეა, როგორც ტკბილმა იაკობმა დატოვა, აქ, ამ წმინდა კედელ-ყურეში. სახლის წინ, უზარმაზარი ხეებით ჩამოჩრდილულ ეზოში, ძველებურადაა მოკრიალებული დიდი, ბრიალა სარკე, „იაკობის წყაროს" რომ ეძახიან.

ისევ ისე დგას „შიგ შუა სოფელში ქვიტკირის საყდარი ღვთისმშობლის სახელობაზე. საყდრის ზეით და ქვეით ამოჩუხჩუხებს მიწიდან ორი ვეებერთელა წყარო. ეს წყაროები ქვემოთ ერთდება და აჩენს მოზრდილს ფშანსა. ამ ფშანში ბევრი თევზი ბუდობს, მათ შორის კალმახიც — ყველა თევზზე გემრიელი..."

მიწურები და ქვა-ტალახა ქოხ-მახები აღარაა. ოღონდ სოფელში. აგურითა და ნათალი ქვით გაწყობილი სახლები უდგათ. ლამაზი, ორ-სამ სართულიანი შენობების გვერდი-გვერდ არც უსუფთაო ბოსლები და ბაკებია. ის მოზრდილი ჭაობიც კარგა ხანია ამოუშრიათ და ჰაერს ველარა სწამლავს. ბლომადაა ნაყოფიერი სახნავ-სათესი მიწა, ხილი და ვენახი, სიმინდი, ლობიო, სამკალი და სათიბი.

დღეს ვარიანი, პატარა და ღარიბი კი არა, ერთი წელმაგარი, დიდი და მდიდარი სოფელია ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში.





საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა




ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქმემან შენმან...

ნუნუ კუპრეიშვილი

კიდევ რამდენიმე დღე და ახალი ხუთწლედის ეს პირველი წელიწადიც გაილევა. უკვე ტრადიციად იქცა, წლის ბოლოს გულდასმით გაანალიზდეს და შეჯამდეს გაწეული მუშაობა, განზოგადდეს შეძენილი დადებითი გამოცდილება და დაისახოს ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამოსწორების კონკრეტული გზები.

თითოეული მშრომელის ფიქრებსა და საქმიანობაში ნათლად ვლინდება ის კეთილი მისწრაფება, რომ მომავალი, 1987 წელი და მთლიანად XII ხუთწლედი, უფრო თვალსაჩინო მიღწევებით აღნიშნონ.

ყოველი წარმატების უკან ხომ ადამიანი დგას. ადამიანი — მუშა, კოლმეურნე, ორგანიზატორი, ინტელიგენტი, ის, ვინც თანამედროვე ცხოვრებით ცხოვრობს, დღევანდელ დღესა და მომავალზე ფიქრობს.

სწორედ ასეთები ქმნიან ხუთწლედების გმირულ ისტორიას.

• • •

საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა ჯონდო ჯავახიშვილმა გულთბილად მიგვიღო. ჩასვლის მიზანი რომ გავაცანით, გვითხრა:

— მოწინავენი რაიონში არც ისე ცოტანი გვყავნან, მაგრამ ამჟამად ჩემი რჩევაა, კავთისხევის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას ესტუმროთ, მისი თავკაცის — ოქრო აბაშიძის საქმიანობას გაეცნოთ.

მეგზურობას რაიკომის ინსტრუქტორი გაბრიელ შეშაბერიძე გვიწევს.

— მეურნეობის დირექტორი ახალგაზრდა კაცია, სულ რაღაც ორიოდე წელია რაც აქ მუშაობს. ნუთუ ეს დრო საკმარისია იმისათვის, რომ რაიონის ხელმძღვანელობამ მოწინავეთა შორის გამოგარჩიოს? — ჩემს გულისხნადებს ვანდობ რაიკომის წარმომადგენელს.

— უკვე დავრწმუნდით ამაში. მიუხედავად დროის სიმცირისა, მან ბევრის გაკეთება შეძლო. და იცით, ყველაზე მთავარი რა არის? ხალხს შეაყვარა თავი. ენდობიან, გვერდში უდგანან, პატივს სცემენ მის სიტყვასა და საქმეს.

გზა მარჯვნივ უხვევს. სოფლის შესასვლელში მაღალი თაღია და ზედ ამოტვიფრული წარწერა მიგვანიშნებს, რომ აქედან იწყება სოფელი კავთისხევი.

ჩვენი მეგზური ისევ განაგრძობს საუბარს:

— ცოტა შორს თუ გადავავლებთ თვალს კავთისხევისა და მდინარე კავთურას ხეობის გარშემო მიმობნეული სოფლების — ქვემო ჩოჩეთის, გუდალეთის, ეზატის, თვალადის, ქებაანის, ქვემო ხანდაკის, წიფორისა და სხვათა ცხოვრებას, ჩვეულებრივი ძველი ყოფითი სურათი წარმოგვიდგება თვალწინ: წვრილი, დაქუცმაცებული კოლმეურნეობები, მცირე სახნავ-სათესი, არასაკმარისი მუშახელი, ხარ-კამეჩი, ძროხა და ცხენი, თითო-ოროლა ტრაქტორი და გუთანი.

დაბალი იყო მშრომელთა შემოსავალი. არ ჰქონდათ ნორმალური შრომისა და დასვენების პირობები.

და აი, 1961 წელს რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით რამდენიმე კოლმეურნეობის გაერთიანების ბაზაზე ჩამოყალიბდა კავთისხევის საბჭოთა მეურნეობა.

კაცმა რომ თქვას, დიდი შედეგი არც ამას მოჰყოლია. რა დასამალია და, მეურნეობაში იყვნენ ისეთი ხელმძღვანელებიც, რომლებიც თავიანთი უმოქმედობითა და უინიციატივობით გამოწვეულ მარცხს ხშირად ობიექტურ სიძნელეებს მიაწერდნენ. დუნედ და გაუბედავად მოქმედებდნენ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მოისუსტებდა შრომის დისციპლინა. მეურნეობა წლების განმავლობაში წამგებიანი იყო. ვერ ასრულებდა გეგმებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მთელ რიგ სახეობებში. ცოტა რამ გაკეთდა სოფლის მშრომელთა კეთილდღეობისათვის. ნათქვამი ხშირად ქაღალდზე რჩებოდა, გასაკეთებელი — გასაკეთებლად.

აი, კანტორის შენობაც გამოჩნდა.

მანქანა გაჩერდა.

— დირექტორი თბილისშია, გადაუდებელ საქმეებზე, — გაცნობისთანავე მოგვიბოდიშა პარტორგანიზაციის მდივანმა თამაზ კერესელიძემ და დასძინა, — საერთოდ ჭირს მისი კაბინეტში ნახვა. მაგრამ არა უშავს, დირექტორს სხვა დროს შეგახვედრებთ. ახლა კი ჩვენ გაგიწევთ მასპინძლობას.

* * *

ხვლიკის წყაროდან სასმელი წყალი უნდა გამოიყვანონო, ხმა დაირხა ჩოჩეთში...

დილაუთენია აქ ამოვიდნენ კავთისხევის სასოფლო საბჭოს



მარცხნიდან მარჯვნივ: ტრაქტორისტი შალვა ნაცვლიშვილი, მეურნეობის დირექტორი ოქრო აბაშიძე, მთავარი ინჟინერი გენო ფირანიშვილი, ტრაქტორისტი ვახტანგ ნაცვლიშვილი...



თავმჯდომარე გიორგი ბერიაშვილი, მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი თამაზ კერესელიძე, მთავარი ეკონომისტი ვალიკო კელაპტრიშვილი, ბრიგადირები — სარდიონ ბარდაძე, ოთარ მექანარიშვილი, მექანიზატორები — შალვა კერესელიძე, ძმები ვახტანგ და შალვა ნაცვლიშვილები, ახალგაზრდა მებულდოზერე მურაზ ქსოვრელი, მთავარი აგრონომი არჩილ მორჩილაძე... ერთი სიტყვით, მთელი სოფელი.

დამრეც ფერდობს ის-ის იყო ნისლის პირველი კალთა აეკეცა, რომ მის თავზე ადამიანის გამოსახულება გამოჩნდა.

მეურნეობის დირექტორს ოქრო აბაშიძეს პირველი კვალი კარგა მანძილზე გამოეყვანა. მოსულები რომ დაინახა წერაქვი განზე გადადო, სახეზე ოფლი ჩამოიწურა, თვალი ირგვლივ მიმოავლო და თქვა:

— ყოჩაღ, ბიჭებო, ასე ადრიანად რომ ამოსულხართ, ქვემოთაც ბევრნი მოჩანან. მალე სოფელში წყლის ჩხრიალსაც გავიგონებთ.

მას შემდეგ აღარ უკვირდათ, ისე შეეჩვივნენ მის გამოჩენას სამუშაო უბნებზე. ერთი დღეც რომ არ მოსულიყო, გაკვირვება მაშინ გენახათ.

ხან თვალადსა და გუდალეთში აირბენდა, იქაური კლუბისა და ბიბლიოთეკის მშენებლებს მოინახულებდა. გუდალეთში რვაწლიანი სკოლის მშენებარე შენობას დახედავდა. ხან ბრილისისა და გუდალეთის არხს ჩამოუვლიდა. ქსოვრისის ფერმის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს შეამოწმებდა. საბრიგადო სახლის მშენებლებს რჩევა-დარიგებებს მისცემდა. მეღორეობის ფერმას აკითხავდა... შინმოუსვლელთა სკვერისა და სპორტული კომპლექსის მშენებლობებზე მოწყობილ შაბათობებს სათავეში ჩაუდგა.

* * *

მაღალი, მკვრივი აღნაგობის, მზეზე დამწვარი პირისახითა და ვაჟკაცური იერით... აი, როგორი ყოფილა იგი.

ვსხედვართ და ვსაუბრობთ. ასე მგონია, მისი მუშაობის შესახებ უკვე ყველაფერი ვიცი... გამოდის, რომ არც მთლად ასეა, მეტის გაგება შეიძლება. პირისპირ საუბარი უფრო აღრმავებს გაგონილს.

— ახლა შემოდგომის ცხარე დღეებია. ალბათ, ამიტომაც ვერ იცლით კაბინეტში დასაჯდომად.

გაკვირვებით შემომხედა. ეტყობა, არ ელოდა ამ კითხვას. არც დაფიქრებულა, ისე მიპასუხა:

— არ მინდა, თავის მართლებასავით გამომივიდეს, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ: ყველა დროს აქვს თავისი საშური საქმე. თუ ხვალის თადარიგი დღეს არ დაიჭირე, საქმე მოჯარდება. მედღეხვალიე კაცს კი, თქვენც იცით, რა ბედი ეწია.

მერე თითქოს ხუმრობით დასძინა, ესეც არ იყოს, დღეს ყველა საქმეზე რატომღაც ხელმძღვანელს ეძახიანო.

ამ ხუმრობაში იყო ალბათ ჭეშმარიტების მარცვალიც. იქნებ არც იყოს აუცილებელი ხილისა და ბოსტნეულის ჩასაბარებლად, ან კიდევ საწვავის მოსამარაგებლად და სხვა საქმეებზე დირექტორის სირბილი? აქვე ისიც მოგვაგონდა ჩვენთან საუბრისას პარტორგანიზაციის მდივანმა თამაზ კერესელიძემ რომ თქვა: რა საქმე უნდა იყოს, დირექტორმა დაგვავალოს და ჩვენ არ შევასრულოთო.

ისღა დაგვრჩენია, მთავარ კითხვაზე გადავიდეთ.

— გარდაქმნა და დაჩქარება, რასაც დღეს მოითხოვენ ყველა რგოლში, ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი განწყობილებით შრომობს თითოეული ადამიანი თავის უბანზე. ეს კი უპირველესად ხელმძღვანელზეა დამოკიდებული.

— ხელმძღვანელობა სასიამოვნოც არის და საპასუხისმგებლოც. ყველა შენ შემოგცქერის, გაკვირდება, ცნობისმოყვარეობით გითვალთვალებს. სხვებისთვის საპატიებელს, შენ არავინ გაპატიებს, რთულია ყველას გულთან ახლოს მისვლა, გასაღების მორგება და თუ ეს შეძელი, დიდი ბედნიერებაა, — თქვა და თვალი თამამად გაგვისწორა.

— და მაინც საინტერესოა, რა გზით მიაღწიეთ ყოველივე ამას?

— უპირველესად მონდომებით. თუ მოინდომებ, მიზანს მიაღწევ. კიდევ იცით, რა მიმაჩნია ძირითადად? — ჩაფიქრდა, — შემდეგ თავი ისევ ასწია და განაგრძო: — მთავარია, შენი სიტყვა და საქმე ერთმანეთისაგან არ დააშორიშორო.

— კონკრეტულად მაინც რა სიახლეები გაქვთ მუშაობაში?

— სიახლეები? რა ვიცი, იქნებ სიახლე ბევრი არც გვქონდეს. ზოგჯერ მივიწყებულის განახლებას სიახლეს ვეძახით ხოლმე. ასეა თუ ისე, მე მაინც მუშაობის ჩვეული სტილი მაქვს. უპირველეს ყოვლისა, ხალხში ვტრიალებ, მათთან ვშრომობ.

— კარგია, რომ სოფელს ბევრი დაუბრუნდა.

— საკმაოდ, მინდვრის სამუშაოებში დამატებით ჩავაბით 400-ზე მეტი მუშა, ანუ 32 პროცენტით მეტი წინა წელთან შედარებით, შრომის ნაყოფიერება კი 13,2 პროცენტით გაიზარდა.

— როგორც ჩვენი პარტიის XXVII ყრილობაზე ითქვა, დღეს მთავარია მეურნეობების დამოუკიდებლობის გაფართოება და თავიანთი საქმიანობის შედეგებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერება. იყენებთ თუ არა ამ უფლებებს თქვენს მუშაობაში?

— რა თქმა უნდა. თუ დამოუკიდებლობა არ გვექნა, ისე ვერაფერს ვერ მივაღწევთ. ზოგჯერ საქმე არც ისე იოლად კეთდება, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. რა დასამალია და ბევრ წინააღმდეგობასაც ვაწყდებით მუშაობაში. ხდება ხოლმე, რომ ეჭვის თვალით უყურებენ ჩვენს ინიციატივასა და წამოწყებას, არ გვიჭერენ მხარს ზემდგომი ორგანოები, მაგრამ სწორედ აქ გვმართებს ნებისყოფის გამოჩენა. თუ საქმის სისწორეში დარწმუნებული ხარ, ხელი არ უნდა ჩაიქნიო, წინააღმდეგობებს არ უნდა შეუშინდე. მერე კი მხარდაჭერა და თანადგომა თავისთავად მოვა. ასე არაერთი და ორი საქმე მიმიყვანია ბოლომდე.

ახლა კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან. ჩვენ ქართლის მაღალმთიანი სოფლების რიცხვს მივეკუთვნებით. ზაფხულის პერიოდში ხშირია გვალვები. გვალვა კი, მოგეხსენებათ, როგორ უარყოფით გავლენას ახდენს ხილსა და ბოსტნეულზე. ხილსა და ბოსტნეულს ჩვენთან 800-მდე ჰექტარი ფართობი უჭირავს. მარტო ვაშლის ბაღები წელიწადში 4-5-ჯერ უნდა მოირწყას. ჩვენს პირობებში ძალიან ძნელია ეს. მიუხედავად იმისა, რომ მწყობრში ჩავაყენეთ გუდალეთისა და ჩოჩეთის სარწყავი არხები, ეს სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, რადგან პატარ-პატარა მდინარეები ზაფხულის გვალვებში საგრძნობლად კლებულობს.

ახლა მეორე მაგალითი ავიღოთ. მიმდინარე წელს მეურნეობამ აწარმოა 1155 ტონა თავთავიანი კულტურა. ეს მაჩვენებელი XI ხუთწლედის საშუალო წლიურ დონეს 600 ტონით, ხოლო 1985 წლის წარმოების დონეს 697 ტონით აღემატება. ბოლო ათი წლის ანალიზმა იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენს პირობებში თავთავიანი კულტურების წარმოება მეტ შედეგს იძლევა, ვიდრე ხილის წარმოება. ზაფხულის გვალვას კარგად ეგუება აგრეთვე ლობიოს სხვადასხვა ჯიშები. ჩვენ ხორბალი და ლობიო შემოგვაქვს თვით სათესლედაც კი. გამოთავისუფლებული ფართობების გამოყენება პირუტყვის საკვების დასამზადებლად შეიძლება.

მე ვფიქრობ, უნდა შეიცვალოს მეურნეობის პროფილი. ეს დადებით გავლენას მოახდენდა როგორც მეურნეობის ეკონომიკურ-ფინანსურ მდგომარეობაზე, ასევე მშრომელთა მატერიალურ კეთილდღეობაზე.

ბოლოს კი ტრადიციულად მომავლის გეგმებზე ჩამოვაგდეთ საუბარი.

— პირველ რიგში განზრახული გვაქვს, საზოგადოებრივი საძოვრებიდან გამომდინარე მდინარე გუდალურა სარწყავი სისტემის სამსახურში ჩავაყენოთ. ამისათვის უნდა აშენდეს 2 მილიონი კუბური მეტრი ტევადობის წყალსაცავი, სადაც ზამთარში დაგროვილი წყალი გამოყენებული იქნება ზაფხულის გვალვებში სარწყავად.

ამ ხუთწლედშივე უნდა აშენდეს ინდივიდუალური დასახლება სოფლის ახალგაზრდობისათვის, სადაც ძირითადად ახლად შექმნილი ოჯახები დაიდებენ ბინას. დაგეგმილია აშენდეს სამი ათასი ტონის ტევადობის სამაცივრე დანადგარი თავისი საქვაბე მეურნეობით, რომელიც პარალელურად სპორტულ კომპლექსსაც მოემსახურება.

მიმდინარეობს ფოსტა-ტელეგრაფისა და აფთიაქის მშენებლობა, ვაშენებთ საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლს, კეთილმოწყობილი ორსართულიანი მაღაზია და პიონერთა სახლი კიდევ უფრო დაამშვენებს სოფლის ცენტრს.

ეჭვი არავის ეპარება, რომ დანაპირები უთუოდ შესრულდება.



## ჩინგიზ აითმატოვი

### (ნაწყვეტი რომანიდან)

მე დავიბადე, როცა იმძლავრა ეჭვების ძალამ, რომელმაც შვა ახალ-ახალი ეჭვების რიგი. მე ვარ ნაყოფი იმ პროცესისა, ვინც ერთმა მხარემ შეაჩვენა, მეორემ კი არ მიიღო მთელი თავისი სირთულეებით. რას იზამ კაცი, როგორიც მე ვარ, ისტორია იმისთანებზე ჯავრს იყრის ხოლმე... ასე ვფიქრობდი, როცა ვიდექი და ძველბულგარულ ჰიმნებს ვუსმენდი.

საგალობელი საგალობელს მისდევდა და ჟღერდა ისინი ამ დარბაზში, როგორც ნახმევი გარდასულ დროთა. ბიბლიურ ვნებათ — „მსხვერპლ შესაწირი“, „ყრმათა მოსვრა“ და „ანგელოზი ღაღადებს“ — ენაცვლებოდნენ სჯულისათვის სხვა წამებულთა გოროზი და გზნებით სავსე სადიდებელნი. და თუმც აქედან ბევრი ჩემთვის ნაცნობი იყო, სიტყვის უთქმელად მატყვევებდა თვით ქმედება—ამ ათ კაცს ჯადოთი როგორ შეეკრა და დიდ ხელოვნებად გარდაიქმნა უკვე ნაცნობი, რომლის სიძლიერეს ის განსაზღვრავს, ისტორიულად თუ რამდენი დაიტია სულმა ხალხისამ — ვინც ბევრი ტანჯვა გამოიარა, მან ბევრი რამ შეიცნო და ბევრ რამეს ჩასწვდა.

ვუსმენდი სოფიელ მომღერალთა ხმებს, საკუთარი გალობით დამთვრალთ და შთაგონებულთ, ვუცქერდი მათი ნაკვთების მოძრაობას და უეცრად შევამჩნიე, რომ ერთი მათგანი, მარცხნიდან მეორე, ამ შავგვრემან და შავთმიან ბულგარელთ შორის ერთადერთი ქერა კაცი, მე ძალიან მგავს. რა საკვირველი ყოფილა თურმე იმ კაცის ნახვა, ვინც შენ ასე გგავს. თვალნაცარასა და მხრებვიწროს — იმასაც ალბათ უდღეურას ეძახდნენ პატარაობისას — გრძლად მოშვებული ქერა თმა და ძარღვიანი, გამჭლეული მკლავები ჰქონდა. იქნებ თავის გაუბედაობას ამ გალობით სძლევდა იგი, როგორც ჩემი შებოჭილობის დასაძლევად საუბრის გადატანა ხანდახან ჩემთვის ახლობელ თეოლოგიურ საკითხებზე მიხდება ხოლმე. ალბათ რა სულელი ვილაცა ვჩანდი, როცა ასეთ სერიოზულ საუბრებს ახლად გაცნობილ ქალებს ვუწყებდი. ეს თვალნაცარა მომღერალი სახითაც კი მე ჩამომგავდა — შევარდნილი ლოყები, ოდნავ კეხიანი ცხვირი, ორი ნაოჭი შუბლის გასწვრივ — და რაც ყველაზე საოცარია — ზუსტად ისეთი წვერი, როგორსაც გაპარსვამდე მე ვატარებდი. და როცა უნებლიეთ ხელი წავილე ჩემი ყოფილი წვერისაკენ, კვლავ გამახსენდა, რომ ხვალ უნდა გზას გავუდგე ანაშის მომპოვებლებთან ერთად და მევე გავვოცდი: სად მივდივარ ან რისი გულისთვის? სად ეს ღვთაებრივი ჰიმნები და სად სადგურის უთო-მებარგეთა ბინძური ვნებანი, მყრალი ბალახის მყრალი კვამლით ნაშობი. მაგრამ ყველა დროსა და ჟამს ადამიანთა ნამდვილი ყოფა მისი ავით თუ კარგით მუდამ ტაძართა მიღმა მიედინებოდა და ამით არც ჩვენი დრო ჩაითვლება გამონაკლისად...

აი, რა დამთხვევა აღმოვაჩინე მე იმ კონცერტზე. მერე უკვე თვალი აღარც მომიწყვეტია იმ ჩემი ორეულისთვის, ვაკვირდებოდი, როგორ მღეროდა, როგორ უგრძელდებოდა იმ დროს სახე, ფართოდ და თანაგრძნობით სავსეს ასე მეგონა, ის როგორ აღებდა პირს, ხმას რომ უწევდა. მე ვიყავი, მე იმად გარდავიქმენი და მეც თითქოს გალობაში ვმონაწილეობ. მღეროდა მთელი ჩემი არსება, მე და გუნდი ერთურთს შევეწყეთ, და ამიტანა ძმობის, ერთობის, სიდიადის გასაოცარმა რაღაც გრძნობამ, თითქოსდა დიდი ხნის განშორების შემდეგ კვლავ შევიყარეთ — დაკაცებულნი, ძალით სავსენი და ჩვენი მოზეიმე ხმები ზეცას სწვდება, და მიწა ჩვენ ფეხქვეშ მყარია და შეურყეველი. ჩვენ კი ვიმღერებთ, ვინემ გვემღერება, ვიმღერებთ განუწყვეტლივ და დაუსრულებლივ...

ასე გალობდნენ ისინი და მეც მათთან ერთად. მისთანა გასაოცარი თავდავიწყება მიგრძვნია მაშინ, როცა კი ძველი ქართული სიმღერები მომისმენია. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ საკმარისია თუნდაც სამმა ქართველმა იწყოს სიმღერა, თუნდაც ყოვლად ჩვეულებრივი იყვნენ ისინი — მყის მეხსნება სულის ყველა კარი და მოდუღს იქიდან ყველაფერი, რაც დაგროვილა, და სუნთქავს ხელოვნება, სადა და იშვიათი თანაზომიერებით, სულის ზემოქმედების ძალით. ალბათ ბუნებამ მიჰმადლათ ეს გამორჩეული ნიჭი. ალბათ კულტურის ტიპის წყალობაა ან იქნებ ღვთისგან აქვთ ნაბოძები. და თუმც არ მესმის, რაზე მღერიან, მთავარი ჩემთვის მაინც ისაა, მათთან ერთად მეც რომ ვმღერივარ.

ამ ფიქრებით ვუსმენდი გალობას და უეცრივ თითქოს ტვინი გამეხსნა. ახლაღა მივხვდი ერთხელ წაკითხული ქართული მოთხრობის აზრს. ეს პატარა მოთხრობა იყო, სათაურით „ექვსნი და კიდევ მეშვიდე“. ასეთი მოთხრობებით გავსებულია პერიოდული ჟურნალ-გაზეთები, ვერც იმას ვიტყვი, რალაცით გამოირჩეოდა-მეთქი. მას უფრო შინაარსობრივი ეთქმოდა, ვინემ ფსიქოლოგიური, უფრო რომანტიკული იყო, მაგრამ მისი ბოლო კი არადა არ დამავიწყდა, მისი ბოლო რატომღაც ხიწვივით ჩამრჩა ტვინში.

მოთხრობას, უფრო სწორად, ბალადას „ექვსნი და კიდევ მეშვიდე“ (მისი არცთუ ისე ცნობილი ავტორის რთული გვარი აღარ მახსოვს) ყოვლად ტრივიალური შინაარსი აქვს. რევოლუციის ცეცხლი გიზგიზებს, სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომია გაჩაღებული. რევოლუცია ძალებს იმტკიცებს მტერთან უკანასკნელ ბრძოლებში, მაშასადამე, საქართველოსაც ტიპიური ისტორიული დასასრულის ჟამი მოუდის, ანუ რევოლუცია აქაც იმარჯვებს და შეიარაღებულ კონტრრევოლუციონერთა უკანასკნელ ნაშთებს დევნის ყველაზე მივარდნილი მთის სოფლებიდან, იმ ძირითადი კანონის თანახმად — თუ მტერი არ დაგნებდა, ის უნდა მოსპო. მაგრამ სისასტიკე რომ პასუხად სისასტიკეს შობს — ეს კანონიც ძველისძველია. ყველაზე მეტი გაავთრებით გულადი გურამ ჯოხაძის რაზმი იბრძოდა, ვინც მშვენივრად იცნობდა იქაურ მთებს — ერთ დროს მწყემსი იყო, იმ მხარეში ცხენით ნავალი — და ვინც ახლა კადნიერ და მოუხელთებელ თავდამსხმელად ქცეულიყო, კლასობრივ ბრძოლაში გზააბნეული. თუმცა მისი დღეებიც უკვე დათვლილი იყო. ბოლო ხანებში მარცხს მარცხი სდევდა. გურამს რაზმში ჩეკისტი კაცი შეუგზავნეს, რომელმაც სასწორზე შეიგდო თავი, რადგან თუკი მიუხვდებოდნენ, აშკარა იყო, რა დღეც ელოდა. მაგრამ მან გურამის ნდობა მოიხვეჭა და მისი ერთ-ერთი თანამებრძოლი გახდა. ჩეკისტმა ისე მოახერხა, რომ დიდი ბრძოლის შემდეგ უკანდახეულ გურამ ჯოხაძესა და მის შეთხელებულ რაზმს მდინარის გადასასვლელზე ჩასაფრებული მტერი დაუხვდებოდა. როცა გაჭენებული ცხენებით რაზმი ნაპირს მიადგა და წყალში შეიჭრა, ჩეკისტს ვითომ მოსართავი გაუწყდა და ჯაგნარებში ჩავარდა. ჯოხაძის მხედრების დიდი ხროვა კი ამასობაში გაფიცხებული ცხენებით მთის განიერი მდინარის ჩქერებს მიარღვევდა, მაგრამ შუა წყალში, სადაც არაფერი ეფარებოდათ, წინასწარ ჩამალულმა ორმა ტყვიამფრქვევმა გაღმა-გამოღმა ნაპირებიდან ცხრილვა დაუწყო და ტყვიების დამსერავ ალყაში მოაქცია. აირია ყველაფერი, იღუპებოდნენ რაზმელები, იხრჩობოდნენ მთის წყალში, მაგრამ გურამ ჯოხაძეს ღმერთი წყალობდა! იგი დაუსხლტა ტყვიებს, უკან მობრუნდა და ღონიერმა ცხენმა ნაპირის გასწვრივ ჯაგნარებში ქარივით გააქანა. კვალდაკვალ კი ჭენებ-ჭენებით მიჰყვა სიკვდილს გადარჩენილი რამდენიმე ერთგული მხედარი, მათ შორის ის ჩეკისტიც, რომელიც, იყნოსა რა ოპერაცია მთლად წარმატებით ვერ დამთავრდა და მეთაური სასჯელს გაექცევაო, მაშინვე მათ შეუერთდა.

ტყვიამფრქვევებით ეს კაცთა ხვრეტა მდინარეზე ჯოხაძის რაზმის საბოლოო დამარცხებას ნიშნავდა, მის სრულ განადგურებას სინამდვილეში.

მდევარს რომ მოწყდა, გურამ ჯოხაძემ შეაჩერა ქანცგაწყვეტილი ცხენი. რაზმიდან თურმე ჯოხაძის ჩათვლით შვიდი კაცილა დარჩენილიყო, მეშვიდე ჩეკისტი გახლდათ, სახელად სანდრო. მოთხრობის სათაურიც ალბათ აქედან მოდის — „ექვსნი და კიდევ მეშვიდე“.

სანდროს ბრძანება ჰქონდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ბანდის მეთაური — გურამ ჯოხაძე მოეკლა. მისი სიცოცხლე დიდძალ თანხად იყო შეფასებული. მაგრამ ფულზეც არ იყო საქმე, ამ ბრძანების შესრულებას ახლა ვაჟკაცობა უფრო სჭიროდა. უკვე ნაღდი იყო, რომ ჯოხაძე ბრძოლაში აღარ ჩაებმებოდა, სადაც მის მოკვლას შეძლებდა კაცი. ახლა, როცა

• ჩინგიზ აითმათოვის ახალი რომანი „პლახა“ მთლიანად დაიბეჭდა ჟურნალ „ნოვი მირის“ 1986 წლის მე-6-8-9 ნომრებში. „პლახა“ ქართულადაა კუნძი, მორი, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით — თხემის ადგილი, საჯალათო კუნძი. გამოთქმას „ИТТИ на плаху“ ქართულად შეესატყვისება „თავის დადება“ ან „თავის განწირვა“.

# ბედი საჯედისა

სინამდვილეში თითქმის მარტოკა დარჩა, მახეში შედენილ ნადირივით მხოლოდ თავისი სიმარჯვის იმედზე იქნებოდა და მეტისმეტადაც იფრთხილებდა. ცხადი იყო, რომ ვინემ პირში სული ედგა, სიცოცხლეს იგი უბრძოლველად არ დასთმობდა...

მაგრამ მე კი ყველაზე მეტად ამ ამბის დასასრულმა შემძრა...

მდინარეზე ესოდენ სასტიკი განადგურების შემდეგ გურამ ჯოხაძემ, რომელმაც ამ ხეობებში ყველა გზა თუ გასასვლელი იცოდა, იმავ დღის საღამოს ერთ თითქმის მიუვალ ადგილზე გააჩერა ცხენი — ეს მთაზე შეფენილი ტყე იყო თურქეთის საზღვრის ახლოს. ჰოდა, მოხადეს რა ცხენებს უნაგირი, ის ექვსნი და კიდევ მეშვიდე დაოსებულნი მიეყარნენ მიწაზე. ხუთს მაშინვე მკვდარივით ჩაეძინა, ორს კი არა. არ ეძინა სანდრო ჩეკისტს, არ ასვენებდა იმაზე ფიქრი, როგორ მოიქცეს, როგორ მიაღწიოს მიზანს, როგორ შეასხას ხორცი შურისგებას. არ ეძინა იმ მომსვრელი უბედურების შემდეგ მამაც გურამ ჯოხაძესაც — გულს უკლავდა რაზმის განადგურება, აწამებდა ხვალინდელ დღეზე ფიქრიც. ერთმა ღმერთმა იცის, კიდევ რაზე ფიქრობდა ეს ორი შეურიგებელი მტერი, რევოლუციის მიერ გათიშული ეს ორი კაცი.

სავსე მთვარე დაჰნათოდათ სასთუმლის მარჯვნივ. ტყე მძიმედ და ყრუდ შრიალებდა, როგორც ღამით სჩვევია ხოლმე, ქვემოთ დაუდუმებლად მიჩხრიალებდა ქვებზე მდინარის წყალი, გალურსულიყვნენ ირგვლივ მთები. ანაზდად ჯოხაძე ზე წამოიჭრა, თითქოსდა რაღაცამ შეაშფოთაო.

— არ გძინავს, სანდრო? — გაკვირვებით ჰკითხა მეშვიდეს.

— არა, რა იყო? — თავის მხრივ კითხვა შეუბრუნა მეშვიდემაც.

— არაფერი. ძილი არ მეკარება, რატომღაც ვერ მომისვენია, მთვარე ძალზე ანათებს. წავალ და ისევ გამოქვაბულში დავწვები, — ჯოხაძემ ნაბადი, იარაღი და უნაგირი აიღო, თავთან რომ ედო, და წასვლამდე ეს დაატანა: — დანარჩენზე, ხვალ ვილაპარაკოთ. სალაპარაკოდ დიდი დრო არც დაგვრჩენია.

თქვა და წავიდა, გამოქვაბულის პირთან დაწვა — მწყემსად ყოფნისას ამ გამოქვაბულს ავდარში ბევრჯერ შეფარებია — და ახლაც იქნებ იმიტომ შეეფარა, ის თავისი უსაზომო ავბედობა განეცადა, ან სულაც გულმა უკარნახა იქ დაწოლა, სადაც ვერავინ მიეპარებოდა, თვითონ კი ყველას დაინახავდა, ვინც კი გამოქვაბულის მიახლოებას დააპირებდა. სანდრო აფორიაქდა: რითი აეხსნა მეთაურის, კაცმა რომ თქვას, ეს დიახაც გონივრული საქციელი? რამე იაზრა?

ასე გალიეს ის ღამე, დილით კი გურამ ჯოხაძემ ცხენების შეკაზმვა ბრძანა. არა კაცმა არ იცოდა, რა ედო გულში და რას აპირებდა. როცა ცხენები შეკაზმეს და ყველანი უხმოდ დაუდგნენ წინ, თავთავიანთი ცხენის ლაგამით ხელში, ჯოხაძემ ამოიხვნეშა და თქვა:

— არა, არ გვმართებს ჩვენი მიწიდან ასე წასვლა. დღეს ჩვენს მიწას უნდა გამოვეთხოვოთ, მიწას, რომელმაც გამოგვზარდა, მერე კი სხვადასხვა მხარეს გავიფანტოთ. მაგრამ ვინემდე ამ მიწაზე გვიდგას ფეხი, ისე მოვიქცეთ, როგორც საკუთარ სახლში.

ორი მხედარი მან ყველაზე ახლო სოფელში გაგზავნა, სადაც თავისი ერთგული კაცნი ეგულებოდა, ღვინის და საჭმლის მოსატანად, კიდევ ორი, სანდრო და მეორე ყმაწვილი ბიჭი ცხენების საყარაულოდ და ცეცხლისთვის ფიჩხის მოსაგროვებლად დატოვა, თავად კი ორ დარჩენილ რაზმელთან ერთად სანადიროდ გაეშურა — თუ ბედმა გაგვიღიმა, რამე ნანადირევს მოვიტანთ ან სულაც შველს მოვკლავთ გამოსათხოვარი ვახშმისათვის.

სხვა რა დარჩენოდა სანდრო ჩეკისტს დამორჩილებისა და იმ ხელსაყრელი შემთხვევის დაცდის მეტი, როცა ნაბრძანების შესრულება შეეძლებოდა. მაგრამ ჯერხანობით ამ ხელსაყრელ შემთხვევას პირი არა და არ უჩანდა.

საღამოს ის ექვსნი და კიდევ მეშვიდე ხელახლა შეიყარნენ. ტყის პირას, გამოქვაბულის გვერდით ცეცხლი ააგიზგიზეს, სოფლიდან ჩამოტანილ ტილოზე პური, ღვინო, მარილი და საჭმელი გაშალეს, რაც კი ჯოხაძის ერთგულ კაცებს გამოეტანებინათ. როცა ცეცხლი ბრიალ-ბრიალით ავარდა, შვიდივე ახლოს მოდგა.

— ყველამ შეკაზმა ცხენი და ყველა მზადაა ცხენს მოახტეს? — იკითხა გურამ ჯოხაძემ.

ყველამ უხმოდ დაუქნია მეთაურს თავი.

— გამიგონე, სანდრო, — მიუბრუნდა გურამ ჯოხაძე, — შენა კარგი მოგიგროვებია, მშვენივრად იწვის, ოღონდ კოცონიდან ასე შორს რად დაგიწყვია.

— ეგ ნუ გადარდებს, გურამ, მე მომანდე, ცეცხლზე პასუხს მე ვაგებ.

და ჯოხაძემაც თქვა:

— მეგობარნო, ჩვენი საქმე წაგებულია. ორი მხარე როცა იბრძვის, ვიღაც იმარჯვებს, ვიღაც მარცხდება. ესაა ომი. სხვისი სისხლი ჩვენც ვღვარეთ და ჩვენი სისხლი სხვებმაც დაღვარეს. ამა თუ იმ მხრიდან ბევრმა კარგმა ვაჟკაცმა წააგო თავი. რაც იყო, იყო. შენდობასა ვთხოვ, როგორც დაღუპულ ჩემიანებს, ისე დაღუპულ მტრებსაც. ომში მოკლული მტერი უკვე მტერი არაა. ახლა რომ ცხენზე ვიჯდე, დაღუპულებს მაინც შენდობას ვთხოვდი, მაგრამ ბედმა კუხი გვიბრუნა და ხალხის უმრავლესობამაც ზურგი გვაქცია. მიწასაც კი, სადაც ვშობილვართ და გავზრდილვართ, აღარ უნდა ჩვენი ტარება. ამ მიწაზე ჩვენი ადგილი აღარაა. და აღარც შენდობა გვაქვს. გამარჯვება მე დამრჩენოდა, მტერს არ შევიწყალებდი, ვამბობ აგერ ღმერთის წინაშე. ჩვენ მხოლოდ ერთი გზა დაგვრჩენია. სული შევინარჩუნოთ და ცხრა მთას იქით გადავიხვეწოთ. აგერ იმ მაღალი მთის გადაღმა თურქეთია, ხელის გაწვდენაზე, ცოტა იქით, ქედმიღმა, საიდანაც ახლა მთვარე ამოდის — ირანია. ამოირჩიეთ, ვის საით გინდათ. მე თვითონ თურქეთში წავალ და სტამბოლში გემების მტვირთავად დავდგები. ყოველმა ჩვენგანმა ახლავე უნდა გადაწყვიტოს, სად უჯობს თავის შეფარება. ჩვენ შვიდნი დავრჩით. რამდენიმე ხნის შემდეგ სათითაოდ უცხო მიწის გზას გავუდგებით შვიდი სხვადასხვა მიმართულებით. ამქვეყნად მიმოფანტულებს ყველას მოგვიწევს ჩვენ-ჩვენი მწარე ფიალის შესმა, აწ ერთმანეთს ვეღარ ვიხილავთ. ეს უკანასკნელი დღეა, როცა ჩვენ შვიდნი, ვინც კი გადავრჩით, ერთადა ვართ, ერთმანეთს ვხედავთ და ერთმანეთს ვუსმენთ. მაშ, მოდით, გამოვეთხოვოთ ერთმანეთს, გამოვეთხოვოთ ჩვენს მიწას, ქართულ პურ-მარილს, გამოვეთხოვოთ ჩვენს ღვინოს. ასეთ ღვინოს ვეღარასოდეს ვეღარ ვიგემებთ. გამოთხოვების შემდეგ კი ყველა ჩვენ-ჩვენს გზას გავუყვებით. მივდივართ ცარიელ-ტარიელნი, კენჭი რაა, კენჭი არ მიგვაქვს ქართული მიწის. მამულს

კაცი თან ვერ წაიღებ, წაიღებ მხოლოდ დარდს და კაეშანს, ტომარასავით წამოკიდება მამულისა კაცს რომ შეეძლოს, გროში-კაპიკი იქნებოდა იმისი ფასი. მაშ შევსვათ ღვინო უკანასკნელად და უკანასკნელად შემოვძახოთ ჩვენი სიმღერები...

გლეხის დაწურული ეს ტიკის ღვინო იყო ნაზავი მიწიურის და ზეციურის. მან ვაჟკაცური ბრუჟი მოჰგვარათ და თან სურვილი მწუხარების გადმონთხევისა. სულში კვლავ ჭიდილი შექმნა ლხინმა და ჭირმა. და მისდათავად გადმოჩუხჩუხდა სიმღერის ჰანგი, როგორც მთის კალთიდან, ქვებსა და ქვებს შუა გადმოიჩუხჩუხებს წყაროს წყალი და ყოველივეს, რაც გზაში ხვდება, ააყვავებს და გაამრავლებს. და ჰა, ხმადაბლა დააგუგუნეს მამაპაპური სიმღერა იმათ. ჰა, ნელინელ იმძლავრა ხმებმა ხორხისმიერმა, ახმიანდა და არაკრაკდა, როგორც წყარო მთის კალთიდან — დიდებულად მღეროდა შვიდივე კაცი, რამეთუ ქართველს ვერ ნახავ, სიმღერის მადლი არ სცხებოდეს. მღეროდნენ შეწყობილად, ყველა მისებურად, მისი ძალის შესაფერისად, და აგუგუნდა სიმღერა, როგორც კოცონი, რომლის ირგვლივაც ისინი იდგნენ.

ასე დაიწყო გამოსათხოვარი სიმღერები იმ შვიდმა კაცმა, უკეთ, ექვსმა და კიდევ მეშვიდემ. თუმცა მეშვიდეს წუთითაც არ დავიწყებია, რა ამოცანაც მას ევალა. არც ერთი ამ კაცთაგანი, უპირველესად კი გურამ ჯოხაძე უცხოეთში დაუსჯელად ვერ წავიდოდა. ამას იგი, ჩეკისტი კაცი, ვერ დაუშვებდა — ბრძანება ასე იუწყებოდა. და ისიც მოვალე იყო, ეს ბრძანება შეესრულებინა.

ჭექდა სიმღერა სიმღერაზე და სვამდნენ ღვინოს, რომელსაც რაც უფრო მეტს სვამ, მით უფრო მეტად შედიხარ ეშხში, მით უფრო მეტ ცეცხლს გიკიდებს სულში, კიდევ უფრო მეტად გწყურდება ეს ღვინოცა და ეს სიმღერებიც.

ისინი ცეცხლის გარშემო იდგნენ, ზოგჯერ ერთმანეთს მხარზე ხელებს აწყობდნენ, ზოგჯერ მკლავები მოწყვეტით ძირს უცვივდებოდათ, ზოგჯერ კი ცისკენ აღაპყრობდნენ, როცა უნდოდათ განგების ძალას, უცნობელსა და უშორებელს, მაგრამ ყოვლისმხედველსა და ყოვლისმცოდნეს, მათთვის ესმინა, თუ ღმერთი ყველაფერს ხედავს და ყველაფერი იცის ღმერთმა, მაშ რად სდევნის მათ საკუთარი მიწაწყლიდან? ან რადაა ასე წუთისოფელში, რომ ადამიანებმა უნდა იომონ, სისხლი და ცრემლი ღვარონ, რომ ყოველმა კაცმა თავისი თავი მართლად ჩათვალოს, სხვა კი მტყუანად. ან სადაა ჭეშმარიტება და ვისა აქვს ნება მისი წარმოთქმის? სადაა ის წინასწარმეტყველი, ვინც მათ განსჯის სამართლიანად? სხვა რაზე, თუ არა ამ ჰანგებად გადმონთხეულ ტანჯვა-წამებაზე, დიდი ხნის წინ განცდილსა და გააზრებულზე მამა-პაპათაგან, ვით ოდინდელი გამოცდილება ავის და კარგის, ხოლო მათ მიერ შეგრძნობილზე სილამაზის და მარადიულობის მთელი ძალით, ჟღერდა ხალხის ხსოვნაში შემონახული ეს ძველისძველი სიმღერები? იმიტომაც სიმღერა სიმღერაზე ილვრებოდა ცეცხლის ირგვლივ კვლავ წრედ შემორტყმულ ამ შვიდი კაცის ბაგეთაგან, მხოლოდ მეშვიდე სანდრო დროდადრო წრიდან გადიოდა შეშის მოსატანად და ცეცხლის შესაკეთებლად. მაშ ტყუილა ხომ არ შეაქუჩა მან (უმიზეზოდ განა რა ხდება წუთისოფელში) ფიჩხის ვეება გროვა ტყეში. სამაგიეროდ ახლა ის იყო ცეცხლის გამრიგე. სხვებივით ისიც მღეროდა მთელი სულით და მთელი გულით — სიმღერა ხომ ყველას ეკუთვნის ერთნაირად. განა არსებობს სიმღერები, მეფეთა გარდა არ შეეძლოთ სხვებს მათი მღერა, როგორც არაა სიმღერები მხოლოდ მდაბალთა ღირს-საკადრისი. იმღერე და მოილხინე, იდარდე და ცრემლები ღვარე, იცეკვე და დაუარე, ვინემ პირში სული გიდგას...

ვინც რომ გიყვარდა და ცახცახით პაემანზე ელოდებოდი, ვინც რომ გადაგიყვარა, შენ კი როგორ იტანჯებოდი, სიკვდილს როგორ ნატრობდი, ვერ გამიგოო, როგორ გინდოდა, შენი უკანასკნელი ამონამღერი მას გაეგო და მოესმინა, ან დედა როგორ გეფერებოდა, ან სად დაეცა მამაშენი და სად დალია სული იმან, როგორ იბრძოდნენ სისხლიან ომში შენი დოსტები, ან რომელ ღმერთებს გაუხსენ სული წმინდა და უანგარო გრძნობის კარნახით, ან თუ იფიქრე, რად ჩნდება ქვეყნად ადამიანი, ან თუ იფიქრე, რომ სიკვდილი მუდამ თანა გდევს, ვიდრემდე სუნთქავ, რომ სიკვდილის შემდეგ სიკვდილი აღარ არსებობს, რომ სიცოცხლე სიკვდილზე უფრო დიდია, რომ ქვეყნად სიცოცხლეზე დიდი ფასი არაფერს არა აქვს — ამიტომაც არავინ არ ჰკლა, მაგრამ თუ მტერმა შენს მიწაზე დაადგა ფეხი, უნდა დაიცვა შენი მიწა, და შენი სატრფოს სახელსაც ისევე უნდა მოფრთხილება, როგორც შენს მამულს; თუ განგიცდია განშორება და მისი სიმწარე, მთასავით მძიმედ რომ დაგაწვება, რომ სატრფოს გარეშე არაფერი არ გაგახარებს: არც ფერები, არც სინათლე და არც ხვალინდელი დღე — და კიდევ რა არ იმღერება სიმღერებში — ყველას აბა როგორ ჩამოთვლი...

და არავინ იყო იმ ღამეს იმ შვიდ ქართველზე უფრო ღვიძლი და ახლობელი ერთმანეთისთვის, ასე მწუხარედ და შთაგონებით რომ მღეროდნენ განშორების ჟამს. სიმღერების ეს სტიქიონი მათ კიდევ უფრო აახლოვებდათ. მაინც რამდენი განცდა შეიძლეს წინაპრებმა, რაოდენი გულში ჩამწვდომი, მარადიული ჰარმონიით სავსე სიტყვა მოიფიქრეს შთამომავლობის სულის სარგოდ. როგორც ჩიტს იცნობ აფრენაზე, ისე სიმღერით ცნობს ქართველი ქართველს ათი ვერსის დაშორებითაც და გეტყვის, ვინ არის, სადაური, რა არის მის თავს, გულში რა უდევს —საქორწილო ნადიმზე იყო თუ გულს დარდი უღრღნიდა...

მთვარე მთებს უკვე კარგა მაღალზე წამოდგომოდა, მის ნაზ შუქში გახვეული იყო მთელი მიდამო — ტყე შემპარავად არხევდა შავ კენწეროებს ნიავის ყოველ დაქროლებაზე, ხმადაბლა მიჩხრიალებდა მდინარის წყალი, ვერცხლის ლივლივით გადადიოდა ლოდიდან ლოდზე, ღამის ფრინველნი ჩრდილებივით უხმაუროდ დაქროდნენ ცეცხლთან შეყრილ მომღერალთ თავზე, შეკაზმული ცხენებიც კი, მოთმინებით რომ ელოდნენ პატრონებს, ყურებს ცქვეტდნენ და თვალებში ცეცხლის ათინათი ერეკლებოდათ... იმ ცხენებს უცხო ქვეყნების გზა ელოდათ და ის ჟამიც სულ მალე ჩამოჰკრავდა...

სიმღერებს კი თითქმის ბოლო აღარ უჩანდა, ალბათ ყველაფრის ამომღერება გადაეწყვიტა გურამ ჯოხაძეს: „მაშ იმღერეთ და სვით ღვინო, მეგობარნო, აწ წრედ არასდროს შევიკრიბებით და ქართული ჰანგი ყურს არ დაგვიტკბობს“... მღეროდნენ ერთად, ხან ცალ-ცალკე, ხან დაუვლიდნენ საკუთარი სიმღერის ხმაზე გამმაგებით და გახელებით, თითქოს სიკვდილი კარს მოდგომოდათ, მერე ისევ წრედ იკვრებოდნენ შვიდივენი, უკეთ, ექვსნი და კიდევ მეშვიდე. სანდრო კი წამდაუწუმ წრიდან გამოდიოდა — შეშას უნთებდა ცეცხლს და ალი ბრიალ-ბრიალით ადიოდა.

გადაწყვიტეს, უკანასკნელად იმღერათ კიდევ, მერე კიდევ, და ისევ კიდევ გამოსათხოვრად, ველარ და ველარ დამცხრალიყვნენ, ხელახლა ისევ წრედ შეიკვრნენ, თავი ჩაჰკიდეს — ნელიად. ძალუმ მომძლავრდა ჰანგი, თითქოსდა მიწის გუგუნი იყო. სანდრო ისევ გაშორდა კოცონს შეშის მოსატანად, თუმც ცეცხლს ჩახჩახი გაუდიოდა. ეს იყო ზუსტი ჩანაფიქრი — აქედან იგი კარგად ხედავდა წრეში დამდგარ ექვსივე კაცს, თავად მას კი, ცეცხლის ალით დაბრმავებულნი, ნათლად ვერ გაარჩევდნენ... მძიმე მაუზერი უკვე ჩახმახზე შეემართა. შურისგების გარდაუვალი ჟამი მოვიდა. ასწია სანდრომ ტყვიებით დატენილი სწრაფადმსროლი მაუზერი, მერე ხელზე დაიყრდნო და პირველი ტყვიით, მეხივით რომ გავარდა ღამის წყვდიადში, მეთაური გურამ ჯოხაძე გააგორა. შემდეგ სიმღერის პირზე შეხმობა არც კი აცალა, დანარჩენებიც მიყოლებით მიაწვინა, ისე რომ გააზრება ვერც კი მოასწრეს, თუ რა მოხდა. ასე ამგვარად ერთხელ კიდევ გადატრიალდა ის ბიწიერი კაცთაკვლის ჩარხი და ერთხელ კიდევ დაღვრილი სისხლის წილ დაინთხა სისხლი.

დიახ, კაცთა ურთიერთობა მათემატიკურ გამოთვლებს არ ექვემდებარება და ამ გაგებით დედამიწა სისხლიან დრამათა კარუსელივით ბრუნავს, ტრიალებს... და ნუთუ ამ კარუსელს უწერია ქვეყნის დასასრულამდე იტრიალოს, ვინემ დედამიწა მზემნათობის ირგვლივ იბრუნებს?

ნიშანი მარჯვედ იყო დამიზნებული, მხოლოდ ერთმა წამოიწია მკლავებზე, მაგრამ სანდრო მყის მიეჭრა და კეფაში ტყვია დაახალა... ცხენები შიშით უკან გახტნენ და მერე ისევ საბელებზე გაინაბნენ...

ცეცხლის ალი კვლავ ბრიალებდა, მიჩხრიალებდა მდინარის წყალი, ტყე და მთები კვლავ ადგილზე იდგნენ, მთვარეც თავის ადგილზე ჩანდა იმ უშფოთველ ცაზე, შეწყდა მხოლოდ სიმღერა, ასე დიდხანს რომ გუგუნებდა იმ საღამოს...

მიტკალივით თეთრი ჩანდა იმ ღამეში სანდროს სახე, სული ეგუბებოდა, დასტაცა ხელი ტიკს და სულმოუთქმელად დაეწაფა ძირში ჩარჩენილ ღვინოს იმ ცეცხლის ჩასაქრობად, რომელიც შიგანს უწვავდა... მერე სული მოიბრუნა, დინჯად ჩამოუარა ცეცხლის ირგვლივ სულ სხვადასხვანაირ პოზაში მიყრილ მოკლულებს, ყველას აართვა საჭურველი, ყველას თავთავის უნაგირის ტახტაზე ჩამოუკიდა, მერე ლაგამი და ავშარა აჰყარა ცხენებს და გაუშვა შვიდივე ცხენი, მათ შორის თავისი ქურანაც... შემდეგ თვალი გააყოლა, თავის ნებაზე მიშვებულები, წალიკ-წალიკად როგორ ჩაუყვნენ გზად მდინარის დაყოლებაზე მთის სოფლებისკენ, ხალხისაკენ... ცხენები ხომ მუდამ კაცთა სადგომს ეტანებიან... მაგრამ აგერ შეწყდა ნალთა თქარუნი და მიიმალა მთვარიან ნისლში ერთმანეთის კვალდაკვალ ქვემოთკენ მიმავალი ცხენთა ლანდებიც...

მოსახდენი უკვე მოხდა. სანდრომ ერთხელ კიდევ შემოუარა ადგილზე ტყვიით სულგაფრთხობილ ექვსს, მერე ცოტაოდ-

## რადიოფონიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილი მეცნიერის, ფსიქოლოგის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი უზნაძის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა. საყოველთაოდ ცნობილია დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიური კონცეფცია — განწყობის თეორია. მას დიდი დამსახურება მიუძღვის აგრეთვე ფილოსოფიურ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარებაში.

დიმიტრი უზნაძე დიდი საზოგადო მოღვაწეც იყო. გთავაზობთ მეცნიერის რადიოთი მიმართვის ტექსტს ქართველი ხალხისადმი 1944 წლის 31 დეკემბერს, სადაც კარგად ჩანს მისი მამულიშვილური შემართება და ღრმა პატრიოტიზმი.

მასალა ამოღებულია არქივიდან. იგი დასრულებული არ არის, მაგრამ, ვფიქრობთ, სათქმელი ნათელია და ვაქვეყნებთ უცვლელად.

# დიმიტრი უზნაძე

1944 წელი არასდროს არ ამოიშლება კაცობრიობის ისტორიის ანალებიდან. ეს ის წელია, როცა საბოლოოდ გადაწყდა კაცობრიობის განვითარების ბედი, როცა მისი მტრისთვისაც ნათელი გახდა, რომ ისტორიის ჩარხის უკუღმა შეტრიალება ისეთს ჯოჯოხეთურ ზრახვასაც კი არ ძალუძს, როგორიც თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულს, ყველაფრის პროგრესიულისა და ადამიანურის მიმართ უსაზღვრო ზიზღით აღსავსე ფაშისტურ ავაზაკებს ამოძრავებს. 1944 წელს კაცობრიობის ავანგარდმა საბჭოთა კავშირმა სასიკვდილოდ დაკოდა ჰიტლერული მხეცი, სამუდამოდ განდევნა იგი თავისი საზღვრებიდან და დაედევნა მას, რათა ბოლო მოეღოს მხეცს საკუთარ ბუნაგში, და თავის მოკავშირეებთან და ყველა თავისუფლებისა და კულტურის მოყვარულ ხალხთან ერთად კაცობრიობის უსაშინლესი მტრის ძირფესვიანად მოსპობის ზეიმი იდღესასწაულოს.

დგება 1945 წელი. ვულოცავ ჩვენს ხალხს ბედნიერ 1945 წელს, კიდევ უფრო ბედნიერს, ვიდრე გასული 1944 წელი იყო: საბჭოთა კავშირის ხალხთა მისწრაფებები და გმირობა იმთავითვე უზრუნველყოფენ მომავალი წლის უდიდეს წარმატებებს. 1945 წელი უმნიშვნელოვანესი წელია, კაცობრიობის მტრებთან უკანასკნელი შებრძოლებისა და მასზე საბოლოო გამარჯვების წელი. ეჭვი არაა, საბჭოთა ხალხი, გმირული სულისკვეთებით გამსჭვალული, კვლავინდებურად განაგრძობს თავისი მისიის შესრულებას, რომელიც მას ისტორიამ დაავალა; თითოეული ჩვენგანი დაუღალავად იბრძოლებს იმისთვის, რომ მისცეს ხალხს მაქსიმუმი იმისა, რისი მიცემაც მას ევალება და შეუძლია. ჩვენი ვალია, შევხვდეთ ახალ წელს ჩვენი მუშაობის გარკვეული პერსპექტივით, ნათელი გეგმით, ურყევი აღთქმით, რომ ვერაფერი შეგვიშლის ხელს ჩვენს მოვალეობათა განუხრელად შესრულებაში. კერძოდ, მე და ჩემი თანამშრომლები — მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის მუშაკნი, არაფერს დავზოგავთ იმისათვის, რომ მომავალი 1945 წლის ჩვენი მეცნიერული და საზოგადოებრივი...

ნავ განზე მიდგა, მაუზერი საფეთქელთან მიიტანა და სროლის ხმამ ერთხელ კიდევ გადაიქუხა მთებში. ახლა იგი მეშვიდე იყო, წუთისოფელში თავისი სიმღერები რომ მოათავა.

ასე დასრულდა ის ქართული ბალადა.

ეს გამახსენდა ანაზდად, როცა მუზეუმში ბულგარელ მომღერლებსა და ძველბულგარელ საეკლესიო ჰიმნებს ვუსმენდი. ეს ჰიმნები ადამიანებმა შექმნეს, ასე ზეშთაგონებით და თავდავიწყებით რომ შეჰგოდებდნენ საუკუნეთა წყვდიადიდან მამაზეციერს, მათ მიერვე შექმნილ არარეალობას, კაცთა მიერვე გადაქცეულს სულიერ რეალობად, რომელთაც მტკიცედ სწამდათ, რომ ამქვეყნად ეგზომ ეულად დაშთენილნი, მხოლოდ ჰიმნებსა და ლოცვებში ჰპოვებდნენ მას.

რაღაც წამებში გავიხსენე და განვიცადე მე ეს ამბავი. ფიქრი ჩქარია, მასთან შედარებით არარად ჩანს სინათლის სიჩქარეც კი, ფიქრს ძალუძს წარსულში გაგაქროლოს და მერე დროის და სივრცის პირუკუ უკან გამოგაბრუნოს ყველაზე სწრაფად...

და მე ვიწამე, რომ იმ წლებში მართლაც შეიძლება, ეს მომხდარიყო მოთხრობის ბოლოს ავტორი წერდა, რომ სანდრო ანუ მეშვიდე, სიკვდილის შემდეგ რაღაც ორდენით დააჯილდოვეს.

მაგრამ სამოქალაქო ომების ტრაგედიები რომ ერების ტრაგედიად არ ქცეულიყო, ერთთა გაძალიანებას ახალმოსული ისტორიის წინააღმდეგ და მეორეთა მოუთმენლობას ამავე ისტორიის დამაჩქარებელი ბრძოლისათვის ცხოვრება ძირფესვიანად არ შეეცვალა, მაშინ რევოლუციის ყანობირზე ასეთ შემზარავ სვრელებს რა გაავლებდა და განა ასე დასრულდებოდა ეს ქართული ბალადაც?.. ფასს ხომ ფასით შეიცნობს და აღიქვამს კაცი. იმ მეშვიდეს ხომ შეეძლო გამარჯვება ეზეიმა და ცოცხალი დარჩენილიყო, მაგრამ არ დარჩა — რატომ, ვერავინ ახსნის. ყველას შეუძლია თავისებურად ახსნას და განმარტოს იგი. მაგრამ მე კი იმ წუთებში, როცა ბულგარულ გალობათა ნავით მივცურავდი ცად ამაღლებული სულის თეთრი აფრებით, მარად რომ სერავს სადღაც შორს ყოფიერების ღია ოკეანეს, ფიქრად მომივიდა, რომ ქართული ბალადის ასე დასრულების მიზეზი იყო ის სიმღერები, ამ შვიდი კაცის რწმენას რომ შეიცავდა.

როცა კაცი აღმოაჩენ შენთვის რაღაცას, თანხმიერება გეუფლება და სულში ნათელი გეფინება. რომ ვუყურებდი, რა სიწმინდით, თავდადებითა და შთაგონებით უბრწყინავდათ თვალები სოფიელ მომღერლებს მათთვის სანუკვარ გალობათა შესრულებისას, დაძაბულებს ოფლის ღვარი სახეზე როგორ სდიოდათ, შემშურდა კიდეც, მეც მათ შორის რომ არ ვიდექი და ის ჩემი ორეული მე არ ვიყავი.

და უეცრად, ტალღებად მოზღვავებულ იმ ნათელით სულგახსნილმა, ეს გავიფიქრე: საიდანა აქვს, ვინ მისცა ადამიანს ეს ყველაფერი — მუსიკა, სიმღერები თუ ლოცვები, რად იგრძნო და დღემდეც გრძნობს მათ საჭიროებას? იქნებ გუმანმა უკარნახა, რაზომ ტრაგიკულია მისი ყოფა წუთისოფლის ჩარხის ტრიალში, სადაც ყველაფერი წარმავალია, მიდის ძველი და მოდის ახალი, ისევ მიდის და ისევ მოდის, და მათი წყალობით ძალუძს მხოლოდ მას გამოთქმა, აღნიშვნა და უკვდავყოფა თავისი თავის. აკი როცა დადგება ჟამი ქვეყნის აღსასრულისა მილიარდობით წლების შემდეგ და ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლე ჩაიფერფლება, აღარ იქნება — რაღაც მსოფლიო შეგნებასა და გონს, სხვა გალაქტიკებიდან მოსულს, უთუოდ უნდა ესმას ამ დიდ მდუმარებასა და სიცარიელეში ჩვენი მუსიკა და სიმღერები. აკი გაჩენის დღიდან აღუხოცველად მოგვნიჭებია ლტოლვა იმისა — სიცოცხლის შემდეგაც რომ ვიცოცხლოთ! რაზომ დიდს ნიშნავს, რაზომ აუცილებელია კაცთათვის სწამდეთ ის, რომ სიცოცხლის ასეთი გაგრძელება პრინციპში მაინც შესაძლოა, ალბათ მოიფიქრებენ ადამიანები თავიანთ შემდგომ დატოვონ რაღაც ავტომატური მოწყობილობა, რაღაც ვოკალურ-მუსიკალური მუდმივი ძრავა — იმის ანთოლოგია, რაც კი კაცობრიობის კულტურას საუკეთესო შეუქმნია თავისი არსებობის მანძილზე. და მომღერალთა გალობით დამტკბარს მწამდა, მჯეროდა, რომ ვინც ამ სიტყვებსა და ამ მუსიკას მოისმენს და გაიგონებს, მიხვდება, იგრძნობს, რა წინააღმდეგობებით სავსე არსებები, რა გენიალური და ტანჯულნი ვიყავით კაცნი, გონის ეს ერთადერთი მფლობელნი დედამიწაზე.

სიკვდილ-სიცოცხლე, სიყვარული, სიბრალული და შთაგონება ეს ყველაფერი მუსიკაში იქნება თქმული, რამეთუ მუსიკაში შევძელით ჩვენ უზენაესი თავისუფლების მიღწევა და მოპოვება, რომლისთვისაც ვიბრძოდით მთელი ისტორიის გაყოლებაზე შეგნების პირველ გაკრთომისთანავე და რისი მიღწევაც მხოლოდ და მხოლოდ მუსიკაში გვეხელმწიფა. მხოლოდ მუსიკამ გადალახა ყველა დროის დოგმები და მხოლოდ ის ილტვის მარად და მუდამ მყობადისაკენ... იმიტომაც მიმადლებია მას იმისი თქმა, რისი თქმაც ჩვენ ვერ შევძელით...

თარგმნა **რუსუდან ქებულაძემ.**




# შესიტყვება საქართველოსთან

**ვიტალი კოროტიჩი,**
ჟურნალ „ოგონიოკის" მთავარი რედაქტორი

**ძვირფასო მეგობრებო!**

მე მუდამ განვიცდი საქართველოსთან შესიტყვების აუცილებლობას. ჩემს კაბინეტში დევს მასალები საქართველოზე. ეს მასალები იმიტომ იბეჭდება, რომ მე მიყვარს საქართველო. ქუთაისის საპატიო მოქალაქე გახლავართ. ეს ერთი. გარდა ამისა, ჩემს მოვალეობად ვრაცხ, მკითხველებს მოვუთხრო ამბავი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ხალხისა, ქვეყნიერების ერთი ისეთი კუთხისა, სადაც პატიოსნება და რაინდული თვისებები ხალხის ულრმესი პატივისცემით სარგებლობდნენ მუდამ. ხალხისადმი პატივისცემა განსაკუთრებული ხვედრია და საკუთარი გამორჩეული რეპუტაციის შესანარჩუნებლად ძალზე ბევრის გაკეთება გვმართებს. მე ბედნიერი ვარ, რადგან ვიცი, რომ მოღალატე, უპატიოსნო კაცი საქართველოში ყოველთვის ისჯებოდა, და ერთობ ცუდია, როცა ისტორიულ კატეგორიებს ზოგჯერ წარსულს მივაკუთნებთ, ხოლო დღევანდელ მოღალატეს კი ჩვენს შორის ცხოვრების ნებას ვრთავთ.

ძალზე ძნელია ვიცხოვროთ დღესასწაულებსა და კრიზისებს შორის გაწოლილი ცხოვრებით ისე, რომ ჩვეულებრივი ცხოვრება ყურადღების მიღმა რჩებოდეს. ჩემის აზრით დისციპლინიანებად ჩვენ სწორედ ჩვეულებრივი ცხოვრება უნდა გვხვდიდეს. წვრილმანს როცა ალიარებ, მაშინ დიდს მიუტევებ ხოლმე. მაგრამ არ შეიძლება მთავარში პატიოსანი იყო და წვრილმანში — უპატიოსნო. დიდ მიზანს ვერ მიაღწევ, ამ მიზნით წვრილმანს თუ უღალატე. მე ახლა იმაზე ვფიქრობ, რომ ხალხთა ურთიერთპატივისცემა ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა. ჩვენ კი ზოგჯერ რთულ პრობლემებს ვაუბრალოებთ. ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი ეროვნული უპატივცემულობის გამოვლინების თვალსაზრისითაც.

ერთი მიბრძანეთ, კარგად იცნობთ საკუთარ მოდგმას? ჩვენ ეს დაგვავიწყდა. ჩვენ გვავიწყდება, რომ შვილებს უნდა შევუნახოთ მოდგმის ხსოვნა, ხსოვნა ფესვებისა. რას გადავცემთ ჩვენ ჩვენს შვილებს? სახლს? არა. ოციოდე წლის შემდეგ ჩვენი შვილები ალბათ სხვა სახლში გადავლენ საცხოვრებლად. ვერც ავეჯს მივცემ მათ, რადგან ჩემი ავეჯი რამდენსამე წელიწადში დაიშლება, ხოლო 10-15 წლის შემდეგ ახალი ავეჯი იქნება. ვერც ჩემს, ტანსაცმელს ვუანდერძებ მათ, იმიტომ, რომ ჩემი შვილები მას არ ჩაიცვამენ. ვერც საწერ მაგიდას. მაშ რას ვუტოვებ? ხსოვნას მხოლოდ, სულიერ სიმდიდრეს. მატერიალურ ფასეულობათ ჩვენ მემკვიდრეობით თითქმის ველარ გადავცემთ. ხვალ სულ სხვა მიკროფონები, ტელეფონები, მაგნიტოფონები შემოვა ხმარებაში. ყველაფერი სხვანაირი იქნება. ამიტომ მე ახლა იმაზე ვფიქრობ, რომ საქალალდეები შევაგროვო და ჩავაკრა ყველაფერი, რასაც ჩემს ბაბუაზე გავიგებ, ვინაიდან ჩემს შვილებს ამის შეტყობა ჩემზე უფრო გაუჭირდებათ.

ხშირად მიფიქრია, თუ როგორ შემაძრწუნა დიდი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ადგილის ნახვამ და როგორ გამაოცა იმან, რომ ილია თურმე მუდამ თან ატარებდა რევოლვერს, რომელიც არც კი გაუსვრია. მას არ სჯეროდა, რომ შეეძლოთ მოეკლათ, რომ შესაძლებელი იყო ამგვარი რამ დასტეხოდა თავს. ყოველთვის მზად უნდა იყო საკუთარი სიცოცხლის დასაცავად. კაცი, რომელმაც ამდენი იბრძოლა სხვების სიცოცხლისათვის, თავისი ხალხის სიცოცხლისათვის, მის ირგვლივ ერთგულებისათვის — მოუმზადებელი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ მტერი მოეგერიებინა იმ კრიტიკულ მომენტში.

ჩვენ ბევრჯერ აღმოვჩნდით მოუმზადებელნი, როცა სხვის ან საკუთარ ბედში ჩარევა იყო საჭირო. მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ ცუდად როცა ვიყავი, ჩემს დასახმარებლად მოვიდნენ ნოდარ დუმბაძეც, ჯანსუღ ჩარკვიანიც, თამაზ და ოთარ ჭილაძეებიც, ბევრი სხვა ჩემი კარგი ძმობილიც. ისიც ვიცი, რომ ისინი კვლავაც მხარში ამომიდგებიან. ჩვენი კეთილი სახელის დასაცავად ძალზე ბევრი უნდა გავაკეთოთ.

დიდი სამამულო ომის წლებში დნეპრის გადალახვისა და ჩემი უკრაინის განთავისუფლებისათვის მრავალმა ქართველმა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურა და მე იმაზე ვფიქრობ, რომ მათ ჩემთვის დაღვარეს სისხლი. დაგვიწერია კი ჩვენ თითოეულ მათგანზე? არა. აი, რაზე უნდა ვილაპარაკოთ. ამას წინათ ჩვენ დავბეჭდეთ ნოდარ დუმბაძის მოთხრობა, რომელსაც მკითხველი იცნობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რამდენი წერილი, გამოხმაურება მოგვივიდა. აი, კაცი, რომელიც ასე წარმოგვიდგენს თავის ხალხს — ირონიულად, მაგრამ დიდი სიყვარულითო, — გვწერდნენ. უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, ხოლო სიყვარული მომთხოვნი გრძნობაა. ყველასათვის ყურადსაღები უნდა იყოს, რაოდენ ბევრი გააკეთეს ქართველმა კომუნისტებმა, ქართველმა ბოლშევიკებმა, უდრეკმა, პატიოსანმა ქართველმა ადამიანებმა იმისათვის, რომ ქვეყნიერებაზე ყველას უკეთ ეცხოვრა.

მე ახლა ჩერნობილის უბედურება მაგონდება. იმ მძიმე დღეებში მხნეობა შემმატა იმან, რომ თბილისიდან ზედიზედ ხუთი ტელეფონის ზარი გაისმა. ჩემი ქართველი მეგობრები, რომლებსაც კარგა ხანია არ მოეწერათ, მეუბნებოდნენ: თუ შენ და შენს ოჯახს გჭირდებათ, — ჩამოდითო. მე ამას დიდად ვაფასებ და რისიც ძალა შემწევს, მინდა ასევე უბრალოდ, საქმიანად მოვიმოქმედო. გავაკეთებ კიდეც ასე.

ახლა, როცა „ოგონიოკის" კრიტიკულ ფოსტას ვათვალიერებ ხოლმე, დიდი სურვილი მიჩნდება დავსაჯო მოლაყბეები, ვინაიდან ჩვენთან ძალიან უყვართ ბრძოლა სისუფთავისათვის, მაგრამ არ უყვართ დაგვა. უყვართ ყბედობა ამა თუ იმ საქმის მნიშვნელობაზე, მაგრამ არ უყვართ მისი გაკეთება. ამას რომ ვამბობ, ისიც მაწუხებს, რომ ჟურნალ „ოგონიოკში" ჩვენ ცოტას ვბეჭდავთ საქართველოს სანაქებო შვილთა პორტრეტებს. ადამიანს, რომელიც ერს წარმოგვიდგენს, ყველანი უნდა იცნობდნენ. ხოლო თუ ჩაუფიქრდებით, გამოვა, რომ ხალხი იცნობს რამდენსამე ქართველ მსახიობს, მხატვარს, ფეხბურთელს. მაგრამ მხოლოდ ისინი ხომ არ ქმნიან საქართველოს. მას ქმნიან კახელი მევენახეები, რუსთაველი მეფოლადეები, ქუთაისელი მეავტომობილეები... არადა, მათი ამბავი გაცილებით ნაკლებად ვიცით. ამას წინათ ფოთელი მეთევზეებით დავინტერესდი და გაოცებული დავრჩი თევზჭერის მასშტაბებით, მსოფლიო კონტაქტების სიფართოვით. არც ამის თაობაზე დაგვიწერია რაიმე და ეს არ არის სწორი.

ცხოვრებაში წვრილმანები არ არსებობს და როცა ვამბობთ — ეჰ, წვრილმანიაო, ეს არ არის წვრილმანი. ჩვენ ან ვისწავლით ცხოვრებას ახლებურად, დემოკრატიზმის გაფართოების პირობებში, ან წავაგებთ ბრძოლას. წავაგებთ იმათთან, ვისაც არ სურს ახლებურად ცხოვრება. არ შეიძლება ცხოვრებაში ერთდროულად პატიოსნებაც იყოს და უპატიოსნებაც, სიმართლეც და სიცრუეც. ან სიმართლე იქნება, ან სიცრუე. ერთსაც და მეორესაც გვერდიგვერდ არ დაედგომებათ. მე მომწონს, რომ ახლა ჩვენთან პატიოსნებისათვის ბრძოლაა გაჩაღებული, მაგრამ იმასაც ვხედავ, რომ პატიოსნებისათვის მებრძოლის გვერდით თავი დემაგოგსაც წამოუყვია. ეს ბრძოლა რომ დაიწყო, იცით, ვინ ავიდა პირველი ტრიბუნაზე? ის, ვინც გუშინ სულ საწინააღმდეგოს ამბობდა. ავიდა და განაცხადა: „მე ახლავე გარდავქმნი ცხოვრებას, ოღონდ მიჩვენეთ — საით, რომელ მხარეს". ჩვენ უნდა ვეძებოთ ისინი, ვისაც ცხოვრების გარდაქმნა, ახლებურად ცხოვრება სწადია.

გული მიკვდება, როცა ზოგიერთ ორპირა და ლამის სამპირა კაცსაც გადავაწყდები ხოლმე. ყოველ ჩვენგანს უნახავს ამნაირი ადამიანები. აი, შეგვხვდება ერთი მათგანი და ჩვენს მხარეს დაიჭერს, მერე ჩვენს მოწინააღმდეგეს შეხვდება და ამოუდგება მხარში. ქართველთან ის ქართველია, არაქართველთან — არაქართველი. შრომისმოყვარესთან შრომისმოყვარე იქნება, ხოლო უქნარას ეტყვის — შრომა სულაც არ არის საჭიროო.

მე ვყოფილვარ სახლში სიმონ ჩიქოვანთან, გიორგი ლეონიძესთან, ლადო გუდიაშვილთან — საქართველოს დიდ ადამიანებთან. მახსოვს, როგორ უმღეროდა სუფრას უსინათლო სიმონ ჩიქოვანი და ჰყვებოდა ადამიანებზე, რომლებიც მაგიდას უსხდნენ. და კიდევ იმიტომ მიყვარს საქართველო, რომ ქართველებში მუდამ მაოცებდა საკუთარი ღირსების გრძნობა. გაოცებული ვრჩები მეგობრები რომ შემხვდებიან და მეტყვიან ხოლმე — ქურდია ის კაცი, იპარავს, მაგრამ კარგი ბიჭიაო. შეუძლებელია ქურდი კარგი ბიჭი იყოს. არც მექრთამე შეიძლება იყოს კარგი კაცი. კრიტერიუმები ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული.

წლევანდელ თბილისობაზე ვერ ჩამოვედი. ძალიან მინდა ჩამოვიდე სადაგ, ნორმალურ დღეებში. მაგონდება ჩემი შემოქმედებითი საღამო თბილისის ფილარმონიის დიდ დარბაზში. მჯერა, რომ ბევრჯერ ვიქნები საქართველოში, მაგრამ სულ იმაზე ვფიქრობ, რომ სანამ საქართველოში ხართ — ჩემს მეგობრებად რჩებით, ხოლო საკმარისია დასტოვოთ იგი და უკვე სხვანაირები ხართ. თქვენ ალბათ არ მიგიქცევიათ ყურადღება, როცა ამბობენ — აი, ქართველი მოვიდაო. იტალიაში ვიყავი ჯანსუღ ჩარკვიანთან ერთად. თავდაპირველად უბრალოდ ჯანსული იყო, მერე ქართველი გახდა, ბოლოს კი ერთ-ერთი ქალაქის მერმა თქვა — საქართველოს პარლამენტის წევრი მოვიდაო. და მას ისე იღებდნენ, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს. ჯანსულმა სავსებით დაიმსახურა თავისი სიტყვით და ქცევით. დამსახურებული პატივისცემა აღმავალი გზით ვითარდებოდა.

ახლა ჩვენს მიწაზე დილაა. მოსკოვში რომ ვიღვიძებ ხოლმე, მახსენდება, რომ ჩემი მეგობრები თბილისსა და ქუთაისში დღეს ერთი საათით ადრე იწყებენ და მე ვფიქრობ, ჩემი დღეც თქვენ ერთი საათით ადრე დაიწყეთ. თქვენ ყოველდღე ერთი საათით ადრე იწყებთ მუშაობას, ვიდრე მე, და ამიტომ მეტიც უნდა მოასწროთ. მე მხოლოდ ერთი რამ მინდა გითხრათ ჩვენი მეგობრობის კონკრეტულობის თაობაზე. ჩვენ ნაკლები უნდა ვილაყბოთ და მეტი კონკრეტული საქმე ვაკეთოთ. ჩემი ჩამოსვლისას მინდა გავიცნო საქართველოს დიდი შვილები, რომლებსაც დავიმახსოვრებ და მთელ მსოფლიოს წარვუდგენ, მე მინდა თქვენთან ჩამოვიდე და დავინახო, რომ თბილისში უკეთესია, ვიდრე ჩემს სახლში. ყოველთვის მიხარია, როცა ჩემს მეგობრებთან უკეთესია, ვიდრე ჩემთან. მაშასადამე, რაღაც მქონია გასაკეთებელი და უნდა გავაკეთო კიდეც ის რაღაც.

საქართველოს ტელევიზიამ ა. წ. 31 ოქტომბერს მოაწყო გადაცემა ვიტალი კოროტიჩის მონაწილეობით. ვბეჭდავთ გადაცემის შემოკლებულ ვარიანტს.



ჯანსუღ ჩარკვიანი, ვიტალი კოროტიჩი და ტარიელ ჭანტურია.

კიევი. დავით გურამიშვილის სახლ-მუზეუმი.





# დიეგო რივერა

მექსიკელი მხატვარი **დიეგო რივერა** X საუკუნის ერთი ყველაზე მძლავრი ფიგურაა, რომელიც ახალი, მანამდე არნახული პროგრესული ხელოვნების ავანგარდში აღმოჩნდა.

ტიტანური ტემპერამენტისა და შრომისუნარის მქონე, იგი სწავლობდა და მუშაობდა პარიზში, სადაც თავისი კუბისტური ტილოების გამოფენა მოაწყო და წილად დიდი წარმატებაც ხვდა. ფრანგული პრესა წერდა მექსიკანელ კუბისტზე, როგორც პარიზის ცაზე აკიაფებულ ახალ ვარსკვლავზე. მხატვრის დიდი მეგობარი პიკასო, დიდად აფასებდა მის მაღალნიჭიერებას და ასეთსავე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა. ამასთან, რივერას კუბისტურ კომპოზიციებში თანდათან იჭრება ეროვნული მოტივები, ხოლო სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი იცვლის პოზიციებს და კამერულიდან მონუმენტურ ხელოვნებაზე გადადის. მის მიერ შექმნილი გიგანტური ფრესკების დაუშრობელი წყარო გახდა მშობლიური ხალხის ისტორია, მისი გმირული წარსული და პოეტური თანამედროვეობა.

დიეგო რივერას მონუმენტურ მხატვრობაში აისახა ისტორია და ფილოსოფია, პოლიტიკა და სოციოლოგია, ხალხის სულიერი ცხოვრების თავმოყრა და მისი ეროვნული თვითშეგნების აღდგენა. მან ხუთი ათასი კვადრატული მეტრი მოხატა და ყოველივე მის მიერ შექმნილი მექსიკელი ხალხის ცხოვრების თავისებური ენციკლოპედიაა.

„გასეირნება ალამედას პარკში“ — ეს მხატვრის გზის დასაწყისში შექმნილი დაუნდობელი პოლიტიკური პამფლეტია. მან შესძლო იმის ასახვა, თუ როგორ გაატარა ისტორიამ პარკში მექსიკელი ხალხის წინაშე ინკვიზიტორებისა და დიქტატორების მიერ ჩადენილი მრავალი ბოროტება და დანაშაული. მონახატში მან სხვადასხვა დროს მცხოვრები კონკრეტული პერსონაჟები და პორტრეტები შეიტანა.

კომპოზიციის ცენტრში სიკვდილის გამოსახულება, რომელიც ჩინებულ მოდურ სამოსელშია გამოწყობილი, და ეხმაურება ბურჟუაზიულ სახეს, რომლისთვისაც ეს უკანასკნელი გასეირნებაა. გროტესკის ხასიათში შექმნილი ეს პორტრეტები ქმნიან სიხარბის განზოგადებულ სიმბოლოს, სიბოროტის ქედმაღლურ სახეს. შავ-თეთრი ლაქების თანაფარდობა, ფერების ნატიფი შეხამება, ფიგურების თავისებური მოდულირება, ხაზს უსვამს პერსონაჟთა კონვულსიურ მოძრაობას და გამოხატავს ავტორის ფართო, გააზრებულ, პუბლიცისტურ და მამხილებელ ჩანაფიქრს გადაშენებისათვის განწირულ ბურჟუაზიაზე.

ნაციონალური სასახლის გალერეის მოხატულობა მეხიკოში მხატვრის მდიდარი და რთული შემოქმედებითი გზის მწვერვალს წარმოადგენს. აქ მხატვარმა დასრულებული სახით წარმოაჩინა მის მიერ შექმნილი ისტორიული თხრობითი სტილის ფერწერა.

ციკლი ჩაფიქრებულია, როგორც მექსიკის ისტორიის ეპიკური თხრობა. კედლების რიგ გიგანტურ კომპოზიციებში მხატვარი გადაგვიშლის ქვეყნის სოციალური განვითარების ისტორიას. აქ წარმოდგენილ კომპოზიციაში „ფერწერები და მღებავები“ რივერა გვიჩვენებს ძველ ინდიელთა შრომითი პროცესის ერთ მომენტთაგანს.

მხატვარი გადმოგვცემს შრომის ყველა სახეს, ამ პროფესიის ადამიანთა საგნობრივ გარემოს. შრომითი რიტმის ხაზგასმის მიზნით, კომპოზიციის მარცხენა მხარეს მხატვარი იმეორებს მოხრილი ფიგურების მოძრაობას შემცირებულ მასშტაბში — ფიგურები იმავე მოძრაობას იმეორებენ.

ცენტრში — სტატიკური ფიგურაა.

ზედამხედველები ტრადიციული ტანსაცმლით არიან შემოსილნი. საოცარი სილამაზისაა ფრესკის ფონი, რომელშიც ძველი მექსიკის თოვლით დაფარული ვულკანების, ტბების, ყაყაჩოიანი მინდვრების, ქალაქების თეთრად მოელვარე ნაგებობებისა და მათზე ამაღლებული პირამიდების თავისებური ბუნება და ლანდშაფტის არქიტექტურაა გადმოცემული. გამჭვირვალე ფერის ფონი ქმნის ისტორიულ და პეიზაჟის ფონს, სადაც ვითარდება ფრესკის წინა პლანზე წამოწეული მოქმედება, ხოლო ქვედა ნაწილში განლაგებულია ფიგურული სცენები, რომელთა მოქნილი კონტურები ესოდენ დამახასიათებელია ძველი მექსიკური მოხატულობისათვის.

დიეგო რივერას მონუმენტური ფერწერა ორგანულად ერწყმის მშრომელი მექსიკის რეალურ სინამდვილეს და იქმნება მექსიკის გუშინდელი დღისა და დღევანდელობის სიმბოლური შეერთების საოცარი შთაბეჭდილება, რომელშიც ხელოვნების ამოუცნობი საიდუმლოება იმალება: ერთმანეთს ერწყმის ცხოვრება და ხელოვნება, რეალობა და მონაგონი.

**დინარა ნოდია,**
პროფესორი, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი.

მეხიკო, 1986 წ.



დიეგო რივერა — გასეირნება ალამედოს პარკში (ფრაგმენტები).



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნინო ანანიაშვილი





ნინო ანანიაშვილი და ანდრის ლიეპა.

ნინო ანანიაშვილი და თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლე ნინო ცეცხლაძე.



საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი რაისა სტრუჩკოვა-ლაფაური თავის მოწაფესთან ნინოსთან საგრიმიოროში.

ნინო და ძიძა ბებო.



მადლობა.





ცეკვავს ნინო ანანიაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



დიეგო რივერა — მღებავები და ფერმწერები

მადრიდი, კუკილიეროსის ქუჩა № 17.
მწერალი ამზადებს პაელას.
არც ერთი წამი უბის წიგნაკის გარეშე.
საუბრები კანონადის თანხლებით.
უკანასკნელი ჩამოსვლა.

ექვსი-შვიდი წლისა ვიყავი, როდესაც პირველად ვიხილე... ისეთმავე ბიჭუნამ, მისი შვილი პატრიკი რომ წარმოგიდგენიათ: ორივენი 1922 წელს დავიბადეთ. ჰემინგუეი მამაჩემზე ექვსი წლით ახალგაზრდა იყო (მამაჩემი 1893 წელს დაიბადა, ჰემინგუეი კი 1899 წელს), ოღონდ, მთელი თავით მასზე მაღალი. „პალას-ჰოტელთან" მოქმედ პანსიონ „კარერა დე სან-ხერონიმოში" ცხოვრობდა იმხანად. ფეხით გამოსწევდა ხოლმე ჩვენკენ. გზადაგზა წმ. ანას ან ანგელოზის მოედნებზე შეჩერდებოდა. ამ უკანასკნელზე მდებარეობდა ჰოტელი „ვიქტორია", სადაც ტორეადორები ცხოვრობდნენ. კასტილიურ კილოზე მეტყველებდნენ ისინი, რაც ერთობ მოსწონდა ჰემინგუეის. ხშირად მოუსმენია მათთვის, მერე კი მათთან ერთად ჭიქაც გადაუკრავს. ამ შემთხვევითი შეხვედრებისას იწრთობოდა თურმე მეგობრობა, რომელიც შემდეგ მრავალი წლის მანძილზე არ დაშრეტილა... უკვე თორმეტი წლისას მითხრა მამაჩემმა:

— აი ის ბატონი, რომელიც თითქმის ყოველდღე ჩვენთან სადილობს, ცნობილი ჟურნალისტი და მწერალია. ორი წიგნი დაწერა ესპანეთზე — „ფიესტა" და „სიკვდილი ნაშუადღევს", რომლებშიც აღწერილია ჩვენი რესტორანიც..."

ჰემინგუეიზე მიამბობს ანტონიო გონსალეს მარტინი, მადრიდის ძველ კვარტალში, კუკილიეროსის ქუჩაზე მოქმედი რესტორან „ბოტინის" მფლობელი.

* * *

„ბოტინი" 1725 წელს ააგეს. თავდაპირველად სასტუმრო იყო აქ. შენობა რესტორნად 1880 წელს გადააკეთეს, მაშინვე ხით მოჭედეს კედლები და ოქროსფრად და მუქწითლად შეღებეს. ეს პერიოდი ბენიტო პერეს გალდოსის, იმ ავტორის მოღვაწეობის ხანასაც წარმოადგენს, რომლის კალამსაც შეუქმნია წიგნები „ტრაგიკული ესპანეთი" და „ფორტუნადა და ხასინტო". მათში აღწერილია „ბოტინიც".

რესტორანში ესპანეთის ყველაზე განთქმული ტორეადორები, აგრეთვე, მწერლები, მხატვრები, რეჟისორები და კინომსახიობები დადიოდნენ — სხვადასხვა ქვეყნის სახელმოხვეჭილი ადამიანები: ხუან ბელმონტე, დომინგო ორტეგა, ხოსელიტო, აროუზა, ელ კორდობიეს, დოს პასოსი, სკოტ ფიცჯერალდი, ვასკეს დიასი, ლუი ბუნიუელი, ხოსე ბერგამინი, მაგრამ არც ერთ მათგანს აქ ჰემინგუეიზე დიდი დრო არ გაუტარებია. ჯერ კიდევ 20-იანი წლების მიწურულს დადიოდა „ბოტინში" და მადრიდში ყოველი ჩამოსვლისას, თითქმის სიკვდილამდე (1961 წლის ივლისამდე), ითვლებოდა მის კლიენტად.

„ფიესტას" ბოლო თავში ჰემინგუეი წერდა: „ბოტინში" ვსადილობდით — მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში. ბრეტი ციცქნიდა საჭმელს. მე კი ძალიან ბლომადაც მივირთვი და სამი ბოთლი წითელი ღვინოც გამოვცალე". ეს რამდენიმე სტრიქონიც საკმარისი აღმოჩნდა, რათა „ბოტინი" მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულში გაეცნოთ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ჰემინგუეი კვლავ აღწერდა რესტორნის ყოფას თავის უკვდავ წიგნში „სიკვდილი ნაშუადღევს".

„ჰემინგუეის უყვარდა მუსაიფი მამაჩემთან — ემილიოსთან და დედასთან, — განაგრძობს ანტონიო გონსალეს მარტინი. — სამზარეულოში მოაკითხავდა ხოლმე, აკვირდებოდა, თუ როგორ ხელმარჯვეობდნენ სურსათთან. სხვადასხვა კერძის მომზადების ნიუანსებს სწავლებოდა. ერთხელაც გამოაცხადა, პარიზიდან მეგობრებს ველოდებიო. სურდა, საკუთარი ხელით მომზადებული პაელათი — ხამანწკების, მოლუსკების, კალმარების და ზღვის სხვა პროდუქტებისა და ბრინჯის ნამზადით გამასპინძლებოდა. მამაჩემმა მიუგო: „ყველაფერს მოგიმარაგებ, დანარჩენი კი შენი საქმეა — რაც გინდა, ის ქენი, მე პასუხს არ ვაგებ". მამაჩემი ამბობდა, სტუმრებს პაელა საშინლად არ მოეწონათო. მაგრამ ჰემინგუეის არ მორიდებია და პირდაპირ უთქვამს, ემილიო აქ არაფერ შუაშია, ყოველივე ჩემი ბრალიაო. არა და, იმ დალოცვილს, ერთი ათჯერ ხომ მაინც უნახავს, თუ როგორ კეთდება ეს კერძი.

თავდაპირველად, სამზარეულოსთან უყვარდა ხოლმე ჩამოჯდომა. მხოლოდ მოგვიანებით დაიწყო მოკალათება პირველ სართულზე, მარცხენა კუთხეში ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდასთან. ხშირად მოსულა გაზეთების სქელი შეკვრით ხელში. ჭამის დროს კითხულობდა. ბევრსაც წერდა. ოღონდ, ვერ ვიტყვი, რაზე მუშაობდა, წერილებზე, სტატიებზე თუ წიგნებზე. ცნობისმოყვარეობით გამორჩეული, ხარბად უსმენდა სხვა კლიენტების ლაპარაკს და ამ დროს იგი ერთიანად მობილიზებული იყო. შესაძლოა, სასტუმროში დაბრუნებისთანავე იწერდა აქ მოსმენილ მახვილ დიალოგებსა და მძაფრ ისტორიებს".

ემილიო გონსალეს მარტინი 1975 წლის 22 ნოემბერს გარდაიცვალა. მისი ცოლი ამპარა კი, მიუხედავად თავისი ოთხმოცი წლისა, ჯერაც სამზადში დგას. მწერლის ნაადრევმა სიკვდილმა მძიმე ჭრილობა მიაყენა ემილიოს — ყველა სახელგანთქმულ პიროვნებათგან, რომელთაც კი იცნობდა, ყველაზე მახლობლად ჰემინგუეი მიაჩნდა. შესაძლოა, სწორედ ჰემინგუეის უკვდავსაყოფად არასოდეს გაქრება კიდეც „ბოტინი" და არც ოდესმე გადაკეთდება მადრიდის ყველაზე დამახასიათებელ ნაგებობათა მსგავსად.

ესპანეთში სამოქალაქო ომის დაწყებისას ჰემინგუეი ძველ პანსიონში კი არა, გრან-ვიაზე მდებარე ჰოტელ „ფლორიდაში" ცხოვრობდა. ქუჩას ხშირად აყრიდნენ ტყვიას ფრანკისტები (საუნივერსიტეტო ქალაქის მახლობლად ჰქონდათ გამაგრებული პოზიციები), მაგრამ მწერალი, რომლის ლოზუნგიც სიჭაბუკეშივე იყო „არაფრის მეშინია", თითქოს, ვერაფერს ამჩნევდაო. გახურებული სროლის მიუხედავად ფეხით მოაშურებდა ხოლმე „ბოტინს". მერე ემილიოს იქ კარ-ფანჯრის



გამოხურვას სთხოვდა და ისინი დიდხანს განმარტოებულნი საუბრობდნენ. ჰემინგუეის სჯეროდა, ომი მალე დასრულდებაო, მაგრამ მწარედ ცდებოდა. მადრიდის ალყას 1939 წლის 28 მარტს დაესვა წერტილი, მაშინ, როდესაც მწერალი უკვე შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა.

„ჰემინგუეი 1949 წელს დაგვიბრუნდა", — განაგრძობს ანტონიო გონსალეს მარტინი. — მეუღლესთან (მერისთან) ერთად ჩამოვიდა პარიზში... ოღონდ, ჰემინგუეი უკვე ის აღარ იყო, რაც ადრე. საშინლად აღიზიანებდა ის გარემოება, რომ მერის არ უყვარდა ესპანეთი, გულს უკლავდა ისიც, რომ ესპანეთიც გამოიცვალა. ესპანეთში დასასვენებლად ჩამოსული ამერიკელები, რომელთაც წაკითხული ჰქონდათ ჰემინგუეის წიგნები, აუცილებლად მოაკითხავდნენ ხოლმე „ბოტინში" და აწუხებდნენ მწერალს. ათას შეკითხვას აძლევდნენ, ავტოგრაფებს და ფოტოსურათებს სთხოვდნენ. კარგ გუნებაზე მყოფი კიდევ უძლებდა თანამემამულეთა „შტურმს", მაგრამ მტრისას, ხასიათზე თუ არ იყო! საშინლად აგრესიული ხდებოდა, ახლოს არავის იკარებდა. ხშირად ეტყოდა ემილიოს: „ვწუხვარ, მაგრამ აქ დარჩენა აღარ შემიძლია. ტურისტული სუვენირი ხომ არა ვარ! წუთით აღარ მაქვს მოსვენება!.."

ჰემინგუეიმ წერტილი დაუსვა „ბოტინში" სიარულს და „ელ გალიეხონს" მიეჩვია — არა იმდენად ახალ რესტორანს, რამდენადაც ტიპურ ესპანურ ტავერნას. მარჯვენა კუთხეში ამოირჩია მაგიდა და მას მერე, მუდამ მხოლოდ იქ იჯდა. მაგრამ, რა დაავიწყებდა „ბოტინს"!.. და მაინც შეივლიდა ხოლმე, ზოგჯერ, რათა მისალმებოდა ემილიოს და ანტონიოს. ოღონდ იქ, უკვე, აღარასოდეს უვახშმია და უსადილია. ტორეადორების სამყარო, რომელმაც ასე შეძრა იგი ოდესღაც და აიძულა „ეძებნა სიცოცხლის არსი სიკვდილში", მეტად აღარ იტაცებდა თავისი ბრწყინვალებითა და ტრაგიკულობით.

უკანასკნელად 1959 წელს გვეწვია. გვეწვია, რათა მამას გადახვეოდა. ვალენსიის გზაზე მადრიდის მახლობლად მცხოვრებ ცნობილ ტორეადორ ორდონიესთან მიდიოდა.

მისი სიკვდილის ცნობა რომ მოვიდა, გამახსენდა: 1960 წელს ჰემინგუეი ესპანეთში არ ჩამოსულა. 1961 წლის აპრილს კი საივლისოდ დაჯავშნა ოთახები შორეული 20-იანი წლების ძველი მეგობრის, ხუანიტო კვინტანას პანსიონში. მაგრამ... 2 ივლისს მწერალი უკვე ცოცხალი აღარ იყო..."

თარგმნა ვასილ მჭედლიშვილმა.

# ჰემინგუეი მადრიდში

# ისევ მატჩი

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე.



მაია ჩიბურდანიძე და ელენე ახმილოვსკაია.

ფოტო ბონდო დვალიშვილისა.

**გივი გამრეკელი**

მატჩი მსოფლიო პირველობაზე საჭადრაკო სამყაროსათვის განსაკუთრებული მოვლენაა. მისთვის საგანგებოდ ემზადებიან. მთელი წლის საჭადრაკო კალენდარს ისე ადგენენ, რომ მაქსიმალურ საბრძოლო მზადყოფნას სწორედ ორთაბრძოლის დაწყების მომენტისათვის მიაღწიონ. წლეულს მაია ჩიბურდანიძემ ითამაშა საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იუგოსლავიასა და ჰოლანდიაში. ყველა ამ შეჯიბრებას, მათ შორის სამატჩო შეხვედრასაც ცნობილ იუგოსლავ დიდოსტატ პეტერ პოპოვიჩთან, რომელიც ყაიმით დასრულდა ანგარიშით 4:4, მისთვის მხოლოდ წინასწარი სამზადისის მნიშვნელობა ჰქონდა.

მთავარი ცხადია, ის იყო, როგორ ითამაშებდა მაია სექტემბერში, როცა მის წინაშე ახალი პრეტენდენტი წარსდგებოდა. პრეტენდენტი თებერვალში გამოვლინდა. ელენე ახმილოვსკაიამ გაიმარჯვა რვა დიდოსტატის ორწრიან მატჩ-ტურნირში, რომელიც შვეციის ქალაქ მალმეში ჩატარდა. ახლა საქმე ის იყო, რას დაუპირისპირებდა ბიჭვინთელი დიდოსტატი მსოფლიო ჩემპიონს. მაია ხომ ამ უმაღლეს წოდებას 1978 წლიდან ინარჩუნებს და საჭადრაკო სამყაროში ურყევი ავტორიტეტით სარგებლობს.

ლათინური გამოთქმაა: „როცა ორნი ერთ საქმეს აკეთებენ, არ ნიშნავს, რომ ერთნაირად გააკეთებენ“. პრეტენდენტმა გადაწყვიტა წინასწარი მზადებისას გასაღები მოერგო ჩემპიონის სადებიუტო რეპერტუარისათვის. ცნობილია მაიას მიდრეკილება მწვავე, კომბინაციური თამაშისაკენ. მას პირდაპირი იერიშიც ემარჯვება და მოულოდნელი კონტრშეტევაც. აქედან გამომდინარე, ჩემპიონი ღია დებიუტებს ირჩევს, ცდილობს პირველივე შემთხვევაში დათრგუნოს მეტოქე. მისი პარტიები სავსეა ლამაზი, ეფექტური კომბინაციებით, ზოგჯერ პარადოქსული იდეებით, მახვილგონივრული შეწირვებით. ახმილოვსკაიას ყოველივე ეს კარგად უნდა გაეთვალისწინებინა. მან მიიწვია კიდეც ორი მრავალნაცადი ოსტატი: იური ანიკაევი (მოსკოვის ოლქი) და ალბერტ კაპენგუტი (მინსკი). მათი შემწეობით მან ისეთი სადებიუტო სისტემები მოამზადა, რომ ჩემპიონს გამკლავებოდა. როგორი იყო ეს სისტემები?! ჩვენ არ ვიცით იმიტომ, რომ მათ გამოყენება „არ ეწერათ!“

მაია იმიტომაც არის მსოფლიო ჩემპიონი, რომ დიდი, უტყუარი ფსიქოლოგიური ალღო აქვს. იგი მატჩისათვის საგულდაგულოდ მოემზადა, მთლიანად შეცვალა თავისი სადებიუტო რეპერტუარი და ამით მეტოქეს წინასწარი მზადება უვნებელყო. ახმილოვსკაია პირდაპირ სახტად დარჩა, როცა მატჩის პირველივე პარტიაში თავისი აგრესიული სტილით განთქმულმა ჩემპიონმა მიმართა... კატალონურ დასაწყისს, ასე რომ უყვართ წყნარი და აუღელვებელი მანერის მოჭადრაკეებს! ჩიბურდანიძე მეტოქის წინაშე ამჯერად თითქოს სხვა სახით წარსდგა, იგი არ უტევდა, ამ უფლებას მოწინააღმდეგეს თავაზიანად უთმობდა.

მართლაცდა, ადვილი წარმოსადგენია ახმილოვსკაიას მდგომარეობა. იგი ყველაფერს მოელოდა, კატალონური დასაწყისის გარდა! ცხადია, ამ დებიუტს მხოლოდ ზოგადად იცნობდა. ვერ ჩაწვდა მის ნიუანსებს, როცა ჩემპიონი შეტევას არ შეეცადა, იერიში უკვე შავებით მოთამაშე პრეტენდენტმა მოინდომა. ეს კი ახმილოვსკაიას მაინცდამაინც არ ემარჯვება. მას ურჩევნია თავი დაიცვას, მეტოქის შეცდომებს მოუცადოს, მატერიალური უპირატესობა მოიპოვოს და შემდეგ იგი ზუსტად გამოიყენოს. დიახ, ორმხრივი მწვავე შეხლა-შემოხლა არ გახლავთ ახმილოვს-

სადემონსტრაციო დაფასთან.






ეროვნული ბიბლიოთეკა

კაიას საქმე. ეს მთლიანად ჩიბურდანიძის პრივილეგიაა. როცა შეტევაზე გადასვლა სცადა, ამით ახმილოვსკაიას პოზიცია დაასუსტა. ინგლისელები ამბობენ: „სხვებს ქვებს ნუ უშენ, თუკი თვითონ შუშაბანდში ცხოვრობ“. ჩიბურდანიძემ იოლად აღკვეთა მეტოქის ნაადრევი აქტივობა, თვითონ გადავიდა შეტევაზე და ქულაც მოიპოვა.

პირველი პარტიის შედეგს მატჩში ყოველთვის დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს ხოლმე, იგი, ცხადია, გადამწყვეტი არ არის, მაგრამ ორთაბრძოლის შემდგომ მსვლელობას თავის კვალს კი საგრძნობლად ასვამს. როცა პირველი ქულა მოიპოვა, ჩემპიონმა არჩეულ ტაქტიკას არც შემდგომ პარტიებში უღალატა. თეთრებით გამარჯვების შემდეგ, შავებითაც იგივე გააკეთა. მან არჩევანი გრიუნფელდის დაცვაზე შეაჩერა, რომელსაც, შეიძლება ითქვას, ახმილოვსკაია ყველაზე ნაკლებად მოელოდა. რატომ? იმიტომ, რომ ეს დასაწყისი ჩიბურდანიძეს ადრე არასოდეს გამოუყენებია. რომ იტყვიან, ახმილოვსკაია ფაქტის წინაშე აღმოჩნდა. ასე ერთბაშად კი, მატჩის მსვლელობისას გრიუნფელდის დაცვის წინააღმდეგ მომზადება ძნელია, ძალიან ძნელი!

როცა ჩიბურდანიძემ და ახმილოვსკაიამ სტუმართმოყვარე ბულგარეთი დასტოვეს,, მატჩი უმრავლესობას ფაქტობრივად დამთავრებულად მიაჩნდა: ანგარიში იყო 6:2. რაღა რჩებოდა? დარჩენილ 8 პარტიაში ჩიბურდანიძეს თავისი წოდების შესანარჩუნებლად სულ ორი ქულის მოგროვებაღა უნდოდა და ადრე თუ გვიან იგი ამას გააკეთებდა კიდეც.

ახმილოვსკაია, ცხადია, მატჩის გადარჩენას ველარ შეეცდებოდა, მაგრამ შეეძლო ანგარიშის გასაუმჯობესებლად ეზრუნა. დიდოსტატმა ედუარდ გუფელდმა იხუმრა: „მატჩში ჩიბურდანიძეს ისეთი უპირატესობა აქვს, რომ ახლა მასთან გამკლავებას სულ ოთხად-ოთხი დიდოსტატი თუ შეძლებს: კასპაროვი, კარპოვი, იუსუპოვი და სოკოლოვი. მაგრამ ისინი ხომ ერთმანეთთან ბრძოლით არიანო დაკავებულნი“.

ბორჯომში, შეიძლება ითქვას, ორივე მოწინააღმდეგემ მიაღწია მიზანს: მაიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, თავისი წოდება შეინარჩუნა და მატჩიც მოიგო (8,5:5,5), ახმილოვსკაიამ კი რამდენადმე „შეალამაზა“ ანგარიში. არა, მას ფარ-ხმალი არ დაუყრია, ფრიად ენერგიულად იბრძოდა. ზოგჯერ უპირატესობასაც აღწევდა, მაგრამ ყველაფერი უკვე ნათელი იყო. მართლაც, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მაიას სწორედ ის ადრე ჩამოთვლილი ოთხი დიდოსტატი თუ დააკლებდა რამეს.

მთელი მატჩის მანძილზე თბილისელი მოჭადრაკე თამაშობდა ლაღად, თავისუფლად, ძალების დაუძაბავად და, ამავე დროს, მისთვის დამახასიათებელი დიდი ენერგიითა და შემართებით. ახლა მაიას თამაშში პრაქტიკულად რაიმე ნაკლის შემჩნევა შეუძლებელია. მისი სადებიუტო ერუდიცია დიდია. შუა თამაშში, როგორც ყოველთვის, ბადალი არა ჰყავს. მწვავე ბრძოლას დიდებულად აწარმოებს, პოზიციური მანევრები — უზადო, ენდშპილის ტექნიკა — მეტად დახვეწილი. როგორ უნდა ებრძოლო მაიას?! ჩვენ არ ვიცით, და, შეიძლება არც არავინ იცის!

ერთი სიტყვით, არც სოფიასა და არც ბორჯომში მაიას „ტახტი“ ოდნავადაც არ შერყეულა. იყო ბრწყინვალედ ჩატარებული პარტიებიც, როგორც ყოველთვის, შეცდომებიც, მაგრამ არც ერთ მომენტში არ დასმულა მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონის საკითხი. მეექვსე ჩემპიონმა უფლებამოსილება შემდეგი ვადით შეინარჩუნა, შეინარჩუნა ლამაზად და ღირსეულად. რაც შეეხება ახმილოვსკაიას, მას ვერავინ დაადანაშაულებს, არც ცდა დაუკლია და არც მონდომება, შეუძლია თამამად წარმოთქვას ვალმოხდილი რომაელი მაგისტრატების ტრადიციული ფრაზა: „მე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, დეე, ვისაც შეუძლია, უკეთ გააკეთოს!“ ამ „უკეთ გაკეთებას“ კი, ეჭვგარეშეა, ახალ ციკლში არაერთი დიდოსტატი შეეცდება.





„დღეს, როდესაც პარტიამ მოგვიწოდა, ვიზრუნოთ და ვიმუშაოთ ახლებურად, საჭიროა მნიშვნელოვანწილად ასევე ახლებურად წარვმართოთ აღზრდა-განათლების პროცესი“.

მ. ს. გორბაჩოვი.

# ის ურჩევნია მამულსა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელენე შაბურიშვილი და რისმაგ გორდეზიანი.

რედაქციაში მოვიწვიეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი რისმაგ გორდეზიანი და 126-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ელენე შაბურიშვილი.

გთავაზობთ მათ საუბარს ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემებზე.

**ელენე შაბურიშვილი.** ბატონო რისმაგ, მალე ორი ათეული წელი შესრულდება, რაც ყოველწლიურად ხვდებით პირველკურსელებს, ე. ი. ახალგაზრდებს, რომელთაც ჯერ უნივერსიტეტის ზეგავლენა არ განუცდიათ და ყველაფერი — დადებითიც და, ალბათ, ზოგი რამ უარყოფითიც, რაც მათ სკოლიდან მოსდევთ, თქვენთვის უცხო არ უნდა იყოს. მე, როგორც პედაგოგი, ვფიქრობ, რომ დღევანდელ ახალგაზრდობასთან უფრო რთულია მუშაობა. ახლა მრავალმხრივ განათლებასთან ერთად პედაგოგს კიდევ ბევრი რამ სჭირდება. ყველა თაობას თავისი პრობლემები მოაქვს აღმზრდელისათვის...

**რისმაგ გორდეზიანი.** დიახ, ასეა უმაღლეს სასწავლებელშიც. როდესაც ახალ თაობაზე ვმსჯელობთ, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, ვითვალისწინებთ იმას, რაც მას თავის წინამორბედთაგან განასხვავებს. ჩემი აზრით, ჩვენი სტუდენტების ამჟამინდელი თაობა გამოირჩევა რამდენიმე ნიშნით: გულწრფელობით, პირდაპირობით. ისინი პიროვნების ავტორიტეტად აღიარების დროს ფრთხილობენ, ერთგვარად სკეპტიკურნიც კი არიან. ეს სავსებით გასაგებია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ინფორმაციის თანამედროვე საშუალებებმა, განსაკუთრებით ტელევიზიამ, მის თვალსაწიერში შემოიყვანა თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ადამიანები, საშუალება მისცა სისტემატურად ადევნოს თვალი ყველაზე უფრო სერიოზული და მძაფრი დისკუსიების მსვლელობას, მოწმე იყოს ადამიანთა გულწრფელობის ყველაზე პირდაპირი და მასობრივი გამოვლინებებისა. სწორედ ამიტომ დღეს მისი დაინტერესება ტრადიციული შეგონებებით, ლექციების ჩვეული ფორმებით, მუშაობის ძველი მეთოდებით ერთობ ძნელი საქმეა. ეს თაობა იმისათვის, რომ ირწმუნოს ჩვენი, უფროსების, დღეს ჩვენგან თხოულობს გაცილებით მეტ ერუდიციას, პირდაპირობას, გულწრფელობას. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ჩვენ ამისათვის არ ვართ მზად და, შედეგად ახალ თაობას ინდიფერენტიზმში ვდებთ ხოლმე ბრალს. ასეთ დროს გვავიწყდება, რომ თაობა არ შეიძლება ზოგადად იყოს ინდიფერენტული; იგი გულგრილი შეიძლება გახდეს გარკვეული ღირებულებების მიმართ. ხოლო ამას კი თანამედროვე რთულ მსოფლიოში საკმაოდ ღრმა და გონივრული ანალიზი სჭირდება.

**ელენე შაბურიშვილი.** ალბათ, თანამედროვე ახალგაზრდობასთან მუშაობის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ამიტომაც თვლით დიალოგის ფორმას. თქვენ ხომ მიიჩნევთ, რომ სტუდენტი ლექციის აქტიური მონაწილე უნდა იყოს.

**რისმაგ გორდეზიანი.** ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში ჭეშმარიტებაზე, მეცნიერებასა თუ ხელოვნების საკითხებზე მსჯელობისას მიღებული იყო მოძღვრის მიერ შეგირდებთან დიალოგის ფორმით საუბარი. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელსა და აუდიტორიას შორის ორმხრივი კავშირი მყარდებოდა და მსმენელი არასოდეს რჩებოდა ცოდნის პასიური რეგისტრატორის როლში. სამწუხაროდ, ეს საკმაოდ კარგი ტრადიცია დღეს ბევრმა დაივიწყა და ლექცია ჩვენს წარმოდგენაში გადაიქცა ისეთი ორი აკადემიური საათის ერთობლიობად, როდესაც სტუდენტები მხოლოდ უსმენენ. არცთუ იშვიათად სწავლების ამგვარი ფორმა მოსაწყენი და ნაკლებად ეფექტური ხდება. დღეს, როდესაც ჩვენ განკარგულებაში უამრავი ტექნიკური საშუალებაა, რასაკვირველია, ჩვენი ლექციები ბევრად უფრო საინტერესო უნდა იყოს. მე პირადად ვცდილობ, ამ მხრივ გავამრავალფეროვნო ჩემი მუშაობა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ამ მეთოდს ჯერ კიდევ ერთობ მოკრძალებით მივმართავ და, ალბათ, ეს ჩემი შეცდომაა. ბუნებრივია, ისმის კითხვა: თუკი ლექცია-დიალოგს უპირატესობა ენიჭება ტრადიციულ ლექცია-მონოლოგთან შედარებით, რატომ არ დამკვიდრდა იგი ჩვენი უმაღლესი სკოლების პრაქტიკაში. პასუხი საკმაოდ მარტივია: იმიტომ, რომ მისი ჩატარება ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ტრადიციული ლექციისა. დიალოგი აუდიტორიაში სტუდენტებთან მეცნიერების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მოითხოვს ლექტორისაგან არა მარტო კარგ მჭევრმეტყველებას, არამედ ფართო ერუდიციას, დარწმუნების უნარს, სწრაფრეაქციას, დიალოგის წარმართვის მაღალ კულტურას. აქ ძალზე მკაფიოდ ვლინდება სწორი და არასწორი, ხარისხოვანი და მდარე, ღრმა და ზედაპირული. შესაბამისად ამგვარი ლექცია ბევრად უფრო ძნელი მოსამზადებელია, ვიდრე ჩვეულებრივი.

**ელენე შაბურიშვილი.** ბატონო რისმაგ, თქვენს ლექციებზე ყოველთვის უთმობთ ადგილს ქართულ კულტურასა და ქართულ ლიტერატურას, ამით რა ამოცანას ისახავთ. და, საერთოდ, როგორ წარმო-

გიდგენიათ მხატვრული კულტურის როლი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

**რისმაგ გორდეზიანი.** მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ლექციების კურსები ანტიკურ ლიტერატურასა და კულტურას მოიცავს, მე ყოველთვის ვცდილობ გარკვეული ადგილი დავუთმო მიმართებებს ქართულ ლიტერატურასა და კულტურასთან. ამის ძირითადი მიზანია ის, რომ ახალგაზრდა მიეჩვიოს თავისი მშობლიური კულტურა კაცობრიობის კულტურის უმნიშვნელოვანეს ფაქტებთან პარალელურად, მასთან კავშირში განიხილოს. ეს მას დაეხმარება ქართული კულტურა წარმოიდგინოს, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების ორგანული ნაწილი, რეალური წარმოდგენა შეუქმნას მის ადგილზე მსოფლიოს ხალხთა კულტურების სისტემაში.

მხატვრული კულტურის როლი კი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში გადამწყვეტი თუ არა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. როგორც ცნობილია, მხატვრულ კულტურას ადამიანური შემოქმედების შედეგად შექმნილ ღირებულებებში, სავსებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ყველა სხვა სფეროში შეიძლება ევოლუციის, განვითარების სავსებით მკაფიო ხაზზე ლაპარაკი ცივილიზაციების ისტორიაში. დღეს თავში არავის არ მოუვა „შურით“ უყუროს ტექნიკის იმ დონეს, რაც ჩვენს წინამორბედთ ჰქონდათ — ანტიკური თუ შუასაუკუნეების ტექნიკური მიღწევები ამჟამად მეტწილად მხოლოდ ჩვენს ისტორიულ ინტერესს აკმაყოფილებენ. მაგრამ, როდესაც მხატვრული კულტურის სფეროში გადმოვდივართ, აქ ძნელია ევოლუციის ასეთსავე კანონზომიერებაზე ლაპარაკი. აქ ახალი ყოველთვის როდი ნიშნავს თვისობრივად თუ ხარისხობრივად უმჯობესს. დღეს არავინ იტყვის, რომ მეოცე საუკუნემ კაცობრიობას ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში უფრო დიდი სახელები მისცა, ვიდრე ძვ. წ. ა. V საუკუნის ათენმა ან რენესანსულმა ევროპამ.

როგორც ჩანს, როცა საქმე მხატვრულ კულტურას ეხება, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აქ ადამიანში არსებული ამოსავალი პოტენციალი ვლინდება თანდათანობით, ზოგჯერ უფრო ძლიერად, ზოგჯერ კი უფრო სუსტად. სწორედ ამიტომ, მართალია, ლექსისა თუ რომანის წერის, ქვისგან ქანდაკების გამოძერწვის თუ ფერთა შეზავების ტექნიკა დროთა განმავლობაში მართლაც იხვეწება და ვითარდება, მაგრამ მხატვრული პოტენციალი შეიძლება უფრო ძლიერად გამოვლინდეს შესრულების უფრო პრიმიტული ტექნიკის პირობებში და, პირიქით, ნაკლებად მკაფიოდ — უფრო განვითარებული საშემსრულებლო ოსტატობის პირობებში. ეს კი მხატვრული კულტურის, რომელშიც ლიტერატურას ცენტრალური ადგილი უჭირავს, ზეგავლენისა და ზემოქმედების მასშტაბებს საოცრად აფართოებს. დღეს ადამიანს აღელვებს, ესთეტიკურ ტკბობას ანიჭებს ყოველივე მნიშვნელოვანი, რაც მას შეუქმნია ამ სფეროში უძველესი დროიდან ჩვენს ეპოქამდე. სწორედ ამიტომ დღეს ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ახალგაზრდობის ზიარებას კაცობრიობის მიერ შექმნილ უმნიშვნელოვანეს სიმაღლეებთან მხატვრული კულტურის სფეროში. ეს ფაქტობრივად, კაცობრიობის შემოქმედებით პოტენციალთან უშუალო ზიარებაა. თანამედროვე სკოლაში, ამ მხრივ, გადაჭარბებული არ იქნება, თუკი ვიტყვით, რომ განსაკუთრებული მისია აკისრია მშობლიური, საერთოდ ლიტერატურის სწავლებას. მან უნდა გაუღოს ახალგაზრდობას კარი მშვენიერების იმ სამყაროში, რომელსაც კაცობრიობის მხატვრული კულტურა ჰქვია.

**ელენე შაბურიშვილი.** მართლაც, ქართული ლიტერატურის მასწავლებელს დიდი შესაძლებლობები აქვს. გონივრულად წარმართულ გაკვეთილებზე მოზრდილი თანდათან გაიგებს, რა არის ცხოვრება, ადამიანი, მისი ამქვეყნიური დანიშნულება, გაარჩევს ცუდსა და კარგს, გაუღვივდება პატრიოტული, ინტერნაციონალური გრძნობა.

ქართული მწერლობა მდიდარ და მრავალფეროვან მასალას იძლევა მოსწავლეთა სულის ასამაღლებლად, ჩვენი გმირული წარსულის სწავლება შესაძლებლობას გვაძლევს, ჩავუნერგოთ მათ სიკეთის, მეგობრობის, ენისა და ქვეყნის სიყვარული, გამოვუმუშაოთ აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, მოვამზადოთ ისინი ცხოვრებისათვის.

ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე ბავშვები ხედავენ პირადისა და საზოგადოებრივი ინტერესების ურთიერთდამოკიდებულებას, რომ ადამიანი არ უნდა შემოიფარგლოს ვიწრო პირადი ინტერესებით, არ უნდა ჩაიკეტოს საკუთარ ნაჭუჭში, იგი მოვალეა, ზრუნავდეს და სიკეთე მოჰქონდეს ადამიანთათვის.

„სამშობლოს მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის“ — ხევისბერი გოჩას ეს სიტყვები ყოველი დროისა და თაობის ცხოვრების წესი უნდა იყოს. მართალია, ეპოქის ცვლილებასთან ერთად იცვლება სამშობლოსადმი თავგანწირვისა და სიყვარულის გამოხატვის ფორმა, მაგრამ მოსწავლეებს ღრმად ვუნერგავთ, რომ თითოეული ახალგაზრდის დამოკიდებულება სწავლისადმი, მეგობრებისადმი მათი საქციელი, მომავლის არჩევანი. ქვეყნისა და ხალხისთვის სასარგებლო შრომა, მათი წვლილი ქვეყნის საქმიანობაში საბოლოოდ სამშობლოს სიყვარულად აღიქმება. ასე თანდათანობით სწვდებიან მოზარდები ცხოვრების არსსა და ადამიანის დანიშნულებას, ეჩვევიან მშვენიერისა და ამაღლებულის ჭეშმარიტად განცდას.

მხატვრული ლიტერატურის სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ცხოვრებისეულ მოვლენათა სწორ ჩვენებას. მოსწავლეებში აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებას.

**რისმაგ გორდეზიანი.** ისიც სამწუხაროა, რომ ზოგჯერ მშობლიურ ლიტერატურას ვასწავლით, როგორც ჩვეულებრივ საგანს, რომლის ცოდნას ხშირად მარტოოდენ რაოდენობრივი კრიტერიუმებით ვაფასებთ. ვთქვათ გულახდილად, ახერხებს ყველა მასწავლებელი იმას, რომ გაარკვიოს, თუ რამდენად ჩასწვდა მოსწავლე ნაწარმოებში იმას, რაც არსებითად მის სიმაღლეს განაპირობებს? ხშირად ჩვენ ყურადღება გადაგვაქვს მხატვრული ძეგლისათვის მეორეხარისხოვან ასპექტებზე და ამის გამოა, რომ ახალგაზრდობას ვასწავლით ლიტერატურას, მაგრამ, არც თუ იშვიათად, ვერ ვახერხებთ შევაყვაროთ ლიტერატურა. ამის შედეგია ის, რომ თვით უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე შემოსულ ახალგაზრდობასაც კი ასე უჭირს ხოლმე ჩამოაყალიბოს თავისი აზრი იმის თაობაზე, თუ რატომ არის დიდი ესა თუ ის მწერალი, თუ რა იზიდავს მას ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში. მშობლიური ლიტერატურის სწავლების პროცესში უნდა მოხდეს მოსწავლეში მხატვრული სიტყვისადმი სიყვარულის გაღვიძება, რადგან აქ კონტაქტი მწერალსა და აუდიტორიას შორის ყველაზე სრულყოფილია.

ვფიქრობ, თავისთავად, მოსწავლეთა ზიარება მაღალ ხელოვნებასთან უკვე გულისხმობს ზნეობრივი პრობლემის გარკვეულ გადაწყვეტასაც. თუკი ლიტერატურის შესწავლა მოსწავლეს გაუხსნის კარს მშვენიერების სამყაროში, ამით გაცილებით მეტს შეგვიძლია მივაღწიოთ მორალის სფეროშიც, ვიდრე მშრალი შეგონებებით. თუმცა, რასაკვირველია, ამ მხრივ ბევრი სხვა ფაქტორიც არის გასათვალისწინებელი.

ახალგაზრდობას თავისთავად ზნეობრივი სრულყოფისაკენ ყველაზე მეტი სწრაფვა ახასიათებს. რაც უფრო მცირეა ადამიანის ასაკი, მით უფრო ნაკლებად არის იგი დამძიმებული ზნეობრივ შეცოდებათაგან. სწორედ ამიტომ, ჩემი აზრით, ახალგაზრდობის ორიენტაცია ჭეშმარიტ ზნეობრივ ღირებულებებზე გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე უკვე მოწიფული, თუ ასაკში შესული ადამიანებისა. ყოველთვის, როდესაც გვაწუხებს ჩვენ გარშემო შექმნილი არასასურველი მორალური ატმოსფერო, ძირითად ხსნას

ფოტო გონდო დვალიშვილისა.

ელენე შაბურიშვილი გაკვეთილზე.





საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ვხედავთ ახალ თაობაში, რომელმაც არსებითი გარდატეხა უნდა შეიტანოს საზოგადოების მორალური სრულყოფის პროცესში. აქ კი უთუოდ გადამწყვეტია ის, თუ ვის აქვს დაკისრებული ახალგაზრდობის აღზრდა. სამწუხაროდ, არ არის იშვიათი, როდესაც ზნეობრივ სიწმინდეზე ავტორიტეტული საუბრის, ჭკუის დარიგების უფლება ენიჭება იმას, ვინც თვითონ არ არის ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნება. ამან კი არ შეიძლება დადებითი გავლენა მოახდინოს ახალგაზრდობაზე, რომელიც საოცრად ზუსტად განასხვავებს სიყალბესა და გულწრფელობას. საერთოდ, ვფიქრობ, მორალის საკითხებზე ახალგაზრდობასთან ჩვენი მუშაობა არსებით გარდაქმნას, დეკლარაციულობისა თუ ზედაპირული, სწორხაზოვანი დიდაქტიკისაგან განთავისუფლებას მოითხოვს. რაც მთავარია, საჭიროა ჩატარდეს იმის ზუსტი ანალიზი, თუ რამდენად ეფექტურია ის ზომები და მეთოდები, რომელსაც ჩვენ მივმართავთ ამ სფეროში, იმ მიზეზების სწორი შესწავლა, რომელნიც ზნეობრივ ანომალიებს იწვევენ.

**ელენე შაბურიშვილი.** ზნეობრივი აღზრდის მიზანი პიროვნების ჩამოყალიბებაა.

მოსწავლეებთან კონტაქტმა დამარწმუნა, რომ ბავშვს კი არ უნდა ეშინოდეს მასწავლებლის, უფროსის, არამედ უყვარდეს, პატივს სცემდეს მას, მიაჩნდეს უფროს მეგობრად, მესაიდუმლედ და, რაც მთავარია, უნდა სწამდეს მისი. საჭიროა უფრო ახლოს ყოფნა ბავშვებთან, უფრო ღრმად რომ ჩავწვდეთ მათ მისწრაფებებსა და ოცნებებს. იშვიათი არ არის მათი ჩივილი „ჩვენ ვერ გვიგებენო“. სამწუხაროდ, ზოგჯერ მასწავლებლებისაგანაც გვსმენია, რომ მოსწავლეებს დაუქვეითდათ ინტერესი სწავლის მიმართ, მაგრამ ამის მიზეზთა კვლევა-ძიებისათვის ნაკლებად ვიწუხებთ თავს.

ყველას კარგად გვესმის, რომ აღზრდაში არსებული სირთულეები პირველ რიგში საქმისა და სიტყვის დაშორებამ გამოიწვია. რა უნდა იღონოს მასწავლებლის აღმზრდელობითმა უნარმა თუ პროპაგანდისტულმა ნიჭმა, როცა მოზარდს ზოგჯერ არც თუ ისე საიმედო ოჯახი და გარემო, სხვა რწმენას და ცხოვრებისეულ მიმართულებას უყალიბებს, როცა საზოგადოების გარკვეული ნაწილი არ ამტკიცებს, ან სულაც არღვევს იმ ზნეობრივ ნორმებს, რასაც ქადაგებს და ასწავლის სკოლა.

ოჯახი ბავშვის აღზრდის პირველადი და მთავარი გარემოა, სწორედ აქ უნდა შეიქმნას აღზრდისათვის ის საჭირო მიკროკლიმატი, რომელიც კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს მოზარდზე. თუ ოჯახი არამტკიცეა, გამუდმებული აყალ-მაყალი და ღალატია, ცხადია, ის არ იქნება სასურველი გარემო ბავშვის აღზრდისათვის.

ბევრი მშობელი ბავშვზე ზრუნვას მხოლოდ იმით გამოხატავს, თუ მას საზღვარგარეთული წარმოების ტანსაცმელს უყიდის, ასეთი მშობელი თავს ვალმოხდილად თვლის შვილის წინაშე. თუ სხვაზე მეტად შეწუხდა, თუ მის შვილს სხვაზე უკეთესად აცვია, ეს მას ეამაყება. ზედმეტია ლაპარაკი ბავშვის აღზრდაზე. ასეთი მშობლები არ იცნობენ და არც აინტერესებთ შვილის სულიერი სამყარო, მისი ინტერესები, ამხანაგთა წრე.

რამდენჯერ მინახავს ზოგიერთი მოსწავლის გაბრწყინებული თვალები, როცა მის ფრიადოსან თანაკლასელს ნაკლები ნიშანი მიუღია. ასეთი მოსწავლეები უფროსებთან ზრდილობიანები არიან, არც ტაქტი ეშლებათ, მაგრამ ნაკლებად ჩაითვლებიან თავდადებულ, ერთგულ მეგობრებად. მათთვის მხოლოდ პირადი არსებობს, არც ეთაკილებათ საკუთარი ეგოიზმის გამოვლენა. უფროსებისაგან ბავშვი ხედავს, რომ ადამიანმა შეიძლება იფიქროს ერთი, თქვას მეორე და გააკეთოს მესამე. ასე ვაბნევთ ზოგჯერ ბავშვებს.

ჩემი აზრით, მეტი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მოსწავლეთა მშობლებსა და ოჯახს. ისინი ვალდებული არიან პასუხი აგონ შვილების ყოველგვარ საქციელზე. ყველა წარმოება-დაწესებულების პარტიულმა ორგანიზაციებმა ღია კრებებზე სისტემატურად უნდა განიხილონ მუშა-მოსამსახურეთა შვილების სწავლისა და ყოფაქცევის მდგომარეობა.

მოსწავლეებში კარგი თვისებების, ჩვევების ჩამოყალიბებაში მასწავლებლის ზემოქმედების იარაღად მარტო გამუდმებული ტრაფარეტული დარიგებები აღარ კმარა, მოზარდი ადვილად აღიქვამს ცხოვრებისეულ მაგალითებს. ადრე პედაგოგის აზრი მოსწავლეებისათვის ერთადერთ ჭეშმარიტებად ითვლებოდა, ახლა კი მასწავლებლის ნათქვამს ხშირად ცხოვრებისეული სინამდვილე აცლის საფუძველს.

მოსწავლეებში ზნეობრივი აღზრდის განხორციელებაში არ არსებობს მთავარი, პირველხარისხოვანი და არამთავარი, მეორეხარისხოვანი. ყველა და ყველაფერი, რაც კი დაკავშირებულია მოზარდის აღზრდასთან, მთავარია და აუცილებელი.

**რისმაგ გორდეზიანი.** ჩემი აზრით, დიდი სიძნელეები განსაკუთრებით მეშვიდე-მერვე კლასელებთან გვქნებათ. ამ დროს ხომ განსაკუთრებით საგრძნობია მოზარდის არსებაში შემდგარი შინაგანი ღუღილი, რაც პიროვნული ჩამოყალიბების რთულ პროცესს ახლავს თან.

**ელენე შაბურიშვილი.** დიახ, სამწუხაროდ, ჩვენი პედაგოგ-მეცნიერები, ფსიქოლოგები ნაკლებად იკვლევენ ამ პრობლემებს, ყოველ შემთხვევაში, კვლევის შედეგები და პრაქტიკული რეკომენდაციები ჩვენამდე არ აღწევს. სად ვეძებოთ გამოსავალი? ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, როგორც ეს ჩვენს სკოლაშია, ყველა სკოლას ჰყავდეს ფსიქოლოგი, რომელიც კონსულტაციებს გაუწევს მშობლებსაც და მასწავლებლებსაც.

მოსწავლეებთან ურთიერთობისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბავშვი პიროვნებაა, მათი ნებისმიერი მოქმედება-საქციელის შეფასებისას მასწავლებელს განსაკუთრებულად შერჩეული და დახვეწილი ტაქტი ესაჭიროება.

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა მასწავლებლისა და მოსწავლეების კონფლიქტური ამბავი, რომელიც შემდეგი შემთხვევიდან იღებდა სათავეს. მასწავლებელს გაკვეთილზე დასაწერად მიუცია თხზულება „ჩემი მამის პროფესია“. ოთხ მოსწავლეს არ დაუწერია ეს თხზულება გასაგები მიზეზით — მათ მამები არ ჰყავდათ, მასწავლებელმა კი ჟურნალში ერთიანები ჩაუწერა.

მოსწავლეები უფროსების საოცარი და უტყუარი შემფასებლები არიან. მათ კარგად იციან, რა არის ობიექტური და არაობიექტური. არ არის ადვილი, ყველას ნდობა დაიმსახურო.

მე პირადად მოსწავლეთა სულიერი სამყაროს, მათი მისწრაფებებისა და ოცნებების გაგებას მიადვილებს მათ მიერ დაწერილი თხზულებები თავისუფალ თემაზე. ამ დროს ბავშვები გულახდილები არიან მომხდარი ამბისა თუ ადამიანების შეფასებისას, თავისუფლად მსჯელობენ, კამათობენ, ოცნებობენ...

**რისმაგ გორდეზიანი.** რითი ხსნით ქალი და მამაკაცი მასწავლებლების რაოდენობრივ უთანასწორობას?

**ელენე შაბურიშვილი.** ქალი და მამაკაცი მასწავლებლების რაოდენობრივი უთანასწორობა დღევანდელი სკოლის მტკივ-

# მკითხველთა თხოვნით

ეთერ რაქვიაშვილი

რედაქციაში შემოვიდა წერილები, რომელთა ავტორები გვთხოვენ ზოგიერთი პოლიტიკური ტერმინის ვრცელ, ეტიმოლოგიურ განმარტებას.

ამჯერად განვმარტავთ რამდენიმე ტერმინს.

**სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია.**

(ლათინური — აღდგენა, შევსება, მთელი) — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალი ქვეყნების მიერ შეგნებულად და გეგმაზომიერად წარმართული შრომის დანაწილების საერთაშორისო პროცესი. სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია ითვალისწინებს მონაწილე ქვეყნების ეკონომიკების დაახლოებას და ეროვნული მეურნეობების თანამედროვე, მაღალეფექტიანი სტრუქტურების შექმნას, მათი ეკონომიკური განვითარების თანდათანობით დაახლოებასა და გათანაბრებას: ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის ძირითად დარგებში ღრმა და მყარი კავშირების ფორმირებას; ამ სახელმწიფოთა საერთაშორისო ბაზრის გაფართოებასა და განმტკიცებას.

სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია ხელს უწყობს ყველა ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების მიზანშეწონილად გადაჭრას, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა საფუძველზე საზოგადოებრივი შრომისნაყოფიერების ზრდას, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, მსოფლიოს ორ საზოგადოებრივ სისტემას შორის ეკონომიკურ შეჯიბრში სოციალიზმის გამარჯვების უზრუნველყოფას.

სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი მიმართულებებია მონაწილე ქვეყნების საგეგმო მოღვაწეობის კოორდინაცია, წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების (როგორიცაა „ინტერმეტალი“, „ინტერენერგო“ და სხვ.) შექმნა; თანამშრომლობა სათბობ-ენერგეტიკული პრობლემების გადაჭრაში; ციმბირის ენერგეტიკისა და ნედლეულის რესურსების ერთობლივი ათვისება;

ნეული პრობლემაა. ამჟამად, როგორც არასდროს, ისე სჭირდება თანამედროვე სკოლას, მოზარდ თაობას მამაკაცი მასწავლებელი.

ამ პრობლემას ბევრი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი განაპირობებს. ერთ-ერთი ძირითადი — შრომის ანაზღაურება — უკვე მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელია. პედაგოგობა შემთხვევითი პროფესია არ არის, მასწავლებელს უნდა მოწოდება გააჩნდეს.

...თუმცა დღევანდელ სკოლაში მასწავლებლის მიმართ ისეთი მოთხოვნებიც არის, რაც ბევრისთვის არასასურველია. მაგალითად, სხვადასხვა ღონისძიებებისათვის თანხის შეგროვება (ნებაყოფლობითი საზოგადოებები, თეატრი, კვების ტალონები და სხვ.).

როცა ვიკითხე, რითი იყო გამოწვეული კვების ტალონების შემოღების აუცილებლობა, სერიოზულად ამიხსნეს, ბავშვის ხელში ფული რომ არ მოხვდესო. განა ტალონის ფული ბავშვს არ მოაქვს მასწავლებელთან? ანდა, რატომ უნდა იკრიბებოდეს სკოლაში მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა სიცოცხლის დაზღვევის ფული. ნუთუ ძნელია, მშობელს დაუკავდეს ხელფასიდან ეს თანხა. მაშინ საჭირო აღარ იქნება „რწყილისა და ჭიანჭველას“ მსგავსი გართულებული მოგზაურობა — მშობელმა შვილს მისცეს ფული, შვილმა მასწავლებელს და ა. შ.

სკოლა აუცილებლად უნდა განთავისუფლდეს ზედმეტი დავალებებისაგან. მან უნდა მიხედოს მხოლოდ თავის ძირითად საქმეს — სწავლა-აღზრდის ფუნქციას.

არა მგონია, სწავლა-აღზრდაზე ან პედაგოგის ავტორიტეტზე დადებითად მოქმედებდეს გაკვეთილის დაწყების წინ გამართული ასეთი დიალოგი:

— ფული რატომ არ მოიტანე?

— მასწ., ხელფასი არა მაქვს და ფული საიდან მოვიტანო?

— არ მინდა, მასწ, ტალონის აღება, მაგრამ თქვენი ხათრით ავიღებ და ფულს მოგიტანთ.

ჩემი აზრით, სწორედ ამ დროს ეჩვევა მოსწავლე ზერელობას, მოჩვენებითობას, რადგან ხშირად იგი 8-9 ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრია და თითოეული მისგან მხოლოდ საწევროს გადახდას მოითხოვს.

დიდ სიძნელეებს გვიქმნის კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობაც. პრაქტიკულად ხომ შეუძლებელია სკოლამ სამუშაოზე მოაწყოს ათეულობით კურსდამთავრებული. რა დასამალია და, სკოლას უკვე ზეგავლენაც აღარა აქვს კურსდამთავრებულებზე. ამიტომ პირველი სექტემბრის ერთი შეხედვით საზეიმო განწყობილების მიღმა ბევრი უსიამოვნება იმალება ნაცვლად იმისა, რომ მთელ განახლებულ ძალ-ღონეს ბავშვთა აღზრდას ვახმარდეთ, ისეთ საქმეებზე ვხარჯავთ ენერგიას, რაც სწავლებასთან სრულიადაც არ არის კავშირში.

აი რატომ არის, ჩემი აზრით, რომ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებიდან ბევრს არა აქვს სურვილი გახდეს მასწავლებელი, მით უმეტეს ვაჟებს.

საერთოდ, პროფესიის არჩევანი ხომ ხშირად შემთხვევითია. გულის კარნახს აღარ უყურებენ, სხვათა და სხვათა რჩევით ადვილად იცვლიან გზას და მიმართულებას.

ჩვენს სკოლაში დაინერგა ასეთი სიახლე: IX-X კლასების გამოცდილმა მასწავლებლებმა მოსწავლეებს მოამზადებინეს და ჩაატარებინეს გაკვეთილები. ეს, მე მგონია, კარგი პრაქტიკული ნაბიჯია მასწავლებლის პროფესიისადმი სიყვარულის გასაღვივებლად.

**რისმაგ გორდეზიანი.** როგორ წარმოგიდგენიათ, სკოლასთან უმაღლესი სასწავლებლის კავშირი?

**ელენე შაბურიშვილი.** დღეს სახალხო განათლების სისტემა თავისი არსებობის ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე — სრულყოფის ზღურბლზე დგას. სასკოლო რეფორმამ ახალი, ძნელი, მაგრამ აუცილებლად შესასრულებელი ამოცანები დააყენა არა მარტო განათლების, არამედ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო სფეროს მუშაკების წინაშე. ჩვენ კარგად გვესმის, რომ სკოლის გარდაქმნა ეს ყველასათვის აუცილებელი, სასარგებლო და ეროვნული საქმე ძალების უდიდეს დაძაბვას, აუჩქარებელ, შორს გამიზნულ და თავჩაუხრელ შრომას მოითხოვს.

პრობლემის არსი ასე წარმოგვიდგება— ვინ ასწავლის, ვის ასწავლის, რას და როგორ.

დგება დიფერენცირებული სწავლების შემოღების აუცილებლობის საკითხი. აი, სწორედ აქ უნდა დამყარდეს და გაღრმავდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კავშირი უმაღლეს სასწავლებელთან. უნივერსიტეტში, რამდენადაც ვიცი, არსებობს ნორჩ მათემატიკოსთა სკოლა. იქ მათემატიკით დაინტერესებულ მოსწავლეებს კვალიფიციური სპეციალისტები დამატებით არაპროგრამულ მასალას აცნობენ. კარგი იქნება, თუ სხვა საგნებშიც იქნება ასეთი სკოლები, რომლებიც უფრო დახვეწენ მუშაობის მეთოდებს და ყოველივე ამას მასობრივი ხასიათი ჰქონდეს. ჩემი აზრით, ერთად უნდა [illegible] ახალგაზრდობაში [illegible]მის სიყვარულის და [illegible] პიროვნების უნარის გამომუშავებისათვის.

**რისმაგ გორდეზიანი.** ერთი გულისტკივილიც მინდა გაგიმხილოთ; როგორც აღმზრდელს — ახალგაზრდობის პიროვნული წესრიგის საკითხი ძალიან მაფიქრებს. მე ვიცი, რომ ახალგაზრდობა ყველაზე ძნელად ეგუება ყოველგვარ შეზღუდვებს. იგი თავისუფლებისაკენ, დამოუკიდებლობისაკენ მიილტვის. ეს, რასაკვირველია, ყველა აღმზრდელმა შესანიშნავად იცის. მაგრამ ასევე სრულიად ნათელია, რომ თანამედროვე დიდი ქალაქების ცხოვრების პირობებში, უთუოდ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად წესრიგის მოყვარულ ახალგაზრდობას გავზრდით, როგორი იქნება მისი შინაგანი კულტურა. ეს კი დიდ ქალაქში თანაცხოვრების არცთუ მარტივი წესების ცოდნასთანაა დაკავშირებული. საკმარისია, კაცმა ჩაუაროს თბილისის კინოთეატრების სალაროებს საინტერესო ფილმების ჩვენების პერიოდში, ან თვალი მოავლოს ჩვენს ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს, რომ მას ჩვენი თანამოქალაქეთა ყოფითი კულტურის შესახებ ერთობ არასახარბიელო შეხედულება შეექმნას. აქ, კი, როგორც ჩანს, ძირითადად ჩვენ, აღმზრდელები ვცოდავთ. არ არის დასამალი, რომ ყოფითი კულტურის ჩამოყალიბებას დრო სჭირდება, რომ ის პროცესები, რაც ამ მხრივ ჩვენი ქვეყნისა თუ ევროპის მრავალ ქალაქში უკვე საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა, ჩვენთან შედარებით გვიან დაიწყო. სწორედ ამიტომ ამ მიმართულებით მეტი მუშაობაა საჭირო.

**ელენე შაბურიშვილი.** მართლაც ბევრი და მტკივნეული პრობლემაა. რა დასამალია, იმასაც კი, რაზეც დღეს ვისაუბრეთ, პრაქტიკულად ცხოვრებაში ყოველთვის ვერ ვატარებთ. სხვაც ბევრი რამ არის, რაზეც დაფიქრება გვმართებს. აქ გულგრილობა შეუწყნარებელია, რადგან თანამედროვეობა ჩვენგან მოითხოვს აღვზარდოთ ეპოქის შესაფერისი მრავალმხრივ განვითარებული, მაღალი ზნეობის მქონე პიროვნებები, რომელთაც უნდა მიენდოს ხვალინდელი დღე.

---

ტრანსკონტინენტური გაზსადენის „სოიუზ“-ის მშენებლობა; ევროპის ქვეყნების — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრების — ერთიანი ენერგოსისტემის შექმნა; თანამშრომლობა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, სავალუტო-ფინანსური და საგარეო-სავაჭრო საქმიანობის კოორდინირება.

სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნები, ამოცანები და მათი განხორციელების მექანიზმი განისაზღვრება თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების, სრულყოფისა და ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების კომპლექსური პროგრამით, რომელიც ეტაპობრივ რეალიზაციას ითვალისწინებს.

საბჭოთა კავშირს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს შრომის საერთაშორისო დანაწილების ფორმირებაში, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებაში. ეს განისაზღვრება მისი უდიდესი საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალითა და ღრმა ინტერესით გამოიყენოს ეკონომიკური თანამშრომლობის უპირატესობა სოციალისტური ქვეყნების სამეურნეო პროგრესის მისაღწევად. ამჟამად ევროპის სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობაში ექსტენსიური ტიპის მეურნეობები ინტენსიური ტიპის თანამედროვე ეკონომიკაზე გადადიან. მნიშვნელოვან ამოცანად იქცა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდა და ზრდის დინამიკა. ამ პრობლემების გადაწყვეტა ეკონომიკის ხარისხობრივად ახალ მეცნიერულ-ტექნიკურ და საორგანიზაციო-ეკონომიკური დონის მიღწევას ითვალისწინებს.

**გენოციდი.**

(ბერძნული — გვარი, ტომი და ლათინური — მოკვლა) — რასობრივი, ეროვნული თუ რელიგიური მოტივებით მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ფიზიკური მოსპობა ან ცხოვრების ისეთ პირობებში ჩაყენება, რაც მათ განადგურებას გამოიწვევს. გენოციდი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია. იგი ორგანულად უკავშირდება რეაქციულ „თეორიებს“, რომლებიც ქადაგებენ რასობრივ და ეროვნულ სიძულვილს, ე. წ. „უმაღლესი“ რასის გაბატონებას „დაბალ“ რასაზე. გენოციდს მასობრივად მიმართავდნენ ჰიტლერელები, რომლებმაც მილიონობით ადამიანი გაჟლიტეს „სიკვდილის ბანაკებში“.

მირიან ლეჟავა



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვდივარ.

ზამთარია. ბარაქიანად თოვს. სუფთა, ცივი ჰაერია. გული ბაგა-ბუგით მიცემს. ფიქრი ბოლივით მეხვევა. ვხედავ, გადათეთრებულა ქუჩები, სახლები, ხეები, გაზონები. ვხედავ, დათოვლილა ხალხი, ბელურები, აკაკის ბიუსტი, მეც დავთოვლილვარ.

მოვდივარ. ფეხქვეშ თოვლი ხრაშუნობს.

მაგონდება: შეხვედრა, შეცბუნება, უხერხულობა, დაბნევა, რაღაცის თქმა, რაღაც პასუხი. შენც დაბნეული, უხერხული, დარცხვენილი. შენი ღიმილი, ჩემი ღიმილი, ორივეს ღიმილი. შვება.

ცივა. ღრმად და ღონივრად ვსუნთქავ. ცხვირის ნესტოები მებერება. ყრუდ მესმის ხმები — სიცილი, ძახილი, ტირილი, სიმღერა, სტვენა.

მოვდივარ. მათოვს.

მაგონდება: მეორე შეხვედრა იმ ქუჩაზე, იმ სახლთან, შენი სითამამე, ჩემი სითამამე. სიყვარულის მალვა. ვითომ სხვათაშორის, ვითომ შემთხვევით, ვითომ აქ არაფერი. მაგონდება და მეღიმება. მაგონდება და თავს ვაქნევ.

ყინავს. მოვდივარ, ფეხი მისხლტება. თავს ვიმაგრებ და ისევ მოვდივარ. ისევ ფეხი მისხლტება და მაინც მოვდივარ. ბარაქიანად თოვს.

შუა ზამთარია. ნამდვილი ზამთარია. თოვს. სუფთა, ცივი ჰაერია. მთელი ფილტვებით ვსუნთქავ. ღრმად და ღონივრად ვსუნთქავ. ცხვირის ნესტოები მეწვის. ჯანსაღი, ჯანმრთელი ჰაერია. ჯანსაღად და ღონივრად ვსუნთქავ.

მოვდივარ. ფიქრი ბოლივით მეხვევა. გული ბაგაბუგით მიცემს. სუსხია. ვხედავ, ვგრძნობ, ვაზროვნებ, ვფიქრობ, მეღიმება, ვიღუშები, განვიცდი, ვღელავ, მიხარია, ვწუხვარ.

მოვდივარ.

სამი წელია მას შემდეგ, რაც სახლიდან წავიდა და აღარ დაბრუნებულა. დატოვა ოჯახი — ცოლი, ორი ბავშვი — და წავიდა. ტკბილად ვცხოვრობდით, მაინც წავიდა. არ გვიჩხუბია. მიზეზიც არ გვქონია ამისათვის. წავიდა იმ ქალთან ერთად, ჩვენი ხშირი სტუმარი რომ იყო და ოჯახის მეგობრად ითვლებოდა.

მას შემდეგ სამი წელი გავიდა. ძალიან გამიჭირდა მარტოხელა ქალს, მაგრამ ოჯახის ფუძე მაინც არ დავანგრიე. მისი პატივი და ღირსება შეუბღალავად შევინახე. ერთხელ ნაკისრი დედაბოძობის ბოლომდე გაწევა ვიკისრე.

ცუდად არასდროს მიხსენებია. არც სამდურავი მითქვამს. ბავშვებისათვის არ შთამიგონებია ოჯახის მამის სიგლახე, ცუდკაცობა. რა მათი საქმეა, რაში სჭირდებათ, იციან მხოლოდ, რომ წავიდა. იციან და მეტი არაფერი. ვცდილობ, ჩემი მწუხარება ბავშვებს არ გადავდო, ვაითუ დამეჩაგრონ.

ყოველ მის გახსენებაზე ჩავფიქრდები და დიდხანს ვრჩები ასე გაშტერებული. ხშირად, ბავშვებმა თუ არ მომაგონეს, მათთვის ლოგინის გაშლაც მავიწყდება.

რაზეც არ უნდა ჩამოვარდეს საუბარი, ყოველთვის მის წასვლას დავუკავშირებ ხოლმე და შემდეგ აღარ ვათავებ ამაზე ლაპარაკს.

ორი დღეა განუწყვეტლივ თოვს. ქუჩები, სახლები, მამადავითი თოვლითაა დაფარული. სივრცე თოვლის ფანტელებს მოუჩითავს. სპეტაკი სითეთრე სიამოვნებს თვალს.

ოთახში აგუზგუზებულ ბუხართან ორნი ვსხედვართ, მე და ჩემი მეგობარი ქალი, ახლახან რომ დაიწყო ჩვენს სკოლაში მუშაობა. აქეთ-იქიდან ამომდგარი პატარები მუხლისთავებთან მეხახუნებიან და უხმოდ მეალერსებიან.

— ასეთი თოვლი რახანია არ უნახავთ თბილისელებს, — თქვა სტუმარმა ქალმა.

— თოვლი, ჰო...

— რა დიდებული საღამოა, რა სილამაზეა!

— მაშინაც ასეთი თოვლი მოვიდა...

— რა მერე, ყინვები თუ არ დაიჭირა, დილამდეც ვერ გასტანს ეს სილამაზე.

— როგორა ჰგავს დღევანდელი დღე იმ დღეს... მოვიდა. მითხრა, გავიაროთო. ისე ჩვეულებრივად და უბრალოდ მითხრა, თითქოს კინოში მეპატიჟებოდა. ახლაც ცხადად ვხედავ მის მომღიმარ სახეს. მოკლე, მუქი ყავისფერი პალტო ეცვა, ქამრიანი. გაკრიალებული ფეხსაცმელები, მონაცრისფრო შლაპა. მის ხშირ წარბებსა და წამწამებზე ჩამოეთოვა. ჩამოეთოვა საყელოზე, მკერდზე, მხრებზე. სულ სხვა გზით წამიყვანა. სად მიგყავარმეთქი, რომ ვეკითხებოდი, არაფერს ამბობდა. უხმოდ მიღიმოდა. მივყვებოდი. მჯეროდა. ვენდობოდი. მიყვარდა. ჯერ ერთ ამხანაგს გავუარეთ, მერე მეორეს. იმ დღეს ხელი მოვაწერეთ. რას ინატრებდიო, მკითხა მაშინ. ჩემი ნატვრა უკვე ასრულდა-მეთქი, ვუპასუხე. მე კი ვინატრებდი, ჩემს ცოლს ვუყვარებოდიო. რა მესმოდა მაშინ, რომ ცხოვრება და სიყვარული, თურმე შეუღლების შემდეგ იწყება.

— ასეა, ცხოვრება სწორედ მას შემდეგ იწყება, ახალგაზრდული გატაცება რომ გაივლის, — თქვა სტუმარმა ქალმა.

— ეს ცხოვრება იმ გატაცებას მირჩევნია. რა ვუყოთ მერე, გადაცდა კაცი.

— რომ დაბრუნდეს?

— წასულიც არა მგონია. არა მჯერა, რომ მართლა მიგვატოვა და წავიდა. მაინც ახლოს ვგრძნობ. ყოველთვის ველი. სულ მგონია, რომ ეს-ეს არის კარს შემოაღებს და შემოვა. ჩემზე კარგად ვინ იცნობს. მჯერა, სამი წელი კი არა, მთელი სიცოცხლეც რომ გავიდეს, ისევ ისე, ძველებურად ვეყვარები...

კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

— გახედე შვილო, — ვუთხარი უფროს გოგონას. ბავშვმა კარი გააღო. ოთახში ქერა მამაკაცი შემოვიდა.

— საღამო მშვიდობისა, გასაღები თქვენთანაა?

— აგერ, აილე, — საწერ მაგიდაზე მივუთითე მეზობელს. მან გასაღები აიღო, მოიბოდიშა და გავიდა.

— წავალ ახლა, დროა უკვე, — თქვა სტუმარმა ქალმა და წამოდგა.

— რა გეჩქარება, ჯერ ადრეა, ცოტაც ვიჭორაოთ...

— ხვალ მოვალ, მოგეხმარები. ალბათ მოვა ვინმე.

— ალბათ. არავის ვპატიჟებ. არა მაქვს საგანგებოდ მზადების თავი.

კარზე ისევ გაისმა კაკუნი.

გოგონამ კარი გააღო.

— დეპეშა!

უცებ შემეშინდა, შევკრთი. წელი ძლივს ავითრიე. დეპეშა ყოველთვის მოულოდნელია და ფრთხილად სანახავი. ცივად ჩამოვართვი ფოსტალიონს.

— ქუთაისიდან არის, ახალ წელს გვილოცავენ, შვილო, — ვთქვი შვებით, — მერე ფოსტალიონს

ამჟამად გენოციდის პოლიტიკას პალესტინელთა და ლიბანელთა მიმართ ატარებს ისრაელი. 1982 წელს მის მიერ დაწყებული აგრესიის შედეგად მოკლულია 30 ათასზე მეტი ლიბანელი და პალესტინელი (ძირითადად ქალები, ბავშვები, მოხუცები), დაჭრილია დაახლოებით 70 ათასი, ათასობით ადამიანი უკვალოდ დაიკარგა, დაახლოებით მილიონს აღარ გააჩნია თავშესაფარი. განადგურებულია ათეულობით დასახლებული პუნქტი და პალესტინელთა ბანაკი, კულტურის მრავალი ძეგლი.

გენოციდის პოლიტიკას ახორციელებენ აგრეთვე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მმართველი წრეები, სადაც თეთრკანიან კოლონიზატორთა უმცირესობა ჩაგრავს მრავალმილიონიან მკვიდრ აფრიკულ მოსახლეობას.

საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებში მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვა ან, პირიქით, რაიმე უპირატესობათა დაწესება მათი რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილების საფუძველზე, ასევე რასობრივი თუ ეროვნული განსაკუთრებულობისა და სიძულვილის ქადაგება კანონით აკრძალულია და ისჯება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

**„ბროუნის მოძრაობა“.**

ტერმინი გამოიყენა მ. ს გორბაჩოვმა პარტიის XXVII ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში:

„საზოგადოების ისტორია — ეს არის არა შემთხვევით შესაკრებთა ჯამი, არა უწესრიგო „ბროუნის მოძრაობა“, არამედ კანონზომიერი წინსვლის პროცესი“.

ინგლისელმა ბოტანიკოსმა რობერტ ბროუნმა 1827 წელს აღმოაჩინა სითხეში და აირში შეტივტივებული უმცირესი ნაწილაკების ქაოსური მოძრაობა. შეწონილი ნაწილაკები მოძრაობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და მათი მოძრაობა რთული, ზიგზაგისებური ტრაექტორიის მსგავსია. „ბროუნის მოძრაობა“ არ სუსტდება დროის მიხედვით და არ არის დამოკიდებული გარემოს ქიმიურ თვისებებზე.

პოლიტიკური გაგებით ტერმინი მოუწესრიგებელ განვითარებას, მოუწესრიგებელ პოლიტიკას აღნიშნავს.



ქვითარზე ხელი მოვუწერე და გავისტუმრე.

მოლოცვის დეპეშამ მხიარულება და ხალისი შემოიტანა. ბავშვები აუივუივდნენ.

* * *

ჩაუკეტავად დარჩენილი კარი ფართოდ გაიღო. ზღურბლზე მთლად დათოვლილი მამაკაცი გამოჩნდა.

თვალებს არ ვუჯერებ. სუნთქვა შემეკრა. სკამის ზურგს ხელით დავეყრდენი, ჩავჯექი. ბავშვებმა ლონემიხდილი რომ დამინახეს, შეშინდნენ, კაბის კალთაზე ჩამებღაუჭნენ. სტუმარი ქალი გაკვირვებულია. მოსული ისევ კარის ზღურბლზე დგას და გაშტერებული თვალებით მიყურებს. მე ვზივარ და ძალ-ღონე ვერ მომიკრებია, რომ წამოვდგე, მოსულს მივეგებო. გაჭიანურებული და უხერხული სიჩუმის დარღვევა სტუმარმა ქალმა დააპირა. წინ წამოდგა. ხელით გადავწვდი და უკან დავწიე. ძალ-ღონე მოვიკრიბე და, როგორც იქნა, წამოვდექი. ბავშვები ფრთხილად ჩამოვიცილე. ვშიშობ, მუხლებმა არ მიღალატონ, არ ჩავიკეცო. გავბედე, წელში თანდათან გავსწორდი, გავიმართე და ნაბიჯი გადავდგი. მოსული შეირხა. რაღაცის თქმას აპირებს, ცდილობს, უნდა თქვას, მაგრამ უჭირს, ძალიან უჭირს. შუბლზე ძარღვები დაებერა, დაეძაგრა.

— შემოდი, ვთქვი კია, მაგრამ მე თვითონ ვერ გავიგონე ჩემი ხმა, ალბათ გულში თუ ვთქვი, ჩემთვის.

მოსული ისევ ისე გაშტერებული მიყურებს, ხმას არ იღებს და არც ადგილიდან იძვრის. იქნება არ სჯერა, რომ აქ არის, უკვე მოსულია და მივიღებ.

— კარში ნუ დგახარ, ორპირი ქარია, გაცივდები, — ვეუბნები და თანაც ვგრძნობ, როგორ მეცლება ფეხქვეშ ნიადაგი, ეს-ეს არის წავიქცევი. გულმაც მიღალატა, მთლად მოვეშვი.

მოსულმა, როგორც იქნა, კარის ზღურბლს გადმოაბიჯა.

— პალტო გაიხადე, ცეცხლთან დაჯექი, ხელები მოითბე.

პალტოს გახდა დაიწყო. ერთ ღილს რომ იხსნის, მეორეს ისევ იკრავს. ახლოს მივედი მისაშველებლად და ჩავეჭიდე, რომ არ წავქცეულიყავ.

ბავშვებს გადახედა. მერე მე ჩამხედა თვალებში. კვლავ ბავშვებს გადახედა.

— როგორ დაზრდილან, — თქვა თავისთვის, — უფროსი ცოტა გამხდარია.

— ცოტა მიჭირდა უშენობა... როგორც შევძელი...

— ჩემთან არ მოვლენ?

თავი ოდნავ დავუქნიე, ისე რომ მზერა არ მომიშორებია. ცოტა სიამაყე ვიგრძენი, სიმხნევეც მომემატა, წელში გავიმართე.

— მოდით მამასთან, ბავშვებო, მოდით.

თითქოს არც დაეტოვებინოს მამას ოჯახი. ისევ ისეა ირგვლივ ყველაფერი. როიალი. როიალის თავზე ჩემი სურათი, სტუდენტობის დროს გადაღებული. მას ეს სურათი იმთავითვე ყველა სურათს ერჩია. მეორე ასეთი, დარწმუნებული ვარ ახლაც უდევს გულისჯიბეში. ისევ ის მრგვალი მაგიდა, ის სკამები, ფანჯარაზე ისევ ის ფარდები. კარის ჩარჩოზე მისი ხელით მინიშნებული ბავშვების ზრდის ხაზები და რიცხვები. კედელზე ისევ ის საათი...

ბავშვებს თავი მიანება. ჩემკენ წამოვიდა. ერთი ნაბიჯითაც არ დამიხევია. სულ ახლოს მოვიდა და შედგა. თავი ჩაქინდრა. თვითონ მივიწიე და მხრებზე მკლავები ჩამოვადე.

თავი ასწია. თვალი გამისწორა.

— მამიკო, ახალი წლის ღამე რომ არის, იმიტომ ჩამოხვედი?

— ჰო, შვილო!

— რა კარგი მამიკო ხარ! — ბავშვმა ტაში შემოჰკრა, — აღარ წახვალ?

— აღარ, შვილო!

— სულ არასოდეს?

— სულ არასოდეს!

არც ერთს არ გაგვხსენებია სტუმარი ქალი. არც არავის შეუნიშნავს როდის წავიდა.

# კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თარაზულად: 1. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი; 3. ბურჟუაზიულ ქვეყნებში დაქირავებული ტაშის დამკვრელნი; 5. ჯადოქრობა, მისნობა; 7. ანატომიის დარგი, რომელიც შეისწავლის ადამიანისა და ცხოველის ქალას; 11. მრავალწლოვანი ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარე; 12. ამა თუ იმ უწყების მაღალი თანამდებობის პირთა ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს უწყების კომპეტენციაში შემავალი საკითხები; 13. დამხმარე თეორემა, რომელიც აუცილებელია სხვა თეორემის დასამტკიცებლად; 16. მდინარე აზიაში; 17. მსახიობის გარეგნობის, უმთავრესად სახის შეცვლის ხელოვნება სალებავის, პარიკისა და სხვა საშუალებებით; 19. ვაშლის ღვინო; 21. მცირე ზომის პოეტური ნაწარმოები, რომელშიც ასახულია უშფოთველი ცხოვრება ბუნების წიაღში; 22. საბანკო ოპერაცია; 23. საეკლესიო ტიტული, ენიჭებოდა რომის კათოლიკურ ეკლესიაში მამათა მონასტრის წინამძღვარს; 24. მდინარე ურალის ძველი სახელწოდება; 26. მდინარე საქართველოში; 27. მდინარე კემეროვოსა და ტომსკის ოლქებში; 28. მოკლე ორლესული მახვილი. ხმარობდნენ ირანელები, სკვითები. გავრცელებული იყო კავკასიაშიც; 31. უდიდესი ტბა იაპონიაში; 35. რისიმე ტოლფასი, თანაბარღირებული რამე; 36. სიგრძის ძირითადი საზომი ერთეული ინგლისის საზომთა სისტემაში; 37. საშემოდგომო ხორბლის ადგილობრივი ჯიში; 38. ლაშქრობაში ნაშოვნი ქონება — დავლა.

შვეულად: 1. დაწესებულება სავაჭრო და საფინანსო მოლაპარაკებისათვის (კაპიტალისტურ ქვეყნებში); 2. შტატი ბრაზილიაში; 3. მდინარე აფრიკაში; 4. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 5. მდინარე ხაბაროვსკის მხარესა და იაკუტიის ასსრ-ში; 6. ქართველი ხუროთმოძღვარი, ხანძთის ეკლესიის აღმშენებელი; 8. მდინარე ევროპაში; 9. ერთი ადგილის მეორესთან დამაკავშირებელი გზა ან კავშირგაბმულობის საშუალება; 10. ბოტანიკის დარგი, რომელიც შეისწავლის მერქნის მცენარეებს — ხეებსა და ბუჩქნარებს; 14. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 15. სამხედრო საზღვაო ფლოტის გემების დიდი შენაერთი; 16. ძველებური ქართული სახვნელი იარაღი; 17. ბეჭედი, შტამპელი, რომელზეც ხელმოწერის ნიმუში ან რაიმე სხვა ხელნაწერი ტექსტია ამოკვეთილი; 18. უდიდესი მდინარე ევრაზიაში; 20. მდინარე ვოლგის ძველი სახელწოდება, დღემდე ხმარობენ თათრები, ბაშკირები, ჩუვაშები და სხვები; 25. ბალახოვანი მცენარე; 27. მდინარე ირკუტსკის ოლქში, მდინარე ანგარის შენაკადი; 29. სპორტის სახეობა; 30. ბიბლიის მიხედვით, ადამისა და ევას უფროსი ძმა; 32. მდინარის მონატანი სილა, თიხა, რიყის ქვა და სხვ.; 33. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი კასპის რაიონში; 34. მოქმედი ვულკანი კუნძულ სიცილიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

შეადგინა ვაჟა მაგრაქველიძემ.

## „დროშის“ მე-11 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ვერტიკალურად: 1. მეზეი; 2. ობოლი; 3. ირემი; 5. ამაზონი; 6. ბორუსია; 10. იუვენტუსი; 11. კრიმინალი; 12. ინჟენიუ; 13. იკაროსი; 14. მათეუსი; 15. ამულეტი; 21. სორბონი; 22. ემიტერი; 26. ლიტვა; 27. ფეოლა; 28. ამორო.

ჰორიზონტალურად: 4. ბეკენბაუერი; 7. რუმენიგე; 8. პოლკა; 9. მარადონა; 12. იმპორტი; 14. მექსიკა; 16. ინვექტივა; 17. ლეაო; 18. მარაკანა; 19. ლინეკერი; 20. პელე; 23. მიუსაფარი; 24. უნგრეთი; 25. ინდიუმი; 29. ჯენინგსი; 30. ამება; 31. მონტერეი; 32. გვადალახარა.

# სიახლე · სიახლე · სიახლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი სამედიცინო მოწყობილობა

გამოცდილი ექთნისათვის ხშირად არც ისე იოლი საქმეა ავადმყოფის ვენის პოვნა.

ამას ემატება ვენის გამზადება. მასში უმტკივნეულოდ და დაუზიანებლად შპრიცის ნემსის შეყვანა, წამლის პროპორციულად შესხურება.

ყველა ეს პროცედურა, როგორც ცნობილია, აქამდე მხოლოდ ხელით სრულდებოდა.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კეიპტაუნის უნივერსიტეტის თანამშრომელმა პეტერ კოლბმა ხანგრძლივი ძიების შემდეგ დაამზადა ორიგინალური სამედიცინო მოწყობილობა, რომელიც ულტრაბგერების საშუალებით მოქმედებს.

მოწყობილობა პაციენტის სხეულზე დაცურავს. როცა იგი ავადმყოფის ვენას შეეხება, ინდიკატორი გამაფრთხილებელ ბგერებს გამოსცემს, შპრიცის ნემსი ოპტიმალური კუთხით, მაშინვე ვენაში შედის და ზუსტად შეჰყავს წამალი.

ახალმა გამოგონებამ უკვე პოვა პრაქტიკული გამოყენება მთელ რიგ სამედიცინო დაწესებულებებში.



## თევზი და ადამიანის გული

იაპონიაში ჩატარებული დაკვირვებებით დადგინდა, რომ ადამიანს, რომელიც კვირაში სულ ცოტა 200 გრამ თევზს ჭამს, გულის შეტევის საშიშროება ორჯერ და უფრო მეტად უმცირდება.

თევზის ქონში შემავალი მჟავა სისხლში მნიშვნელოვნად ამცირებს ქოლესტერინის დაგროვებას და აქტიურ წინააღმდეგობას უწევს თრომბის წარმოქმნას.

ამ გამოკვლევის შედეგებს მალე ფართოდ გამოიყენებენ გულით დაავადებულთა დიეტის დასადგენად და სამკურნალოდ.

იაპონელ სპეციალისტთა დაკვირვებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩასატარებლად.

## ტელეფონი მზის ენერგიით მუშაობს

თანამედროვე ქალაქის ზოგიერთ უბანში, სადაც კაბელი არ არის დაწყობილი, შეუძლებელია ტელეფონ-ავტომატების დადგმა.

ინგლისელმა სპეციალისტებმა წარმატებით გადაჭრეს ეს საკითხი. მათ შექმნეს და საექსპერიმენტოდ დაამონტაჟეს ტელეფონ-ავტომატი, რომელიც უკაბელოდ მუშაობს და მზის ენერგიით იკვებება.

სხვადასხვა მინიატურული მოწყობილობა და საგანგებო ანტენა საშუალებას იძლევა, უკაბელო ტელეფონ-ავტომატმა წელიწადის ყოველ დროს შეუფერხებლად იმუშაოს.

მზის ენერგიით მომუშავე ტელეფონ-ავტომატები სწრაფად ვრცელდება თურქეთში, ლათინურ ამერიკაში, აზიის სხვადასხვა ქვეყანაში...

## აფერუმ, გოჭებო!

მეღორეობის ფერმაში, სადაც გოჭებს ზრდიან, დღემდე რეკომენდებული იყო ცელსიუსით 17 გრადუსი ტემპერატურა.

ილიონის შტატის უნივერსიტეტში (აშშ) საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს; საღორეში დადგეს გადამრთველი მოწყობილობა, რომლის საშუალებით გოჭებს დინგით შეეძლოთ ჩაერთოთ და გამოერთოთ გასათბობი სისტემა.

გოჭებს არცთუ ისე დიდი დრო დასჭირდათ თბომეურნეობაში განსწავლისათვის.

დაკვირვებით დადგინდა: გოჭები მცივანები არ ყოფილან. ისინი საღორეში, განსაკუთრებით ღამით, 10-12 გრადუსამდე ამცირებდნენ ტემპერატურას.

ყაირათიანი გოჭები დაბალ ტემპერატურაზე უკეთ გრძნობდნენ თავს, ელექტროენერგიასაც ზოგავდნენ და გათბობის გადასახდელ თანხასაც ამცირებდნენ.

## იაფი, იოლი და ყუათიანი

ქაღალდის და ცელულოიდის წარმოება, როგორც ცნობილია, უამრავ დანაკარგს იძლევა.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ამ დანაკარგებში შედის ისეთი ნივთიერებანი, რომელთაგან შეიძლება პირუტყვის საკვები საფუარი დავამზადოთ.

ამას წინათ ეს საკითხი წარმატებით გადაჭრეს ლიუბლიანის უნივერსიტეტში. პოლონელმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს ბიოტექნოლოგიური მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა, ქაღალდის და ცელულოიდის წარმოების ნარჩენებზე აღმოვაცენოთ საფუარის მომცემი სოკოები.

ფიჭვის, ნაძვისა და არყის ხეების ნახერხი სწავლულებმა საგანგებო ადგილას მოათავსეს, გაამდიდრეს აზოტის მარილით, რამდენჯერმე მორწყეს სხვადასხვა მკვებავი ნივთიერებით შეზავებული ხსნარით.

მიღებულმა შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა.

ნახერხზე რამდენიმე კვირაში უამრავი ვეება სოკო აღმოცენდა. სოკოები დაკრიფეს, გააშრეს და პირუტყვის ყუათიან საკვებად გამოიყენეს.

დარჩენილი ნახერხი, რა თქმა უნდა, ახალ-ახალი მოსავლის მისაღებად შეიძლება გამოვიყენოთ.

## საიმედო შემწე

საბჭოთა ინჟინერ-კონსტრუქტორებმა დაამზადეს თვითმავალი მტვერსასრუტი, რომლის გადაადგილების სიჩქარე საათში რვა კილომეტრს აღწევს.

ახალი მტვერსასრუტი სწრაფად ოთახის ყოველ კუთხე-კუნჭულს და მტვრისგან ასუფთავებს მას.

დიასახლისების საიმედო შემწე — ასე შეარქვეს თვითმავალ მტვერსასრუტს.

მათი სერიული გამოშვება უახლოეს ხანში დაიწყება.

## ვინ ვის?..

გერმანელი პროფესორი ჰანს ბერნილარი, ცნობილი სპეციალისტი ხელოვნური ინტელექტის დარგში, თვლის, რომ მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში შეიძლება გახდეს რობოტი „ჰაიტეკი“, რომელიც ელექტროგამომთვლელი მანქანით მოქმედებს.

„ჰაიტეკი“ — ზესწრაფი რობოტია, მან საჭადრაკო პროგრამით აღჭურვილი ყველა ელექტროგამომთვლელი მანქანა დაამარცხა პაექრობაში.

„ჰაიტეკს“ უნარი შესწევს ელვისებურად გააანალიზოს საჭადრაკო დაფის ყველა უჯრედი და წამში სვლის ათასობით ვარიანტი გაიანგარიშოს. ამავე დროს, იგი აზუსტებს ყოველი სვლის საიმედოობას, გეგმავს სტრატეგიას და არჩევს საუკეთესო სვლას.

ჰანს ბერნილარს იმედი აქვს, რომ „ჰაიტეკი“ მიიღებს ფრადკინის დიდ პრემიას, რომელიც დაწესებულია ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის დამჯაბნელი რობოტისათვის.

ბრძოლა მოჭადრაკე რობოტსა და ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონს შორის ალბათ მალე შედგება.

## სათვალეც ამას ჰქვია

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სპეციალისტებმა დაამზადეს ორიგინალური სათვალე, რომელიც მატარებლების მემანქანისთვის არის გამიზნული.

სათვალეში ჩამონტაჟებულია ოპტიკურ-ელექტრონული მოწყობილობა. ეს მინიატურული მოწყობილობა დისტანციურად დაკავშირებულია კაბინაში მოთავსებულ ხმისა და სინათლის მკვებავ წყაროებთან.

საკმარისია, მემანქანემ ყურადღება მოადუნოს ან წამით ჩათვლიმოს, რომ სათვალეზე მაშინვე აინთება ნათურა. ცოტა ხნის შემდეგ გაისმის გამაფრთხილებელი განგაშის ხმა.

თუ ჩაძინებული მემანქანე, ვთქვათ, ვერც ამ ხმაურმა გამოაფხიზლა, მაშინ სათვალეში ჩამონტაჟებული მოწყობილობის ბრძანებით, მუხრუჭები ავტომატურად ჩაირთვება და მატარებელი მაშინვე გაჩერდება.

**გარეკანის პირველ გვერდზე: საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სოლისტი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ნინო ანანიაშვილი. ფოტო ბონდო დვალიშვილისა.**

**გარეკანის მეოთხე გვერდზე: თბილისის მესამე ექსპერიმენტალური საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლი. ხელმძღვანელი საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი თამაზ გოგოტიშვილი.**

გადაეცა წარმოებას 11. XI. 86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. XII. 86. უე 04861. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50 000. შეკვეთა 2618. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის ხამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

## გიორგი შეთეკაური

# „ფხიზელმა მაინც იარე!“

### ხალხური ლექსები ლოთებისა და ლოთობის წინააღმდეგ

ლოთობა, წრეგადასული ალკოჰოლიზმი, მაგარი სასმელების გადაჭარბებული ხმარება და ამის ნიადაგზე მომხდარი უამრავი სოციალური დანაშაული, იმთავითვე ჩვენი ეროვნული საზოგადოებრივი აზრის მკაცრი მხილებისა და გაკიცხვის საგანს წარმოადგენდა. ყოველივე ამან თავისი შესაბამისი გამოხატულება პოვა მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ქართული ხალხური სიტყვიერების სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის ნაწარმოებებშიც.

საქეიფო გატაცებისა თუ თავდავიწყების ძირშივე ალსაკვეთად გაისმის მოწოდება დიდი ხნის წინათ ქართლში ჩაწერილი ერთ-ერთი ხალხური ლექსის მიხედვით, სადაც სასუფრო ზომიერება და გონიერება ერთ მთლიან კომპოზიციურ პლანშია გახსნილი:

კაცმა კაცი დაჰპატიჟოს,
კაი ქეიფი გასწიოს,
...განა ისე უნდა დათვრეს, —
გარეთ ველარ გააღწიოს?!

სამწუხაროდ, ეს გონივრული მოწოდება ზოგიერთისათვის ვერ იქცევა საიმედო მუხრუჭად, იმ ქმედით შემაკავებელ ძალად, რაც მას ღვინის ზემოქმედებისაგან დაიცავდა.

სწორედ ეს აზრია გატარებული მცირე მოცულობის პოეტურ ნიმუშში, რომელშიც ავტორი თვითდახასიათების ხერხით თავის თავს დასცინის, რადგანაც მას ნებისყოფა არ ჰყოფნის, სასმელს გაემიჯნოს. იგი წამდაუწუმ ღვინოში იძირება:

ეს ფინთი ხასიათი მაქვს,
ჭკუა არა მაქვს თავშია,
როცა კაცი დამპატიჟებს, —
თავს ვიხრჩობ ღვინის ჯამშია,
აქედგან აღარ დავიძვრი,
კეტი რო მცემო თავშია.

ზოგიერთ ლექსში ღვინის წყურვილი, ღვინის ტრფიალი ლოთის მხრივ აშკარად, დაუფარავად არის გაცხადებული. აქ ალკოჰოლისტი ღვინისადმი საკუთარ დაუოკებელ, შეიძლება ითქვას, ავადმყოფურ ლტოლვა-მიდრეკილებას გასაოცარი გულახდილობით გვიმჟღავნებს. მას ერთი სული აქვს, როდის ექნება ღვინის ჭიქასთან ხელახალი „პაემანი“, ღვინოს კიდევ როდის „ჩაირაკრაკებს ყელში“, — სუფრა და ღვინის ჭიქა ხომ მისთვის „მარადჟამს“ სანატრელ და სანუკვარ ოცნებად ქცეულა:

კახურო ღვინოვ წითელო,
ყელმოჭედილო კულაო,
დამლია შენმა წყურვილმა,
შენ სად დაგლიო სულაო?

იგივე მოვლენა შეინიშნება ხალხური სატირული პოეზიის სხვა ნიმუშშიც:

განა არ იცით, ვერ გავძლებ,
თუ არ დავლიე არაყი,
მაიტათ, დამალევინეთ
კობათ წისქვილის ნანაყი.

ჩვენ მიერ განხილულ ამ ზოგიერთ პოეტურ ნიმუშში, როგორც გაირკვა, ავტორები თვითდახასიათების ხერხით ბრალს სდებენ საკუთარ თავს მაგარი სასმელების გადამეტებულ ტრფიალში და, რაც მთავარია, და რასაც მკვეთრი საზოგადოებრივი ჟღერადობაც აქვს, — ისინი ერთსულოვნად ილაშქრებენ ალკოჰოლური ალვირახსნილობის წინააღმდეგ.

გვაქვს სხვა კატეგორიის ლექსებიც, რომლებშიც ავტორები უკვე ამჯერად ასე ვთქვათ, „გარეშე პირებს“ უკიჟინებენ, დაჟინებით საყვედურობენ მათრობელა სითხეთა უხვი გამოყენების გამო.

პოეტური ფოლკლორის ერთ-ერთ ასეთ ნაწარმოებში სამარცხვინო ბოძზეა გაკრული ლოთი-შფოთი, სახელგატეხილი მეარაყე, რომელსაც ელემენტარული თავმოყვარეობის გრძნობა დაუკარგავს და ყოველგვარი საგანგებო სავიზიტო ბარათისა თუ სპეციალური მიწვევის გარეშე იმ სახლის დაუპატიჟებელ სტუმრად გვევლინება, სადაც „სალუდე ქვაბი გაირახუნებს, ანდა არაყის ჭიქა გაიჭახუნებს“.

სიმთვრალე, მთვრალი ინდივიდი ყოველთვის სატირული პოეზიის თავდასხმის ობიექტს წარმოადგენს. აქ არავითარი კომპრომისი არ არსებობს, — ხალხური ავტორი მთელი პირდაპირობით ამხელს სმას გადაყოლილს, იმ ხორცმეტ ვიგინდარას, — საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობას რომ ივიწყებს და ერთთავად სასმელს რომ უბოდიშოდ და უცერემონიოდ ეტანება.

არცთუ იშვიათად, უთავბოლო ქეიფი და დროსტარება ჩხუბისა და დავიდარაბის მიზეზი ხდება, — ალკოჰოლით მოშხამული გონება ხომ ადამიანური განსჯის უნარს კარგავს და ხშირად მთვრალმა არ იცის, რას აკეთებს, ვინ ეჩხუბება და რატომ ეჩხუბება:

მეჩხუბარია ჯაბახა,
რო შავერდაანთ ყაზახა,
ბატარაანთას დაითვრა,
ჩოხელს ხელადა აჯახა.

ხალხური პოეზიის რეპერტუარში მკაცრადაა დაგმობილი ლოთობა, როგორც ანტისაზოგადოებრივი მოვლენა და ამასთან ბევრ ამ პოეტურ ნიმუშში ლოთობასთან ეფექტური ბრძოლის ქმედითი გზაც არის დასახული. ალკოჰოლიზმთან ბრძოლის ამსახველი ხალხური წყობილსიტყვაობა თანამედროვე ეტაპზე აქტუალურ შინაარსს იძენს.




ჟურნალისტ დავით ბუზუკაშვილის კოლექციიდან.



ეროვნული ბიბლიოთეკა



დააკვირდეთ ფოტორეპორტიორის მახვილი თვალით დანახულ და ობიექტივში ფიქსირებულ უცნობ ქალიშვილებს. ასეთ სურათს ხშირად დაინახავთ თბილისის, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ქუჩებში: მოდას აყოლილი კოპწია ქალიშვილები მიაბიჯებენ დიდი თუ პატარა, ზოგჯერ საკმაოდაც გადატვირთული ხელჩანთით. ხელჩანთას კი ხელჩანთა იმიტომ ქვია, რომ იგი ხელში უნდა გვეჭიროს და არა მხარზე გვქონდეს გადაკიდებული. როცა ხელჩანთა მხარზეა გადაკიდებული, ცალი მხარი ჩამოვარდნაზეა, ხოლო მეორე — აწეული ანუ სწორედ ისე, როგორც ეს სურათზეა აღბეჭდილი და ხერხემლის სვეტი კომპენსატორულადაა გამრუდებული. დადიან მთელი დღე ამ გამრუდებული ხერხემლის სვეტით ეს ტანაშოლტილი გოგონები და წარმოდგენაც კი არა აქვთ იმაზე, თუ რარიგად ემუქრება ვითომ უწყინარი მოდური ჩანთა მათ სილამაზესა და ახალგაზრდობას.

ნათქვამია — ადამიანის სიბერე ხერხემლიდან იწყებაო და მედიცინისათვისაც ცნობილია ხანგრძლივი დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგად შექმნილი ეს ბრძნული გამონათქვამი.

# ყურადღება!

## ექიმი გვირჩევს, გვაფრთხილებს...

მოგეხსენებათ, ხერხემლის სვეტი მარტოოდენ ის ბიოლოგიური კონსტრუქცია როდი გახლავთ, რასაც ადამიანის სხეული უჭირავს. ხერხემალში გადის ზურგის ტვინი, რომელთანაც დაკავშირებულია არსებობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი უკლებლივ ყველა მგრძნობიარე და მამოძრავებელი ნერვი.

სხეულის გარკვეულ მდგომარეობაში მოზრდილი ადამიანის ხერხემლის სვეტისათვის დამახასიათებელია ისეთი ფიზიოლოგიური გამრუდებები, როგორიცაა კისრისა და წელის ლორდოზი ანუ გამრუდება, აგრეთვე გულმკერდის კიფო, ესე იგი მისი ამობურცულობა, ამოზნექილობა. ამ სიმრუდეების მეშვეობით, ხერხემლის სვეტი გვევლინება როგორც ელასტიური ზამბარა, რომელიც აპირობადებს სხეულის ვერტიკალურ სტატუსს.

ცნობილია ისიც, რომ ესა თუ ის სტატიკა, ტანადობის ტიპი, ხერხემლის სიმრუდეების გამოხატვა დაკავშირებულია კონსტიტუციალურ ინდივიდუალობასთან, აგრეთვე სქესთან. კერძოდ, წელის ლორდოზი და გულმკერდის კომპენსატორული კიფოზი ქალებში უფრო ძლიერად არის გამოხატული, ვიდრე მამაკაცებში. სიმსუქნე, ორსულობა, მშობიარობა აძლიერებენ წელის ლორდოზს, რომელიც გულმკერდის კიფოზით კომპენსირდება. ასე და ამდაგვარად, ტანადობის ესა თუ ის ტიპი (გასწორებული, მოხრილი, ჰიპერლორდიზებული) განპირობებულია ერთმანეთთან ფუნქციონალურად დაკავშირებულ ორ ან სამივე სახის სიმრუდესთან.

და აი, მხარზე გადაკიდებული ჩვენთვის უკვე ნაცნობი ხელჩანთა... თავისი სიმძიმით იგი გაუთვალისწინებლად და არაბუნებრივად ტვირთავს ხერხემლის სვეტს, რომელიც ამის გამო კომპენსატორულად მოითხოვს ახალი ანტიგრავიდაციული მექანიზმების ჩართვას. მაგრამ, გარდა აღნიშნულისა, ამ ხელჩანთის გადამკიდეს სხვა არანაკლები საშიშროებაც მოგველის.

საქმე ის არის, რომ ოცდაათი წლის ასაკიდან მოყოლებული, ყოველი მეხუთე ადამიანი მსოფლიოში დისკოზური რადიკულიტით იტანჯება ანუ იტანჯება დისკის გამოვარდნით, რაც ოსტეოხონდროზის ერთ-ერთ სინდრომს წარმოადგენს. ტ. ი. მოროზოვის (1974 წ.) მონაცემებით ჩვენს ქვეყანაში დისპანსერული დაკვირვების ქვეშ იმყოფება რადიკულიტით დაავადებული ოცდახუთ მილიონზე მეტი ავადმყოფი, რასაც პირველი ადგილი უკავია შრომისუნარიანობის დროებით დაკარგვისა და ინვალიდობის გამომწვევ მიზეზთა შორის. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ ამ ბოლო წლებში როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთ, ამ პრობლემასთან დაკავშირებული მრავალი სიმპოზიუმი თუ კონფერენცია ტარდება.

რა არის ოსტეოხონდროზი და რა კავშირი აქვს მას ჩვენთვის ნაცნობ ხელჩანთასთან?

ოსტეოხონდროზი არის ხერხემლის სვეტის დეგენარაციულ-დისტროფიული დაზიანების საკმაოდ მძიმე ფორმა, რომელსაც საფუძვლად მალათშორისი დისკის დეგენერაცია ანუ გადაგვარება უდევს. ამას ემატება აგრეთვე თანამალების, მალათაშორისი სახსრებისა და შემაკავშირებელი (იოგების) აპარატის ცვლილებები.

ოსტეოხონდროზის ხელშემწყობი პირობაა ჰიპოდინამია ანუ უძრაობა და ყველაფერი ის, რაც ზედმეტად ტვირთავს ხერხემლის სვეტს მით უფრო, როცა ასეთი გადატვირთვა ასიმეტრიულია, ხანგრძლივი, ხოლო კუნთური სისტემა კი, ეგრეთწოდებული კუნთური კორსეტი, რომელსაც ხერხემლის სვეტი უჭირავს, სუსტადაა განვითარებული.

ეს მოდური ხელჩანთა, როგორც დავინახეთ, არც ისე უწყინარი ყოფილა. დაბეჯითებით გირჩევთ, ნუ გადატვირთავთ ხერხემლის სვეტს მხარზე გადაკიდებული მძიმე ხელჩანთით. გაუფრთხილდით ბუნებით ნაბოძებ თქვენს ტანადობას, რაც შესაძლებელს გახდის, შეინარჩუნოთ არა მარტო სხეულის სილამაზე, არამედ გაიხანგრძლივოთ ახალგაზრდობა.

**დიმიტრი წვერავა,**
დოცენტი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრის გამგე.

# სილამაზის სალონი „ოცნება“









ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76056

6182/15

ეროვნული
ბიბლიოთეკა

